პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

ცალკეული ნომერი შეიცავს 6 გვ[illegible]

დღიური

— საფრანგეთის ხელისუფლება სირიაში [illegible] ადგილობრივ მცხოვრებთ.

— ოსმალეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დაიდო ხელშეკრულება მეზობრობის შესახებ.

— [illegible]ოთა კავშირში ჩამოვიდა პარიზის კომუნის მონაწილე [illegible]

სამშაბათი, 3 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 253 (1408)

განახლების გზით

როგორც მკითხველი გაიგებს დღევანდელი გაზეთიდან, სპარსეთის მეჯლისის (პარლამენტის) დადგენილებით გადაყენებულ იქნა კაჯარების დინასტია. სახელმწიფოს დროებითი მმართველად დანიშნულია სპარსეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი და შეიარაღებულ ძალების მთავარსარდალი, რიზა-ხან, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელიც გადასწყვეტს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხს.

ეს აქტი დიდი ისტორიულ მნიშვნელობისაა სპარსეთის როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო მდგომარეობისათვის. მონარქიული რეჟიმი, ფეოდალების და სასულიერო წოდების ბატონობა მძიმე ლოდად აწვა სპარსეთის ხალხს და გასაქანს არ აძლევდა მის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. სპარსეთს დღემდე ვერ დაუღწევია თავი საშუალო საუკუნოების მდგომარეობისათვის.

სპარსეთის მოწინავე ჯგუფები კარგა ხანია ბრძოლას აწარმოებენ შაჰების, მემამულეების, ბიუროკრატ-მექრთამე მოხელეების წინააღმდეგ. ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა ანტი-მონარქისტული მოძრაობა, რის შესახებ პრესაში ცნობებიც ქვეყნდებოდა. ამ მოძრაობამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ რიზა-ხანის მთავრობას და მეჯლისის პროგრესიულ ნაწილს აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწია ამისათვის. კიდეც გადასდგა მან სათანადო ნაბიჯი შაჰის გადაყენების გამოცხადებით.

კაჯარის დინასტიის გადაყენება საყურადღებოა არა მარტო სპარსეთის შინაურ პოლიტიკის თვალსაზრისით,—მას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში იმპერიალისტების, კერძოდ ინგლისის ბატონობისაგან. რიზა-ხანის მთავრობა სპარსეთის ნაციონალური დამოუკიდებლობის [illegible] წინააღმდეგ ინგლისელები იყენებდნენ კაჯარების დინასტიას და მას მომხრე რეაქციონურ ძალებს. კაჯარების გვარეულობა ბრმა იარაღი იყო ინგლისის ხელში, რომელიც ცდილობდა მისი საშუალებით სპარსეთში თავისი განუზიარებელი გავლენის შენარჩუნებას. ინგლისი ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდა შაჰის პოზიციის განსამტკიცებლად და რიზა-ხანის მდგომარეობის შესარყევად.

ამ მიზნით ინგლისის აგენტებმა სექტემბრის ბოლო რიცხვებში, სპარსეთში მოსალოდნელ სიმშილობის ნიადაგზე, მოაწყვეს თეირანში მოსყიდულ და ბნელ ელემენტების მონარქისტული დემონსტრაცია. ყველაზე უფრო საგულისხმო აქ ის არის, რომ ინგლისელი პროვოკატორები შეეცადნენ შექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქო ამ ხელოვნურად გამოწვეულ მოძრაობას მხარს უჭერდეს საბჭოთა ხელისუფლება, რის გამო დემონსტრანტების ბრბოს ნაწილს საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში მოუყარეს თავი. ამით მათ სურდათ გაემწვავებიათ დამოკიდებულება რიზა-ხანსა და ჩვენს მთავრობას შორის. ლონდონის გაზეთმა „დეილი ექსპრესს"-მა იმ დღეებში მოათავსა აშკარად პროვოკაციული და ცრუ ცნობა: „თეირანში გრძელდება უწესოება პურის ნაკლებობის გამო. სპარსეთის მთავრობა ბოლო დროს დაადგა ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას. უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით მასსებში იზრდება უკმაყოფილება სარდარ-სეპეხის (რიზა-ხანის) პოლიტიკით". კვირის №-ში ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ინგლისურ გაზ. „მორნინგ პოსტი"-ს მორიგი ჭორი, თითქო „საბჭოთა აგენტები ცდილობენ მოაწყონ აჯანყება სპარსეთში, რისთვისაც უნდათ გამოიყენონ იქ პურის ნაკლებობა". ამ პროვოკაციის აზრი ნათელია: ის, რის გაკეთებასაც ლამობს თვითონ ინგლისი, ე. ი. სპარსეთში მოსალოდნელ სასურსათო კრიზისზე ხელის მოთბობას, მის გამოყენებას მასსების ასაჯანყებლად რიზა-ხანის წინააღმდეგ,—უნდა მიაწეროს საბჭოთა მთავრობას და უკანასკნელი გამოიყვანოს შაჰის მომხრედ და ხალხის აჯანყების სულისჩამდგმელად რიზა-ხანის წინააღმდეგ. ინგლისს განზრახვა აქვს რიზა-ხანს უნდობლობა შთაუნერგოს საბჭოთა მთავრობისადმი, ამნაირად მისი პოლიტიკა მიმართულია არა მარტო სპარსეთის ხალხის, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგაც.

ეს ჩვენ სრულებით არ გვიკვირს. საბჭოთა კავშირი უდიდესი ავტორიტეტით და სიმპატიით სარგებლობს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს შორის, მათ შორის სპარსეთშიც. საბჭოთა კავშირის მაგალითი, მისი მეგობრული დამოკიდებულება სპარსეთთან და აღმოსავლეთის ყველა ქვეყნებთან ამხნევებს უკანასკნელთ განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის და ფეხიდან ნიადაგს აცლის ინგლისის კოლონიალურ სიძლიერეს. ამიტომ იგი არ იშურებს ოქროს, არ ერიდება არავითარ საშუალებას, რომ ამ შემთხვევაში სპარსეთის ხალხი გადაგვკიდოს.

მაგრამ რიზა-ხანისა და სპარსეთის მოწინავე ელემენტებისათვის დღესავით ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა [illegible] ხალხისა მის [illegible]ლური დამოუკიდებლობისათვის და ყოველნაირად ეხმარება მის ეკონომიურ აღორძინებას. სრული თანასწორობის საფუძველზე მტკიცდება ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან. საბჭოთა მთავრობა კერძოდ აწვდის მას დიდ პურს საკმაო რაოდენობით.

ეჭვი არ არის, რომ ინგლისელი პროვოკატორები ვერ შეარყევენ სპარსეთ-საბჭოთა მეგობრულ დამოკიდებულებას. სხვათა შორის, ამის საბუთად შეიძლება ჩაითვალოს კაჯარების დინასტიის ჩამოგდებაც. ჩვენ მხურვალედ ვესალმებით სპარსეთის მესვეურების ამ ნაბიჯს. სპარსეთი მტკიცედ ადგება თავის ნაციონალურ დამოუკიდებლობის გზას. ეს ინგლისის იმპერიალიზმის მორიგი სასტიკი დამარცხებაა.

იცილებს რა უცხოელ მტაცებლების უღელს, სპარსეთის ხალხი ამავე დროს ისწრაფვის თავისი შინაური ცხოვრების განახლებისაკენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპარსეთის ხალხი გამოიჩენს იმდენ შეგნებას და პოლიტიკურ სიმწიფეს, რომ იგი სამუდამოდ უარჰყოფს მონარქიას და ხელს მოჰკიდებს დემოკრატიულ წყობილების განხორციელებას. დღევანდელთან შედარებით ეს დიდი ნაბიჯი იქნება წინ.

კოლექტიური მიწათმოქმედებისათვის

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სოციალისტურ საფუძვლებზე მისი გარდაქმნა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე მრეწველობის. წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანაში, სადაც განმტკიცებულია კერძო მესაკუთრეობის საუკუნოებრივი ტრადიციები, საჭიროა ათეული წლები, რომ გლეხობამ შეითვისოს მეურნეობის სოციალისტური წესების სარგებლიანობა.

მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელისა, მუშაობა ამ მხრივ გაგრძელებული უნდა იქნას, ვინაიდან მას უაღრესათ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკისთვის.

თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი ამ მუშაობას, ეს, სხვათა შორის, სჩანს სასოფლო-სამეურნეო კომუნების და არტელების პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ მისი შემდეგი სიტყვებიდან: „ყველა ამ ხასიათის ღონისძიებათა მნიშვნელობა დიდია, რადგანაც თუ წინანდელი შეუძლებელი და ღატაკი გლეხური მეურნეობა ძველებურათ იქნა დატოვებული, სოციალისტური საზოგადოების რაიმე მტკიცე მშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება".

რასაკვირველია, ამხ. ლენინს კარგათ ესმოდა, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლა, რომ ამ გადასვლისათვის საჭიროა დიდი დრო და ხანგრძლივი მუშაობა.

თუ სოციალისტური მიწათმოქმედების შემოღება ძნელია საბჭოთა რუსეთში, მით უფრო ძნელია ის საქართველოში, სადაც მეურნეობის ხასიათი და მიწათმფლობელობის ძველი ფორმები ამისთვის უფრო ნაკლებ პირობებს იძლევიან. ამიტომ ჩვენში დაგვიანდა მუშაობა ამ მიმართულებით და მხოლოდ უკანასკნელ დროს გაჩნდნენ სოციალისტური მიწათმოქმედების ჩანასახები სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების და ამხანაგობების სახით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთშიაც იცვლებოდა მდგომარეობა და დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისადმი. მართალია, ერთ დროს ძალიან დიდი გატაცება იყო სასოფლო-სამეურნეო კომუნებით და არტელებით, მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ეს გატაცება და ინტერესი შენელდა; შემცირდა კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვიც. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1919 წ. ყოველგვარ კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი 6200 უდრიდა, 1921 წ.—15800 და 1922 წ. კი 12,700; სამაგიეროდ 1923 წლიდან და განსაკუთრებით 1924 წ. კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი ისევ იზრდება და ამ ჟამად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უდრის 20.000-ს. ამ საერთო რიცხვიდან დაახლოებით 12 პროც. კომუნები წარმოადგენენ, 56 პროც. არტელები და 32 პროცენტს მიწათმომქმედთა ამხანაგობანი.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კომუნები, არტელები და მიწათმომქმედთა ამხანაგობანი შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში და სარგებლობენ მისი საერთო ხელმძღვანელობით. ამის საჭიროება აღიარა ამა წლის მარტში მოსკოვში შემდგარმა მთელი საბჭოთა კავშირის კოლექტიურ მეურნეობათა წარმომადგენლების თათბირმაც.

ამ თათბირმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სახელმწიფო მრეწველობის აღორძინების და მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცების გამო ამჟამად შექმნილია უფრო ხელსაყრელი პირობები მიწათმოქმედებაში კოლექტიური ფორმების შემოღებისათვის. თათბირის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია, რომლის ნაწილსაც შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები (კომუნები, არტელები და ამხანაგობანი), „წარმოადგენს ამ პირობებში ერთად-ერთ შესაძლებელ ფორმას წვრილი გლეხური წარმოების ტეხნიკურათ გაუმჯობესებულ მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისთვის და ის ხდება საწარმოო ძალების განვითარების უდიდეს ფაქტორათ სოფლის მეურნეობაში" და რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია „ახორციელებს მიწათმოქმედების სოციალისტურ ორგანიზაციაზე გადასვლას". კოოპერაცია და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები მჭიდროთ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან საბჭოთა რუსეთში და ასევე უნდა იყოს საქართველოშიც. ჩვენში, მრავალი ობიექტიური პირობების გამო, დაგვიანდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება და კიდევ უფრო მეტად დაგვიანდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მშენებლობა. დღემდე ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მიწათმოქმედების კოლექტივიზაციას და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში არის შემჩნეული გლეხობაში ლტოლვა სასოფლო-სამეურნეო კომუნებში, არტელებში და მიწათმოქმედების ამხანაგობებში გაერთიანებისაკენ.

რაგინდ სუსტი და გამოურკვეველიც არ უნდა იყოს გლეხობის ეს მისწრაფება, მას ანგარიში უნდა გაეწიოს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრმა, წარმოკავშირმა, უნდა შესძლოს მისი ხელმძღვანელობა. მის ღარიბ და საშუალო გლეხობის მიდრეკილებას შრომის და წარმოების გაერთიანებისაკენ მხურვალე თანაგრძნობით უნდა შეხვდეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სოციალიზმი და კომუნიზმი. არავითარ გაუგებრობას და ფორმალურ დაბრკოლებებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

სამწუხაროთ, ჩვენში ყველასთვის ცხადი არ არის, რომ სასოფლო-სამეურნეო კომუნები და არტელები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ და მის უმაღლეს ფორმათ ითვლებიან. ზოგიერთებს დღემდე ვერ გაურკვევიათ სასოფლო-სამეურნეო არტელების და კომუნების განსხვავება შრომის არტელებისაგან, სამრეწველო არტელებისაგან.

სასოფლო-სამეურნეო არტელების და კომუნების მოწყობა და რეგისტრაცია, მათი წესდების დამტკიცება იმავე წესით სწარმოებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობების. არსებული კანონმდებლობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების და ამხანაგობების წესდებებს ამტკიცებს კოოპერატიული სამმართველო და არავითარი სხვა რეგისტრაცია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში თუ სხვა რომელიმე ორგანოში მათთვის საჭირო არ არის.

ყოველგვარ გაუგებრობას ამ მხრივ ბოლო უნდა მოეღოს და სასოფლო-[illegible]რება და მშენებლობა იმავე გზით უნდა წავიდეს ჩვენში, როგორც საბჭოთა რუსეთში.

ი. ბუაჩიძე.

საშემოსავლო გადასახადის კანონის შეცვლის საკითხი*)

ამ უკანასკნელ ხანებში წამოიჭრა საკითხი საშემოსავლო გადასახადის კანონის შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

ხსენებული კანონი შესდგება ორ ნაწილისაგან: პირველი ნაწილი შეეხება ძირითად გადასახადს, ხოლო მეორე მის ე. წ. პროგრესიულ მხარეს. ძირითად გადასახადს იხდიან ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ არა ნაკლებ 75 მ. თვეში. კანონის ძალით მუშა-მოსამსახურეები იხდიან ძირითად გადასახადს შემოსავლის რაოდენობის მიხედვით, ხოლო დანარჩენებს კი ეწერება არა შემოსავლის რაოდენობის, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რა წყაროდან აქვს მას შემოსავალი.

პროგრესიული მხარე ამ გადასახადისა ეხება იმათ, ვისი შემოსავალიც განსაზღვრულ რაოდენობას აღემატება, ვინც ღებულობს შემოსავალს: 1) სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულებებიდან, საკომისიო, საექსპედიციო ან საბირჟო ოპერაციებიდან; 2) საკუთარი შენობებისაგან, როგორც ქალაქად, ისე ქალაქ გარეთ, თუ მათ გაქირავებას კომერციული ხასიათი ეძლევა; 3) თავისუფალ თანხებიდან და სადივიდენდო ქაღალდებიდან; 4) რომელიმე სამრეწველო ან სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურიდან და სხვა რომელიმე ხელობიდან, თუ მასზე არ არის შეწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

როგორც მუშას, ისე მოსამსახურეს ეძლევა შეღავათი გადასახადის რაოდენობის გამოანგარიშების დროს შესაწერ ჯამიდან 900 მან. გამორიცხვის სახით.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატმა წამოაყენა საკითხი ძირითად გადასახადის მთლიანად მოხსნის შესახებ. ეს საკითხი ამიერ-კავკასიის საფინანსო კომისარიატის წინაშეც დაისვა.

უნდა ითქვას, რომ მოსაზრება საშემოსავლო გადასახადის ძირითად პრინციპების დაცვის აუცილებლობის შესახებ სწორი და უდავოა. თვითეული მოქალაქე საშემოსავლო გადასახადს უნდა იხდიდეს მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლის რაოდენობის მიხედვით.

მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, თუ როგორ პირობებში გვიხდება ჩვენ ამ უდავო პრინციპის ცხოვრებაში გატარება. მიზეზი, რომლის ძალითაც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ შეღავათები, ჩვენთვის ადვილი გასაგებია. მათი შემოსავლის რაოდენობის გამორკვევა ადვილია. თვით დაწესებულება, სადაც ესა თუ ის თანამშრომელი მსახურობს, აძლევს საგადასახადო აპარატს ცნობას მის ჯამაგირის რაოდენობის შესახებ. ამიტომ ადვილი ხდება მუშა-მოსამსახურის შემოსავლის სისწორით გამორკვევა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ წმინდა შემოსავლის გამორკვევის დროს სხვა წყაროებიდან. ხშირია შემთხვევა, როდესაც კერძო მოვაჭრე ან რომელიმე მრეწველი ცნობის მიწოდების დროს ამცირებს თავის შემოსავლის საერთო ჯამს. ტეხნიკურათ შეუძლებელია დღევანდელ პირობებში რომელიმე კერძო ინიციატორის ან თავისუფალ პროფესიის მქონე პირის წმინდა შემოსავლის სისწორით გამორკვევა.

ამიტომ ძირითად გადასახადის გაუქმებას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია რაიმე სარგებლობის მოტანა საშემოსავლო გადასახადის ცხოვრებაში სისწორით გატარების საქმეში.

გვეუბნებიან, რომ ძირითადი გადასახადი თავის არსებობით არ იძლევა სათანადო ფინანსიურ ეფექტსო. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია შევადაროთ ჯამი უკვე აკრეფილ გადასახადისა 1924 წ. პირველ იანვრიდან 30 ივნისამდე, როდესაც შემოღებული იყო კანონი წმინდა საშემოსავლო გადასახადისა, იმ ჯამთან, რომელიც შემოვიდა სახელმწიფოს სალაროში ამა წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, როდესაც შემოღებულ იქნა ძირითადი გადასახადი და რომლის წინააღმდეგ ამხედრდნენ ამ ბოლო დროს. 1924 წლის პირველი ნახევარი იძლევა საშემოსავლო გადასახადს: საქართველოში 296.000 მან., აზერბეიჯანში 270.000 მან. და სომხეთში 32.000 მან., ამავე წლის მეორე ნახევარში კი სურათი საგრძნობლად იცვლება: საქართველო იძლევა 511.000 მ., აზერბეიჯანი—370.000 მან., ხოლო სომხეთი 92.000 მან. ამნაირად, ძირითადი გადასახადის შემოღების შემდეგ შემოსავალი მატულობს საქართველოში 72 პროც. აზერბეიჯანში 36 პროც., სომხეთში—185 პროც.

ამის შემდეგ ძნელია ძირითადი გადასახადის უსარგებლობის მტკიცება. ის მთლიანად აგებულია კლასიურ პრინციპზე, რაც არ ეწინააღმდეგება ჩვენი ხელისუფლების მიერ შექმნილ მდგომარეობას. ამიტომ მისი გაუქმება, არსებულ პირობებში მაინც, არ იქნება მიზანშეწონილი.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო

დაკრძალვის მომწყობ კომისიისაგან

მოსკოვი, 1 ნოემბერი. ფრუნზეს დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს, 3 ნოემბერს წითელ მოედანზე დღის 13 საათზე მოსკოვის დროით.

კავშირთა სახლში დელეგაციების, ორგანიზაციების და აგრეთვე სხვა მოქალაქეების შესვლა შეწყვეტილი იქნება 3 ნოემბერს დილის 8 საათზე.

სრულ 13 საათზე მოსკოვის დროით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის ყველა გარნიზონებში მოხდეს სალიუტი ცარიელი ყუმბარებით, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანების № 1081 თანახმად.

კომისიის თავმჯდომარე—ენუქიძე.

რევოლიუც. სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი, 1 ნოემბ. ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია: „3 ნოემბერს, მოსკოვში, წითელ მოედანზე მოხდება უდროოთ დაკარგულ სამხ. და საზ. სახ. კომისარის, საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდომარის მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს დასაფლავება.

აღნიშნულ დროისათვის საბჭოთა კავშირის ყველა გარნიზონებში გარნიზონების უფროსების განკარგულებით ჯარები უნდა ჩამწკრივდნენ მოედნებზე სამოქალაქო ორგანიზაციების თანადასწრებით.

ფრუნზეს ნეშტის ჩასვენების საათზე უნდა დაიწყოს სალიუტი საარტილერიო სროლით. ამასთანავე მოსკოვში და ლენინგრადში მოხდება 100 გასროლა, ხარკოვში—50, სხვა დანარჩენ გარნიზონებში—25. კრონშტადტში და სევასტოპოლში სალიუტს ახდენენ სანაპირო ბატარიები ან სამხედრო გემები. კრონშტადტში—50, სევასტოპოლში—25. იმ გარნიზონებში, სადაც არტილერია არ მოიპოვება—ხდება თოფების გასროლა.

დასაფლავების სამხედრო ცერემონიალის მოწყობა მოსკოვში ევალება მოსკოვის ოლქის ჯარების უფროსს.

ოლქის ჯარების უფროსებზე გაცემულ განკარგულებათა თანახმად, ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებათ გამოწვეულ უნდა იყვნენ მოსკოვის გარნიზონის ყველა ნაწილები. ამას გარდა ცერემონიალში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შეერთებულმა ნაწილებმა და სამხედრო ოლქების წარმომადგენლებმა.

1—7 ნოემბრამდის, ამავე დღის ჩათვლით, გამოცხადებულია წითელი არმიის სამგლოვიარო კვირეთ.

მოსკოვი გლოვობს

მოსკოვი, 1 ნოემბერი. 1 ნოემბერს მოსკოვი სამგლოვიარო სახეს იღებს.

კავშირთა სახლთან ახლო-მდებარე [illegible] გაჭედილი მშრომე[illegible] სადაც ფრუნზე ასვენია.

მოსკოვის რაიონებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში თავს იყრიან მუშები და მუშა-ქალები კავშირთა სახლისაკენ მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებათ.

ასეთივე არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა ყაზარმებში. წითელარმიელები ცდილობენ მოხვდნენ საპატიო ყარაულში. ზოგიერთ ყაზარმებში ფრუნზესთან ერთად სამხედრო მოქმედებაში მონაწილეები უზიარებენ ახალგაზრდა წითელარმიელებს თავიანთ მოგონებებს.

მოსკოვი, 1 ნოემბ. 2 ნოემბერს დიდ თეატრში გაიმართება საბჭოთა კავშირის ცაკის, სრულიად რუსეთის ცაკის, საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს, საბჭოთა რუსეთის [illegible] საბჭოს, საბჭოთა კავშირთა პროფკავშირთა [illegible]ლურ საბჭოს, მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, რ. კ. პ. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტროლო კომისიის, რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენელთა გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად.

გლოვის დღე

მოსკოვი, 1 ნოემბ. მოსკოვის საბჭოს დადგენილებით ფრუნზეს დაკრძალვის დღე 3 ნოემბერი ცხადდება სამგლოვიარო დღეთ მოსკოვის და მოსკოვის გუბერნიაში.

ამ დღეს მუშაობა არ სწარმოებს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში, გარდა რკინისგზებისა, ელექტრონის სადგურებისა, წყალსადენისა, კანალიზაციის და სახალხო კვების დაწესებულებათა.

არ სწარმოებს აგრეთვე მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში; არ სწარმოებს მეცადინეობა ყველა სამოქალაქო და სამხედრო სკოლებში.

კუბოს საფლავში ჩასვენების დროს 1 საათზე მოსკოვის ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში და რკინისგზებზე მისცემენ საყვირებს 1 წუთის განმავლობაში.

მოსკოვი, 1 ნოემბ. დაკრძალვის მომწყობმა მთავრობის კომისიამ ფრუნზეს დაკრძალვის დღე 3 ნოემბერი გამოაცხადა გლოვის დღეთ მთელ საბჭოთა კავშირში.

ნეშტის გადატანა კავშირთა სახლში

მოსკოვი, 1 ნოემბერი. 31 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე ბოტკინის საავადმყოფოში მივიდნენ რ. კ. პ. ცეკას საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები და სხვადასხვა დელეგაციები ფრუნზეს ნეშტის გადასასვენებლად კავშირთა სახლის დიდ დარბაზში.

ფრუნზეს კუბო გამოიტანეს უნშლიხტმა, მოლოტოვმა, ენუქიძემ და სხვებმა და დაასვენეს დიდ წითელ ბალდახინზე, რომელიც განათებული იყო 6 ჩირაღდნით.

კუბოს წინ მიდიოდა ერთცხენიანი ეტლი ცოცხალი ყვავილებით. საპატიო ყარაულს შეადგენდა საბჭ. კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის სახელობის გაერთიანებული სკოლის ცხენოსანი რაზმი.

მიუხედავათ იმისა, რომ გვიანი იყო და თან სთოვდა, ქუჩები გაჭედილი იყო მშრომელებით. ყველა შენობები მორთული იყო სამგლოვიარო წითელ-შავი დროშებით, ვიტრინებში გამოკიდებული იყო ფრუნზეს სურათები.

კუბოს მიჰყვებოდნენ უნშლიხტი, მოლოტოვი და ენუქიძე. კავშირთა სახლთან მიახლოვების დროს მთავარ შესავალთან ჩამწკრივდა საპატიო ყარაული. ორკესტრი ასრულებდა სამგლოვიარო მარშს.

კუბოს მიუახლოვდნენ მთავრობის და რ. კ. პ. ცეკას წევრები ზინოვიევი, სტალინი, კალინინი, ტომსკი, ბუხარინი და სხვ. კუბო გადმოასვენეს ბალდახინიდან და შეასვენეს დარბაზში კალინინმა, ზინოვიევმა, სტალინმა, ბუხარინმა, ტომსკიმ, უნშლიხტმა და მოლოტოვმა.

დარბაზში გარდა საპატიო ყარაულისა და მთავრობის წევრებისა იმყოფებოდნენ განსვენებულის ოჯახის წევრები.

კავშირთა სახლში

მოსკოვი. 31 ოქტ. ამა 31 ოქტომბერს, 23 საათზე საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდომარის და სამხ. და საზღვაო სახ. კომისარის ამხ. ფრუნზეს ნეშტი ბოტკინის საავადმყოფოდან გადასვენებულ იქნება კავშირთა სახლში.

კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის სამძიმარი

მოსკოვი, 2 ნოემბერი. „კომინტერნის აღმასკომმა ფრუნზეს სახით დაკარგა ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი. მთელ მსოფლიოს მოწინავე მუშები იცნობენ ფრუნზეს, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონერს, რომელიც ყოველთვის მზად იყო სიცოცხლე შეეწირა საერთაშორისო პროლეტარიატის საქმისათვის. წითელი არმიის გმირი და ბელადი, რუსეთის დიდი რევოლიუციის პირმშო შვილი, ის იყო საერთაშორისო პროლეტარულ ბრძოლის გმირი. საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი გულის ფანცქალით თვალყურს ადევნებდა წითელი არმიის ყოველ მოძრაობას რუსეთის რევოლიუციისათვის ყველაზე კრიტიკულ წუთებში. ყველაზე საშიშ ადგილას და ყველაზე საპასუხისმგებლო წუთებში ის ხედავდა ფრუნზეს. მთელი მსოფლიოს მუშათა უბნებში მუშა-კომუნისტები იცნობენ და უყვართ ფრუნზე. მუშათა ახალგაზრდობა აღიზრდება ფრუნზეს მშვენიერ მაგალითზე, ფრუნზემ გამოიარა მეფის კატორღა და მთელი თავისი ძალღონე უსწირა კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს. საერთაშორისო პროლეტარიატს მუდამ ეხსომება ჭეშმარიტი ბოლშევიკი, ნამდვილი ინტერნაციონალისტი ფრუნზე".

პროფინტერნის აღმასკომის სამძიმარი

მოსკოვი, 2 ნოემბერი. „პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ მუშათა სახელით უცხადებს ულრმეს თანაგრძნობას რუსეთის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა კავშირის მშრომელებს. კომუნიზმისათვის თავდადებულ და ერთგულ მებრძოლის ფრუნზეს გარდაცვალების გამო. ეს დანაკლისი მით უმეტეს მძიმეა, რომ ფრუნზეს იყო ერთი იმათგანი, ვინც თავის მხრებზე გადიტანა მრავალწლოვანი ბრძოლა ყველა ფრონტებზე, ვინც იბრძოდა რუსეთის კონტრ-რევოლიუციის და უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ, ვინც შექმნა წითელი არმია და ვისაც მიჰყავდა იგი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ამ გამოჩენილ სამხედრო ბელადის, ძველი გამობრძმედილი კომუნისტის გარდაცვალებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს მთელ მსოფლიოში გაფანტულ მრავალ მილიონიან პროლეტარიატის გულში ულრმეს მწუხარებასთან ერთად, სურვილი ხელი შეუწყონ იმ დიად საქმეს, რომლის ერთ-ერთი მშენებელი იყო განსვენებული ფრუნზე. მძიმე დანაკლისი მოუვიდა რუსეთის კომპარტიას და საბჭოთა კავშირის ხალხებს. მაგრამ რევოლიუციის და საერთაშორისო მუშათა კლასის ძალები დაუშრეტელია და და ისინი შესძლებენ, თუმცა დიდი შრომით იარონ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ფრუნზე გარდაიცვალა, მაგრამ სცოცხლობს წითელი არმია. წითელი პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო".

ამხ. ლ. დ. ტროცკის დეპეშა

მოსკოვი, 2 ნოემ. რ. კ. პ. ცეკამ ტროცკისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„თავზარი დამცა ცნობამ რევოლიუციის გმირ მებრძოლის, პარტიის თავდადებულ ჯარისკაცის, წითელი არმიის უკვდავ სამხედრო უფროსის მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ. დიდია დანაკლისი პარტიის პირველ რიგებში! რაოდენ დიდია უბედურება ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე!".

ამხ. მ. ი. კალინინის წერილი

„ბედისწერა თითქოს [illegible] უხდის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ძველ მსოფლიოზე მუშების გამარჯვების გამო.

განსაკუთრებით დიდია მსხვერპლი უკანასკნელ წლებში. საჭიროა მოვიგონოთ ნარიმანოვის, მიასნიკოვის, ვლადიმიროვის, სკლიანსკის დაკარგვა. ბოლოს მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს გარდაცვალება. განსაკუთრებით სამძიმოა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და მისი წითელი [illegible] ერთად-ერთი ნუგეშია—[illegible] საუკეთესო ძეგლი მიხეილ ვასილისძისათვის იქნება მისი საყვარელი წითელი არმიის გაძლიერება.

განისვენე, ძვირფასო ამხანაგო, რომელმაც შეასრულე თავისი მოვალეობა, კომუნისტო და მეომარო! ცოცხლებმა კიდევ უფრო შევამჭიდროთ რიგები მუშათა კლასის იდეალების განსახორციელებლათ ბრძოლისათვის".

უცხოელები ამხ. ფრუნზეს შესახებ

მოსკოვი, 2 ნოემბ. პოლონეთის სამხედრო წარმომადგენელმა კობილიანსკიმ შემდეგი სიტყვებით დაახასიათა ფრუნზე:

„გასული წლის მარტიდან მე საშუალება მქონდა თვალყური მედევნებია ფრუნზეს სამხედრო მუშაობისათვის. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ გადაიტანა თავისი არსებობის ერთ-ერთი უძნელესი ეტაპი, სახელდობრ, პერიოდი რეორგანიზაციის სრულიად ახალ საფუძველზე.

ეს უდიდესი მუშაობა შესრულებული იქნა მისი ხელმძღვანელის ფრუნზეს ძლიერი ნებისყოფის წყალობით.

ტერიტორიალურმა სისტემამ, რომელიც წარმოადგენს წითელი არმიის მთელი მშენებლობის მთავარ საძირკველს, ფრუნზეს გარდაცვალებით დაჰკარგა თავისი ინიციატორი და თავგამოდებული დამცველი. ტერმშენებლობის თეორეტიული დასაბუთება და მრავალი ღონისძიებები და მის ცხოვრებაში გასატარებლათ შეადგენენ ამჟამად ფართო შესწავლის საგანს ყველა თანამედროვე სამხედრო სპეციალისტებისათვის.

მე რამოდენიმეჯერ შევხვედრივარ ფრუნზეს და ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემზე მისი თავმდაბლობა და თავაზიანობა, რაც სჩვევიათ მხოლოდ განსაკუთრებული ხასიათის მქონე ადამიანებს".

უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენელთა სამძიმარი

კვირას, 1 ლ ნოემბერს, საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინს ეწვია გერმანიის გენერალურ კონსულის მოვალეობის აღმასრულებელი თბილისში ზ. შრეიდერი, რომელმაც სთხოვა მას გადაეცა საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მთავრობებისათვის თავისი თანაგრძნობა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

ამასთანავე თანაგრძნობის წერილები გამოგზავნეს ოსმალეთის გენერალურმა კონსულმა ნური-ბეიმ, იტალიის გენერალურმა კონსულმა ვინჩენცო გალანტიმ და გერმანიის გენერალურმა კონსულმა შლეიზენერმა.

იაპონიის საელჩოს სამძიმარი

მოსკოვი, 1 ნოემბ. ბოტკინის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა ამხ. ფრუნზე, მოვიდა იაპონიის საელჩოს წარმომადგენელი და იაპონიის მთავრობის სახელით ღრმა მწუხარება გამოსთქვა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

იტალიის საზღვაო - საავიაციო ატაშეს განცხადება

მოსკოვი, 1 ნოემბ. იტალიის საზღვაო-საავიაციო ატაშემ—პირველი რანგის კაპიტანმა პირალიემ ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო განაცხადა შემდეგი:

„ისეთ საყვარელ და პატივცემული ბელადის სიკვდილი, როგორც ფრუნზე უდიდეს დანაკარგს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მთელი ჯარისა, ფლოტისა და ავიაციისთვის. ამიტომ მე ვესწრაფი ულრმესი მწუხარება გამოგიცხადოთ იტალიის ჯარისა, ფლოტისა და ავიაციის სახელით".

ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლის სამძიმარი

მოსკოვი, 1 ნოემბ. ჩეხო-სლოვაკიის სრულუფლებოვანმა წარმომადგენელმა მოსკოვში—გირსმა პირადათ ინახულა საგარეო საქ. სახ. კომისარი და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის სახელით სამძიმარი გამოსთქვა ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

პოლონეთის მთავრობის სახელით.

მოსკოვი, 1 ნოემბერი. პოლონეთის საქმეთა რწმუნებულმა საბჭ. კავშირში—ვიელინსკიმ ინახულა საგარეო საქმეთა სახ. კომისარი და თავისი მთავრობის სახელით მწუხარება გამოსთქვა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიის ყველა წევრებისა, მუშებისა და გლეხებისადმი

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. ამხანაგებო! გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა ჩვენი პარტიის თავდადებული მებრძოლი, მისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, ფრუნზე.

ფრუნზე ეკუთვნოდა ბოლშევიკების იმ სახელოვან ფოლადისებურ გვარდიის, რომელიც ცარიზმის ბოროტებისა და მათი მათრახების ქვეშ არალეგალურათ ძირს უთხრიდა საზიზღარ თვითმპყრობელობას, რომელმაც შესძლო მასების შეკავშირება, პროლეტარული პარტიის რიგების განმტკიცება და მრავალ მილიონ რევოლიუციონურ მშრომელების ჩაბმა ბრძოლაში, რომელმაც შესძლო გამარჯვების მოპოვება კაცობრიობის ისტორიაში არგაგონილ ბრძოლებში და რომელსაც მიყავდა და მიყავს პარტია და მისი საშუალებით მთელი ხალხი სოციალიზმის დიად აღმშენებლობისაკენ.

პირადი ისტორია ფრუნზესი, რომელიც ჩვენი ძვირფასი მებრძოლი ამხანაგი იყო და რომლის გულის ცემამაც შესწყდა 31 ოქტომბერს ღამით,—არის ჩვენი პარტიის ისტორიის ანარეკლი,—იმ პარტიის, რომელიც მამაცი, გაბედული და თავდადებული მებრძოლია და რომელიც ყველა ფესვებით გადაბმულია მუშათა უბნებთან.

დიდი ოქტომბრის ბარიკადები, სამოქალაქო ომის აურაცხელი ფრონტები იცნობდენ ფრუნზეს, როგორც თავის გმირს, რომელიც არ ეშორდებოდა ცეცხლის ხაზს, იცნობდენ მას, როგორც პროლეტარული გამარჯვების ერთ-ერთ უდიდეს ორგანიზატორს. არა ერთხელ და არა ორჯერ გადაურჩა ფრუნზე სიკვდილს. არა ერთხელ და არა ორჯერ აღუმართავს სიკვდილს ფრუნზეზე თავისი ცელი. ის უვნებლათ გამოვიდა სამოქალაქო ომის გმირული ბრძოლებიდან და მთელი თავისი დაუდგრომელი ენერგია, მთელი თავისი ორგანიზატორული ნიჭი შესწირა ჩვენი აღმშენებლობის საქმეს და სათავეში ჩაუდგა ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას.

ეხლა ეს გაჭაღარავებული მებრძოლი სამუდამოთ მოგვშორდა ჩვენ. ველარ გასძლო მისმა გულმა, რომელმაც ამდენი ბრძოლები გადაიტანა, რომელიც ასეთი მხურვალე სიყვარულით ძგერდა ყველა ჩაგრულთა მიმართ.

გარდაიცვალა დიდი რევოლიუციონერი-კომუნისტი. მოკვდა ჩვენი სახელოვანი მებრძოლი ამხანაგი. გარდაიცვალა წითელი არმიის ძლევამოსილი ბრძოლების ხელმძღვანელი. მოკვდა მისი უდიდესი მშენებელი.

მთელი ჩვენი პარტიის სახელით ცენტრალური კომიტეტის დროშას დაბლა ვხრით ფრუნზეს ნეშთის წინაშე.

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას, რომლის შვილიც იყო ფრუნზე! გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა განსვენებული მებრძოლი!

რ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ავადმყოფობის ისტორია

მოსკოვი, 1 ნოემბერი. როგორც განკვეთამ დაამტკიცა, ფრუნზეს ავადმყოფობა მდგომარეობდა ერთის მხრივ იმაში, რომ 12 გოჯა ნაწლავში ყოფილა მრგვალი წყლული, რომელიც შემდეგ დანაწიბურებულა და გამოუწვევია ნაწიბურების გაჩენა თორმეტ გოჯა ნაწლავის, კუჭის გამოსავლის და ნაღვლის ბუშტის გარშემო. მეორეს მხრივ 1916 წელს ჭიაყელა ნაწლავის ამოჭრას მოჰყოლია ანთებითი პროცესი მუცლის ღრუში.

29 ოქტომბერს ფრუნზეს გაუკეთდა თორმეტ გოჯა ნაწლავის ოპერაცია. ამ ოპერაციამ გამოიწვია ქრონიკულ ანთებით პროცესის გამწვავება, რასაც მოჰყვა გულის მოქმედების დაცემა და ავადმყოფის სიკვდილი.

განკვეთის დროს მკერდუკანა ჯირკვლის ამოჩენა იძლევა საბაბს ვიფიქროთ, რომ განსვენებულის ორგანიზმი [illegible] გამძლე ნარკოზი[illegible] [illegible] უნარი ჰქონია მას ინფექციის მიმართ.

უკანასკნელ ხანებში შემჩნეული სისხლის დენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან აიხსნება ზერელე დაწყლულებით (ეროზიებით) კუჭსა და თორმეტ-გოჯა ნაწლავში, რაც შედეგად მოჰყოლია აღნიშნულ ნაწიბურების გაჩენას.

განკვეთა მოახდინა პროფესორმა აბრიკოსოვმა.

ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოადგილე **სოლოვიევი**. მთავარი ექიმი **მოლოდენკოვი**. პროფესორები: **აბრიკოსოვი, გრეკოვი, მარტინოვი, ობროსოვი, პლეტნევი**.

ექიმები: **შიმშელევიჩი, ოჩკინი, მრიდანიკოვი**.

მოსკოვი, 1 ნოემბერი. 30 ოქტომბერს ფრუნზეს მდგომარეობა ერთბაშად გაუარესდა, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარი ზომები იყო მიღებული გულის მოქმედების ასაწევად. პროფესორები გრეკოვი, მარტინოვი, პლეტნევი, როზანოვი, ობროსოვი და ექიმები ოჩკინი და ნეიმანი [illegible] გარდაიცვალა [illegible] 5 საათზე და 40 წუთზე გულის სიდამბლის გამო.

გონების დაკარგვა დაიწყო 40 წუთით ადრე გარდაცვალებამდე,

როზანოვი, პლეტნევი, ობროსოვი, ოჩკინი, ნეიმანი.

დაკრძალვის მომწყობ კომისიის შემადგენლობა

მოსკოვი, 1 ნოემბერი. ფრუნზეს დამკრძალავ კომისიის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარედ—**ენუქიძე**, წევრები: **უნშლიხტი, ბუბნოვი, ლიუბიმოვი, უგლანოვი, მიხაილოვი, ბელოვი, პეტროვსკი, პავლიუკევიჩი, ტერ-გაბრიელიანი, იაკოვლევი, ასფენდიაროვი და კნორინი.**

პროფორგანიზაციების სამძიმარი

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმისაგან

მოსკოვი, 2 ნოემბერი. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმმა გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოს სამძიმარის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„მხურვალე, ამხანაგურ თანაგრძნობას უცხადებთ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს, რომელმაც დაჰკარგა თავისი ბელადი და ხელმძღვანელი ფრუნზე. განათლების ყველა მუშაკებს ახსოვთ ფრუნზეს გამოსვლა სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობაზე. მან მკაფიოთ გაამუქა ის განუწყვეტელი კავშირი, რომელიც არსებობს კულტურულ მუშაკთა არმიასა და წითელ არმიას შორის.

ამ კავშირს ჩვენ განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ რევოლიუციის საკეთილდღეოთ, იმ საქმის სასარგებლოთ, რომელსაც სიცოცხლე შესწირა ფრუნზემ. მიხეილ ვასილისძეს ხსოვნა სამუდამოდ დარჩება განათლების მუშაკთა გულში“.

მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 2 ნოემბერი. მოსკოვის პროფესიონალურ კავშირების სახელით მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი თავის ღრმეს თანაგრძნობას უცხადებს რ. კ. პ. ცეკას, რ. კ. პ. უძველეს წევრის, მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწის, წითელი არმიის და მუშათა კლასის გამარჯვებათა ორგანიზატორის—ფრუნზეს გარდაცვალების გამო“.

უკრაინის მშრომელთა სამძიმარი

ხარკოვი. 1 ნოემბ. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის და სახ. კომისართა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა გამოჰყოს კომისია ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად.

უკრაინის ცაკმა და სახ. კომისართა საბჭომ დაადგინეს დაიხუროს თეატრები ხარკოვში დაკრძალვის დღეს და აკრძალული იქნას უკრაინის ტერიტორიაზე [illegible]

ფრუნზეს დაკრძალვის მზადებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა მოსკოვში უკრაინის ცაკის თავმჯდომარე პეტროვსკი.

ხარკოვი. 1 ნოემბ. კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ზომების შემუშავება ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად, დაადგინა გაეგზავნოს ფრუნზეს დაკრძალვაზე ჯარების ნაწილები უკრაინის სხვადასხვა ადგილებიდან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 8 ნოემბერს, დღის 14 საათზე თბილისის დროით, როცა საფლავს მიაბარებენ საბჭოთა კავშირის ცაკის წევრს, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს** ცხედარს, დახრილი იქნენ ხუთი წუთით ყველა სახელმწიფო დროშები ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ მთავრობების შენობებზე, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის და ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებების და ორგანოების შენობებზე.

2. წინანდელ მუხლში აღნიშნულ საათში მოხდეს სალიუტი ზარბაზნებით ბატარეების ან მწყობრების მიხედვით 25 გასროლით; იმ გარნიზონებში კი, სადაც არ არის ზარბაზნები, მოხდეს 25-ჯერ ერთბაშად გასროლა ცარიელი ვაზნებით გუნდების ან მწყობრების მიერ, ჯარების რაოდენობის მიხედვით. აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებშიაც მოხდეს სალიუტი საყვირებით ხუთი წუთის განმავლობაში.

3. შეწყდეს ყოველგან მუშაობა და მეცადინეობა გასროლის და საყვირების სალიუტის დროს.

4. ფაბრიკებმა, ქარხნებმა და დაწესებულებებმა გამოჰყონ დელეგატები ჯარის ნაწილების სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად, რისთვისაც დელეგატების პროცესიაში მონაწილეობის წესრიგი შეთანხმებული უნდა იქნეს სათანადო გარნიზონების უფროსებთან.

5. ეს დადგენილება შევიდეს ძალაში რადიო-ტელეგრაფით.

ამიერ - კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. ცხაკაია.**

ამიერ - კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: **ა. შავერდოვი.**

1925 წ. 2 ნოემბერი.

თბილისი—სასახლე.

საქართველოს ცაკის დეპეშა

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს

ცნობამ წითელი არმიის ბელადის ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ ღრმად დაგვამწუხრა ჩვენ. ძალიან მძიმეა ეს დანაკლისი მთელი საბჭოთა კავშირისათვის. მთელი კავშირის მშრომელებმა დაჰკარგეს მისი სახით ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი, ერთ-ერთი მედგარი და შეუპოვარი მებრძოლი მათი უფლებებისათვის.

აღარ გვყავს ყველაზე უფრო დამსახურებული წითელი გენერალი, პერეკოპის გმირი, კოლჩაკის და ვრანგელის გამანადგურებელი, მაგრამ მისი მაგალითი იცოცხლებს ჩვენში და მუდამ მოგვიწოდებს ახალ მსხვერპლისაკენ, როცა ეს საჭირო იქნება დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად და ლენინის ანდერძის განსახორციელებლად.

ჩვენ, საქართველოს მუშები და გლეხები, ფიცს ვსდებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც შექმნილი და განმტკიცებულია კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასის და წითელი არმიის გმირული ბრძოლითა და მძიმე მსხვერპლის გაღებით, ჩვენ დავიცავთ ან მოვკვდებით მასთან ერთად.

დიდება დაღუპულ გმირს!

გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს წითელ არმიას!

საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

აზერბაიჯანის [illegible] სამძიმარი

[illegible]

ბაქო, 2 ნოემ. ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო აზერბეიჯანის ცაკმა საგანგებო მოწოდებით მიმართა აზერბეიჯანის მუშებს და გლეხებს.

ბაქოს საბჭოს სამგლოვიარო სხდომა

ბაქო, 2 ნოემბ. 1 ნოემბერს საღამოთი დიდ სახელმწ. თეატრში შესდგა ბაქოს საბჭოს გაფართოებულ პლენუმის სხდომა პარტიულ, პროფესიონალურ, გლეხურ და წითელარმიის ორგანიზაციებთან ერთად, კრება გახსნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე [illegible] ფრუნზე დაახასიათა როგორც უდიდესი სამხედრო ორგანიზატორი, რომელმაც პირველი საბედისწერო დამარცხება აგემა კოლჩაკს და საბოლოოთ დაამარცხა ვრანგელი.

დადგენილ იქნა სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის ცაკს, რევ. სამხ. საბჭოს, პარტიის ცეკას და განსვენებულის ოჯახობას. აუცილებლათ იქნა ცნობილი ფრუნზეს ძეგლის დადგმა ბაქოში. მიღებულ იქნა მიმართვა ბაქოს მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელებისადმი.

სამგლოვიარო სხდომა

კვირას, პირველ ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად შესდგა ამიერ-კავკასიის ცაკის, საქართველოს ცაკის, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების თანადასწრებით.

სამგლოვიარო სხდომა გახსნა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ.

ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება

ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად მოწვეულ სამგლოვიარო კრებას გახსნილად ვაცხადებ. (მთელი დარბაზი ფეხზე დგება სიმფონიური ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს).

ამხანაგებო, ჩვენ დიდი დანაკლისი გავიღეთ. მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ, რომელიც ერთად-ერთია მსოფლიოში, დაკარგა ერთ-ერთი უდიდესი რევოლიუციონერი არა მარტო რევოლიუციის დროს, არამედ რევოლიუციამდეც.

საერთოდ ეს წელი ბედნიერი არ არის ჩვენთვის. თუ ჩვენ 1922 წელში დავკარგეთ პროლეტარიატის უდიდესი ბელადი—ამხ. ლენინი, 1925 წელმა ჩვენ გამოგვტაცა რამდენიმე ძვირფასი ამხანაგი. ამხ. ფრუნზეს დაკარგვა ჩვენთვის მძიმეა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფრუნზე არ იყო მოხუცებული. მან დიდი ნიჭი გამოიჩინა ჩვენი წითელი არმიის შექმნის და ჩამოყალიბების საქმეში. მართალია, ჩვენ არ ვიცით ცრემლები და ტირილი, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პროლეტარიატი არ დაივიწყებს იმ ადამიანის სახელს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პროლეტარიატის განთავისუფლებას და მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცებას შესწირა. (სამგლოვიარო ჰიმნი).

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

ამხანაგებო, წლევანდელ წელს, დიდ გამარჯვებებთან ერთად მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის დარგებში, მოაქვს ჩვენთვის დიდი ჭრილობებიც.

ამ დარბაზში, სადაც ჩვენ მივეჩვიეთ ზეიმობას გამარჯვებათა გამო, წელს მესამეჯერ ვიკრიბებით, რომ უთხრათ გამოსათხოვარი სიტყვა იმ ამხანაგებს, რომელნიც ორი ათეული წლის განმავლობაში იბრძოდენ პროლეტარიატის რიგებში და მის გამარჯვებას შესწირეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ.

ამ წელიწადში ორჯერ იხდება ამ ტრიბუნიდან ვილაპარაკო უახლოეს მეგობრებზე, რომელნიც უკვე აღარ არიან ჩვენთან. რაღაც რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ამ ტრიბუნიდან ჩვენ ვლაპარაკობდით ალიოშას, ათარბეგოვის მოგილევსკის და ნარიმანოვის, დაკარგვის შესახებ.

ჯერ კიდევ ისინი მიწისთვის არ მიგვებარებია, როცა ჩვენ მივიღეთ ცნობა ვლადიმიროვის, მარხლევსკის დაკარგვის შესახებ. დაიღუპენ აგრეთვე სკლიანსკი, ხურგინი, ხოლო გუშინ დილით ჩვენ მივიღეთ საშინელი დეპეშა, რომ გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მიხეილი. ერთი დღით ადრე ჩვენი საყვარელი მეგობრისაგან ჩემს შეკითხვაზე მის ჯანმრთელობის შესახებ მიღებული გვქონდა შემდეგი დეპეშა: „კარგად ვარ, [illegible]ლამი. 28 ოქტ. მიხეილი“.

ორი კვირის წინათ, როდესაც მას ვემშვიდობებოდით კრემლის საავადმყოფოში, არც მას, არც მე, არც ვინმე სხვას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ 31 ოქტომბერი საბედისწერო დღე იქნებოდა ძვირფასი ფრუნზესათვის; რა რწმენით, რა იმედით მიდიოდა იგი საოპერაციოთ, მაგრამ მისი იმედი, რომ ამ ოპერაციიდან გამარჯვებული გამოვიდოდა, არ გამართლდა, და გულმა, რომელმაც გადაიტანა სამი ათეული წლის მედგარი ბრძოლა, კატორღა, ციხე და დიდი ბრძოლების საშინელებანი სამოქალაქო ომის დროს, ბოლოს ველარ გასძლო და გასკდა.

აღარ არის ძვირფასი ფრუნზე. თხელდება ძველი გვარდიის რიგები ეს ასეც უნდა იყოს. რა მაგარიც არ უნდა იყოს ორგანიზმი, დრო მაინც თავისას შვრება: ანგრევს, ფიტავს მას და ბოლოს პროლეტარული საქმის მოყვარული გული ჩერდება. ეს არის ყოველი ჩვენგანის ხვედრი.

მე მგონია, ჩვენს ძველ გვარდიაში არ უნდა იყვეს არც ერთი ისეთი გულუბრყვილო ამხანაგი, რომელიც თავის თავს კანდიდატად არ სთვლიდეს უმაღლეს პატივისცემისათვის ჩაესვენოს კრემლის კედლის ძირში ან და ალექსანდრეს ბაღის ხის ქვეშ.

ჩვენ ეს არ გვაშინებს. მაგრამ, როდესაც ჩერდება გული ისეთი ამხანაგის, როგორც ამხ. ფრუნზე იყო, გული, რომელიც ყოველთვის სცემდა მუშათა საქმისთვის; როცა საფლავში მიდის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფრუნზე,—ენერგიითა და სურვილით ალსავსე იბრძოლოს პროლეტარიატის საქმისათვის,—ჩვენ ყველას დარდი გვიპყრობს და მწარე ნაღველით გვევსება გული. და ეს არა იმიტომ, როგორც ამბობს ჩვენი ძვირფასი მიხა, არა იმიტომ, რომ იგი ჩვენი დიდი მეგობარი იყო, არა! [illegible] ჩვენ ცოტა გვყავს მეგობრები [illegible] ჩვენი პარტია არის კავშირი მეგობართა, და ჩვენ რომ მეგობრობა არა გვქონდეს, არ გვქონდეს სიყვარული ერთმანეთისადმი, ვერ მოვახდენდით დიდ ოქტომბრის რევოლიუციას.

ამხ. ფრუნზეს სახით ჩვენ ვკარგავთ უსათუოდ მეტად დიდს ადამიანს, ჩვენი პარტიის მეტად დიდ მუშაკს [illegible] ჩვენ მას არ ვუწოდებდით ჩვენი პარტიის ბელადს, ჩვენი რევოლიუციის ხელმძღვანელს.

მართალია, მისი სახელი არ იწერებოდა ლენინისა და სხვა ბელადების გვერდით, მაგრამ, ამხანაგებო, ის, ვინც მასთან დაახლოვებული იყო, ვისაც მასთან ჰქონდა საქმე, იტყვის, რომ ამხ. ფრუნზე იყო უდიდესი მოღვაწე; ჩვენი წითელი არმიის საუკეთესო წინამძღოლი.

სამხედრო ცოდნის, სამხედრო ძალების მოწყობის თვალსაზრისით ამხ. ფრუნზეს ბადალი არა ჰყავდა საბჭოთა კავშირში, მას ტოლი არ ჰყავდა ჩვენი პარტიის წევრთა რიგებში.

ჩვენმა ამხანაგებმა,—სამხედრო პირებმა იციან, რომ ამხ. ფრუნზეს არავითარი სამხედრო განათლება არ მიუღია; მიუხედავათ ამისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი იყო თავის საქმის დიდი მცოდნე, კოლჩაკისა და ვრანგელის დამარცხების უბადლო ორგანიზატორი. თქვენ იცით, რა ენერგიით უტევდა იგი ჩვენს მტრებს. თქვენ ყველამ ნახეთ მისი მუშაობის ნაყოფი, ნახეთ რომ კაცმა, რომელსაც არ მიუღია სპეციალური სამხედრო სწავლა, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მათ, რომელთაც გაიარეს სამხედრო მეცნიერება და ვინც მეთაურობდენ ჩვენი მტრების სამხედრო ძალებს.

დიდი რევოლიუციები ყოველთვის შობდენ დიდ ადამიანებს, დიდ მთავარსარდლებს, და გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენმა ოქტომბრის რევოლიუციამ სხვა მრავალ დიდ სახელებთან ერთად,—აღმოაბრწყინა ვარსკვლავი ამხ. ფრუნზესი, რომელიც თავდადებული იყო რევოლიუციისა და პროლეტარიატის საქმისთვის.

ამხანაგებო, როცა ომი დასრულდა და საჭირო შეიქნა ჩვენი არმიის სხვაგვარად მოწყობა, ამხ. ფრუნზე იყო ერთი მათგანი, რომელმაც წამოაყენა ეს საკითხი და დაიწყო მისი გადაჭრა თავისებურად.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში არ იქნება არც ერთი ამხანაგი, რომელსაც საქმე ჰქონოდეს მასთან და არ გამსჭვალულიყოს მისადმი უღრმესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით.

დღეს, ამხანაგებო, იგი ჩვენთან აღარ არის. ორი დღის შემდეგ ის სამუდამოდ დაგვშორდება ჩვენ. დაიმარხება და მიწა მიეყრება მის სხეულს.

წითელი არმია ჰკარგავს, ამხანაგებო, წინამძღოლს, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია ტირილი, და ჩვენ შევსძახებთ: „წითელმა არმიამ დაჰკარგა წინამძღოლი—გაუმარჯოს წითელ არმიას! ძველი გვარდიის რიგებს აკლდება ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი—გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა გვარდიას!“

ჩვენი კომუნისტური პარტია ჰკარგავს ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჰკარგავს ერთ საუკეთესო მებრძოლს.

—ჩვენ ვიტყვით:—გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო, ამხ. ფრუნზეს დაკარგვა მეტად დიდი დანაკლისია ჩვენთვის. მისი დაკარგვა მით უფრო მძიმეა იმიტომ, რომ ეს მოულოდნელი იყო, იმიტომ რომ ამხ. ფრუნზე უდიდეს საპასუხისმგებლო ადგილს ეჭირა. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ძველი გვარდიის ერთ-ერთი უდიდესი წევრი, ძველი არალეგალური მუშაკი, რომელიც სასტიკ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მას არ დაჰკლებია ციხე და კატორღა, მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებებმა და

პარტიის მუშაობა ყოფილ მენშევიკთა შორის

I

საქართველოს კომპარტია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა საკითხს ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის შესახებ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა საკითხებს შორის, ეს საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე სერიოზული და ის თითქმის ყოველთვის პარტიის ცეკას და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა. ეს მუშაობა განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა ჯერ კიდევ 23 წლის დასაწყისიდან, დაახლოვებით, საქართველოს კომპარტიის მე-2-ე ყრილობის შემდეგ. არსებითად ეს საკითხი მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს პირობებში ჩვენ უნდა დაგვეშალა მოწინააღმდეგის, უმთავრესად, მენშევიკური პარტიის ძალები, დაგვენგრია მთელი ანტისაბჭოთა ფრონტი და მით გაგვეწმინდა ნიადაგი საბჭოთა აღმშენებლობისათვის.

მაშასადამე, ჩვენს ამოცანებს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ძალების განადგურება და პირობების შექმნა ჩვენი შემდეგი მუშაობისათვის.

აი ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიგვექცია ამ საკითხისათვის. გარდა ამისა, ეს საკითხი შეიცავს აგრეთვე სოციალ-დემოკრატი მუშების დაპყრობის პრობლემასაც. ეს პრობლემა მწვავედ სდგას არა მარტო საქართველოს კომპარტიის წინაშე, არამედ აგრეთვე სხვა კომუნისტურ პარტიებისა და ორგანიზაციების წინაშეც იმ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო წარსულში მენშევიზმის გავლენა. ერთ უკანასკნელ მეტად დამახასიათებელ დოკუმენტში, კომუნისტური ინტერნაციონალის წერილში გერმანიის კომპარტიის შესახებ, ერთი დიდი საყვედური, რომელიც მიმართულია ამ პარტიის ცეკას, ამ პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ, მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ დასძლია ეს ამოცანა, ე. ი. სოციალ-დემოკრატ მუშების დაპყრობის ამოცანა. ეს კი გერმანიის პირობებში ნიშნავს მოწინააღმდეგის ძალების განადგურებას იმისათვის, რომ პარტიამ დაიპყროს პროფესიონალური კავშირები, იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები გერმანიის კომუნისტური პარტიის გამარჯვებისათვის.

თუ იქ ეს საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელია პირობების შექმნა გამარჯვებისათვის, ჩვენში კი, საქართველოს პირობებში, ეს საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ შეგვექმნათ ქვეყანაში უკვე გამარჯვებულ პარტიისათვის პირობები მისი შემდეგი მუშაობისათვის. აი რატომ ვაძლევდით ჩვენ ამ საკითხს ძალიან დიდ მნიშვნელობას 23, 24 და 25 წლებში,—ვმუშაობდით ამ მხრივ 3 წლის განმავლობაში.

გვაქვს თუ არა მიღწევები? რასაკვირველია, გვაქვს და ძალიან დიდიც. მე უნდა აღვნიშნო, რომ აქ არ შემიძლია შევეხო საერთოდ მთელს მუშაობას. შევეხოთ უკანასკნელი წლის მუშაობას და აღვნიშნოთ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ აქ მაინც მოგვიხდება გაკვრით შევეხოთ ჩვენი მუშაობის დასაწყისის პერიოდსაც ამ დარგში.

მენშევიკური პარტიის დაშლა დაიწყო განსაკუთრებით თვალსაჩინოდ 23 წელს. 23 წლის აგვისტოში მოწვეული იყო სალიკვიდაციო ყრილობა, რომელმაც მენშევიკური პარტია დაშლილად გამოაცხადა. ამ პირველმა ძლიერმა ტალღამ გამოიყოლია 12,000 მუშა, რომლებიც მაშინ გამოვიდენ პარტიიდან. სხვათა შორის, ეს ციფრი სავსებით უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც თვით მენშევიზმის პატრიარქი ნოე ჟორდანიაც, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ თავის უკანასკნელ ნაწერებში იძულებული გახდა ეცნო ეს და ეთქვა, რომ მართალია, 12.000 მუშა ჩამოსცილდა მენშევიკებს, მაგრამ ისინი იყვნენ, მისი აზრით, უვარგისი და სუსტი, ბრძოლისაგან დაღლილი მუშები.

მაშასადამე, ეს დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, სახელდობრ კი, მენშევიკური პარტიის დაშლის ფაქტს სცნობს ამჟამად თვით ნ. ჟორდანიაც. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ აღვნიშნეთ ჩვენ, რომ პარტიის დაშლა და ლიკვიდაცია არ ნიშნავს იმას, რომ მენშევიკური პარტია სავსებით განადგურებულია და რომ მენშევიზმი სრულებით აღარ არსებობს საქართველოში. ილიუზია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ჩვენ სამ წელიწადში შევსძლით მოგვესპო ის პარტია, რომელიც 20 წლის განმავლობაში წარმოადგენდა საზოგადოებრივ მოძრაობის ჰეგემონს და სარგებლობდა დიდი გავლენით საქართველოს მუშებსა და გლეხებს შორის. ეს, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მენშევიკური პარტია დაიშალა, ეს აშკარაა, მაგრამ მან იცვალა რა თავისი სოციალურ-კლასიური შემადგენლობა, დაიწყო მუშაობა სულ სხვა ნიადაგზე, დაუკავშირდა ფეოდალურ თავად-აზნაურულ ელემენტებს და სპეკულიანტ-ვაჭრებს; ის ღებულობდა დახმარებას გარედან. როგორც მე-2 ინტერნაციონალისაგან, ისე იმპერიალისტებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მეორე ინტერნაციონალის დასაყრდენს.

და იმ გარემოებით, რომ მენშევიკურმა პარტიამ მიიღო სხვა ბაზა თავისი არსებობისათვის, აიხსნება ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს, საქართველოს სინამდვილეში. მაგალითად, 23 წელს აგვისტოში ჩვენ ვლაპარაკობდით მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო 24 წლის აგვისტოში მოხდა მენშევიკური ავანტიურა. რატომ მოხერხდა ეს? ეს მოხდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მენშევიკური ორგანიზაციები არ იყვნენ მოსპობილნი სავსებით, ისინი დღემდე არ არიან სავსებით მოსპობილნი, განაგრძობენ ნაწილობრივ მუშაობას და ეხლაც იკვებებიან ტყუილი ილიუზიებით იმპერიალისტების დახმარების შესახებ; ხოლო მეორე მხრით, თუ ამ უმაგალითო ავანტიურას ადგილი ჰქონდა ჩვენში, ეს აიხსნება აგრეთვე მთელ რიგ შეცდომებით, რომლებიც ჩვენ დაუშვით ადგილებზე, რაზედაც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას გასული წლის ოქტომბრის პლენუმზე. ეს შეცდომები და დეფექტები ადგილებზე გამოიყენეს კონტრ-რევოლიუციონერებმა თავისი მიზნებისათვის და უკმაყოფილო გლეხების ნაწილი მოექცა მათ გავლენის ქვეშ, გაჰყვა ამ ავანტიურისტებს (მუშები სრულებით არ ღებულობდენ მონაწილეობას ამ ავანტიურაში და არ წამოეგენ ანკესს). აი მიზეზები აგვისტოს ავანტიურისა.

თუ პირველ ტალღის აგორების დროს ჩვენსკენ გადმოვიდა მუშების ეგრეთწოდებული ფარნიევის ჯგუფი, 24 წლის აგვისტოს ამბების შემდეგ ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი, როგორ გამოვსულიყავით ჩვენ შექმნილი მდგომარეობიდან, როგორ აღმოგვეფხვრა ავანტიურის ნაშთები. ამ დროს ჩვენში წამოიჭრა მეორე ტალღა მუშებისა, რომლებიც ჩამოსცილდენ მენშევიკურ პარტიას და ეს მეორე ტალღა დაკავშირებული იყო ამხ. ძამანაშვილის ჯგუფთან. აქედან იწყება მეორე კომისიის—ძამანაშვილის ჯგუფის ნაყოფიერი მუშაობა და ამ კომისიის მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ გამოეყო და დაეახლოვებია საბჭოთა ხელისუფლებასთან ის ელემენტები, რომელთა შორის მოხდა გარდატეხა აგვისტოს ამბების შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ჯგუფის ანუ მეორე კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ამხანაგები სათანადოთ ვერ აფასებენ იმ მუშაობას, რომელიც გასწია მუშების პირველმა ჯგუფმა. მუშების პირველი ჯგუფი, ეგრეთ წოდებული ფარნიევის ჯგუფი, პირველი შეეცადა თავისი საკუთარი პარტიის დაშლას და მან ჯერ კიდევ 23 წელს, როცა კიდევ არ იყო აგვისტოს სისხლისმღვრელი გაკვეთილები, თამამად სთქვა, რომ ეს პარტია სამუდამოთ დაიღუპა. ამ განცხადებაშია ფარნიევის მუშათა ჯგუფის დიდი დამსახურება. ამ განცხადებით და თავისი სათანადო მუშაობით მათ შესძლეს გადმოეყვანათ 12 ათასი მუშა ჩვენს მხარეზე. ამ ჯგუფის მუშაობის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, როგორც აღვნიშნე, ძამანაშვილის ჯგუფის მუშაობა. ეს მუშაობა ატარებდა თითქოს უფრო ღრმა ხასიათს. ეს აიხსნება მით, რომ ამ ჯგუფის მუშაობისათვის არსებობდა ერთგვარი გამოცდილება აგვისტოს ამბების შემდეგ. ამ მუშათა ჯგუფის ხელმძღვანელები სწორად მიუდგენ მუშაობას და შესძლეს გადმოეყვანათ მუშების ის ფენები, რომლებიც არ იყვნენ გადმოყვანილი დაშლის პირველი კამპანიის დროს 23 წელში. და აი ეს ჯგუფი წარმოიშვა დაახლოვებით ერთი წლის წინ და ამას წინად მოხდა ყოფილ მენშევიკების თათბირი, რომელმაც ჯამი გაუკეთა ამ ერთი წლის მუშაობას. ეს ჯგუფი წარმოიშვა 24 წლის ოქტომბერში, პირველ რაიონში. აქვე საძირკველი ჩაეყარა კომისიის მუშაობას.

როგორი იყო მუშათა კომისიის ამოცანები?

მან თავისი ამოცანები ჩამოაყალიბა შემდეგ ნაირად: პირველყოვლისა საჭიროა სამრეწველო ცენტრების და გლეხური მაზრების ჩამოვლა, აგვისტოს აჯანყების ყველა შედეგის განმარტება, შემდეგ ყოველივე ძალ-ღონის მიმართვა იქითკენ, რომ შეერიგებინათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ისინი, რომლებიც იმალებოდენ ტყეებში.

შემდეგ ზრუნვა ციხეებში დაპატიმრებულთა და რუსეთში გადასახლებულთა შესახებ. და ბოლოს საკითხი საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ.

თითქმის ყველა ეს ამოცანები შეასრულა კომისიამ, გარდა საზღვარგარეთ გამგზავრებისა. ეს საკითხი განცალკევებით სდგას და დღემდე არ არის გადაჭრილი.

ვინ ღებულობდა მონაწილეობას ამ მუშაობაში? უმთავრესად ისინი, რომელთაც არ შეხებიათ 23 წლის კამპანია და რომლებიც დროს უცდიდენ.

აგვისტოს ავანტიურის შემდეგ მათთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ მათ არ შეუძლიათ სიარული ძველი გზით, რომ ჟორდანიას გზა: შეიარაღებული გამოსვლა, ინტერვენცია და სხვ. განწირულია, რომ საჭიროა ახალ გზაზე დადგომა, და ეს გზაც გამონახულ იქნა 24 წელს და მათ ჟურნალსაც დაერქვა „ახალი გზა“.

შემდეგ ისინი უნდა შესდგომოდენ ასეთივე კომისიების და ქვე-კომისიების მოწყობას მაზრებში, ამისათვის საჭირო იყო სამაზრო ცენტრების ჩამოვლა. კომისიამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაატარა ეს მუშაობა. თითქმის ორჯერ მოიარა მან საქართველოს მაზრები. ამ კომისიაში ყველაზე უფრო აქტიური მუშაკები იყვნენ ამხ. ძამანაშვილი, კუპრაშვილი და კ. მაჭარაძე, რომლებიც ატარებდენ ამ მუშაობას.

იმ მაზრებში, სადაც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ძლიერი იყვნენ, სადაც მუშაობა შედარებით უფრო გაადვილებული იყო, კომისიის მუშაობაც ნორმალურად მიმდინარეობდა.

იმ მაზრებში კი, სადაც პარტორგანიზაციების მუშაობა მოიკოჭლებდა, ამას კომისია გრძნობდა და გვაცნობებდა ჩვენ, რომ აქ საქმე არაა სულ კარგად დაყენებული. ყოფილ მენშევიკების უკანასკნელ თათბირს აქვს უსათუოდ დიდი მნიშვნელობა, რადგან თათბირზე მოსმენილი იქნა ფრიად საყურადღებო მოხსენებები ადგილებიდან.

თუ ავიღებთ კერძოთ ოზურგეთის მაზრას, აქ მდგომარეობა თავისებურია. არ შეიძლება ითქვას, რომ მას არ ექცეოდა საკმაო ყურადღება, მაგრამ იქ ძალიან ძლიერი იყო მენშევიკების გავლენა და საჭირო გახდა მეტად ფრთხილი მუშაობა.

იქ დღემდე ადგილი აქვს სამ მიმდინარეობას: პირველი მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელმაც გადაჭრით უარჰყო ავანტიურის გზა, გამოვიდა ჩვენს მხარეზე, პირი იბრუნა ჩვენკენ. შემდეგ იქ არსებობს მეორე ჯგუფი, ბასიური ჯგუფი, რომელიც სრულიად ჩამოშორდა პოლიტიკას. და მესამე ჯგუფი აშკარად მტრულად განწყობილი ჩვენდამი, რომელიც სდგას მებრძოლ მენშევიზმის პოზიციაზე. აი ამ სამ სხვადასხვა ჯგუფთან ჩვენ გვაქვს საქმე გურიაში. მენშევიკები ხანდახან საბჭოებშიაც გადიან. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მენშევიკები გავლენით სარგებლობდენ გურიის საბჭოებში. პირიქით, სწორედ ჩატარებულმა საარჩენო კამპანიამ გურიაში არჩევნების თავისუფლების და დემოკრატიზმის დაცვით ბრწყინვალე შედეგები მისცა ჩვენს პარტიას.

აღსანიშნავია მთელი რიგი ნაკლოვანებათა. რაც შეეხება ზოგიერთ ადგილებს, ზოგიერთ მაზრებს, ამხ. კუპრაშვილი კარგად იხსენიებს, მაგალითად, გორის მაზრას. უნდა ითქვას, რომ გორის მაზრაში ხელისუფლება დაკავშირებულია ადგილებთან და სისწორით ატარებს ჩვენს პოლიტიკას. ასე, რომ ეს მდგომარეობა ეწინააღმდეგება იმას, რასაც ამხ. ქურდაძე ამბობდა საქ. კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმზე. ის თვითონ სწორ პოლიტიკას ატარებს, ცეკაში კი მას უნდოდა მოგვჩვენებოდა არქი-მემარცხენეთ. რა თქმა უნდა ადგილი აქვს გადახრას, ჩვენი პოლიტიკის დამახინჯებას. ჩვენ რომ ადგილობრივ კომუნისტებს [illegible] მოვეპყრათ ეს დიდი შეცდომა იქნება. ეს ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ეს კომუნისტები და არა [illegible] მათ. ამით ჩვენ ვერას გავხდებით, იმიტომ რომ სოფლის კომუნისტს ცოტა ესმის. ის ნაკლებ შეგნებისაა, ის უკულტუროა და ეს არის საერთო ჩვენი უბედურება.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ისინი უნდა აღვზარდოთ, შევასწავლოთ მათ ჩვენი პოლიტიკა, შევასწავლოთ მათ მუშაობა ახალი მიმართულებით. მაგრამ მეორეს მხრივ, დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ, დღევანდელ მომენტში, 1925 წელს საჭიროა „უთოს გავლება ზურგზე“.

„შევიწროობის“, „მიწოლის“ და „ზურგზე უთოს გავლების“ პოლიტიკა არასფრით არ ვარგა.

თუ მუშათა კომისიას მოუხდა მთელი წელიწადი მუშაობა, ეს აიხსნება იმით, რომ მათ ვერ მოახერხეს ერთბაშათ მოეგვარებიათ მუშაობა ადგილებზე. ადგილები თითქოს განზე იყვნენ გამდგარი. ნაწილობრივ ეს აიხსნება იმ ნაკლოვანებებით, რომელიც საერთოთ არსებობდა ადგილების მუშაობაში და რომელიც ხელს უშლიდა მასების დაახლოვებას კომუნისტურ პარტიასთან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუშათა კომისია სწორად მიუდგა საკითხს იმ თვალსაზრით, რომ მან არ იკისრა პარტიის ლიკვიდაციის როლი. მან სთქვა,—ეს აღნიშნულია ამხ. ძამანაშვილის მოხსენებაში,—რომ ჩვენ არ შეგვიძლია პარტიის ლიკვიდაცია, რამდენათაც ჩვენ თვითონ გამოვედით ამ პარტიიდან და რომ ასეთი ლიკვიდაცია არ შეიძლება იყოს ყველასათვის სავალდებულო. მართლაც, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო სავალდებულო პარტიის ყველა წევრებისათვის, იმიტომ, რომ არ შეიძლება ლიკვიდაცია მოახდინონ იმ პარტიის, საიდანაც ეხლახან თვითონ გამოვიდენ. აი ამიტომ მათ სთქვეს, ჩვენი ამოცანა მდგომარეობს არა ფორმალურ დეკლარაციაში პარტიის ლიკვიდაციის შესახებ, არამედ იმაში, რომ მოვამზადოთ ნიადაგი, რათა მშრომელთა ეს მასა დაადგეს საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას. ამით კი საქმით, ფაქტიურათ ხდება მენშევიკური პარტიისა და მშრომელთა შორის მისი გავლენის ლიკვიდაცია. ამ მხრივ მუშათა კომისიამ მართლაც დიდ შედეგებს მიაღწია და შეასრულა უდიდესი მუშაობა.

აგვისტოს ამბების შემდეგ ჩვენში შეიქმნა ფრიად არანორმალური მდგომარეობა. ატმოსფერა ძალიან დამძიმდა, საჭირო იყო მათი შერიგება საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც ტყეში წავიდენ და ყოველმხრივ ცდილობდენ ემოქმედა ჩვენს წინააღმდეგ.

საკავშირო ცაკის დადგენილება

მოსკოვი, 2 ნოემბერი. საკავშირო ცაკმა დაადგინა:

რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის—ფრუნზეს დაკრძალვის დღეს, 1925 წლის 3 ნოემბერს, დღის სრულ 13 საათზე საბ. სოც. რესპ. კავშირის მთელს ტერიტორიაზე 5 წუთით დახრილ იქნეს ყველა სახელმწიფო დროშები საბ. სოც. რესპუბლიკის საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების შენობებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებების, საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოების შენობებზე და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სამხედრო და სავაჭრო ფლოტის ყველა გემებზე.

გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულება

მოსკოვი, 2 ნოემბერი. გზათა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე, რომ 3 ნოემბრის დღის 1-ლ საათზე, ფრუნზეს ნეშტის საფლავში ჩასვენებისას, როგორც ყველა ორთქლმავლებმა, ისე დეპო და სახელოსნოებმა ერთი წუთის განმავლობაში გააგრძელონ სამგლოვიარო საყვირები.

გაჭირვებამ ვერ გასტეხა მისი რკინის ნებისყოფა.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ფრუნზე სათავეში უდგება წითელ არმიას. ის პროლეტარულ და გლეხურ ძალების ხელმძღვანელი და ორგანიზატორია სამოქალაქო ომში. ამ ბრძოლაში ის იზრდება, იძენს სამხედრო ცოდნას და გამოცდილებას და ამის შემდეგია ის, რომ ამხ. ფრუნზე ამარცხებს ძველ გამოცდილ სარდლებს, რომლებმაც გაიარეს სპეციალური სამხედრო ცოდნა. ის მშიერი და ტიტველი ჯარით ამარცხებს საუკეთესოთ შეიარაღებულ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილ მტერს.

ამხ. ფრუნზეს ცოდნა და გამოცდილება ჩვენთვის განსაკუთრებით საჭირო იყო ეხლა, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ გარშემორტყმული ვართ მტრებით.

ამხ. ფრუნზე გარდაიცვალა, მაგრამ მის ადგილზე გამოჩნდებიან წითელი არმიის ასი და ათასი ბელადები. მართალია, ფრუნზეს გარდაცვალება დიდი დანაკლისია, მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ ვერავითარი დანაკლისი ვერ შეაჩერებს ჩვენ წინსვლას. ეხლა კი ვსთქვათ: დიდება დაღუპულ ამხანაგს, გაუმარჯოს მუშათა კლასს. ამხ. ფრუნზეს ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხ. ს. ლუკაშინის სიტყვა

ამხ. ლუკაშინის სიტყვით ამხ. ფრუნზეს ცხოვრება ისე მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანი არის, როგორც თვით რუსეთის კომპარტიის და ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია.

ამხ. ლუკაშინი შეჩერდა ფრუნზეს დიდ დამსახურებაზე რევოლიუციის წინაშე სამოქალაქო ომების პერიოდში. ბრძოლა კოლჩაკთან, ვრანგელის განადგურება ყირიმში, სამხედრო ოპერაციები უკრაინასა და თურქესტანში—არის სამოქალაქო ომის ისტორიის საუკეთესო ფურცლები, რომელთაც ამშვენებს ფრუნზეს სახელი, როგორც ნიჭიერი და მედგარი მთავარსარდლისა.

ამხ. კორკის სიტყვა

ამხ. კორკი იხსენებს რა ამხ. ფრუნზეს დაუღალავ და თავდადებულ შრომას და ბრძოლებს, ამბობს რომ ამხ. ფრუნზეს ჰქონდა ყველა ის ღირსებები, რაც საჭიროა რევოლიუციონური ომების ხელმძღვანელისა და მთავარსარდლისათვის გმირობა, შეუპოვრობა შეერთებული წინდახედულობასა და გამჭრიახობასთან, რკინისებური ნებისყოფა საღ გონიერებასა და საქმის მცოდნეობასთან შეერთებული, დაუფასებელ დიდ სამხედრო პიროვნებათ ხდიდენ მას.

საიდ შეიძინა ან ვინ მისცა მას ეს მაღალი ღირსებები? კითხულობს ამხ. კორკი და თვითვე აძლევს პასუხს.

25 წლის არალეგალურმა მძიმე მუშაობამ, ციხეებმა, ციმბირმა და კატორღამ გამოსჭედეს და გამოაწრთვეს ამხ. ფრუნზე, რომელმაც ამ თვისებების წყალობით შესძლო მრავალ ბრძოლებში ერგუნებია წითელ არმიისთვის სახელოვანი გამარჯვება. მეორე მხრივ გამოცდილებამ, სხვა განვითარებამ და ცოდნამ შეაძლებინა მას გადაეხალისებია და ახალ სოციალისტურ პრინციპზე აეგო არმიის შექმნა და მოწყობის საქმე. მის მიერ დატოვებული სახელმძღვანელო აზრებით, წითელი არმია შესძლებს დაიცვას საბჭ. კავშირის თავისუფლება და დიდი სახელი.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ამხ. შალვა ელიავა განსვენებულ ამხანაგს ახასიათებს, როგორც რევოლიუციონერ სტრატეგს, შეუპოვარ მებრძოლს და როგორც პარტიულ მოღვაწეს, ნამდვილ კომუნისტ-ლენინელს. ამხ. შ. ელიავა იგონებს ცალკე ეპიზოდებს სამოქალაქო ომიდან, როცა ამხ. ფრუნზეს პირადი თავდადებით, თავგანწირულობა და შეუპოვრობით გამხნევებული და აღფრთოვანებულ წითელარმიელთა რაზმებს სასტიკად დაუმარცხებიათ ათჯერ უკეთ შეიარაღებული მრავალრიცხოვანი მტერთა რაზმები. ამხ. ფრუნზე, ამხ. ელიავას დახასიათებით, ძვირფასი და იშვიათი იყო არა მარტო როგორც სამხედრო წინამძღოლი, არამედ როგორც წინდახედული პარტიული მოღვაწე, რომელიც გადაუხრელად ატარებდა ცხოვრებაში ლენინის ხაზს. თურქესტანის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისაგან გაწმენდის შემდეგ, მისი დახმარებით და ხელმძღვანელობით შეიქნა მთელი რიგი ეროვნულ ავტონომიურ რესპუბლიკებისა. ეროვნულ საკითხში იგი აღმოჩნდა ნამდვილი ლენინელი. მიმზიდველი იყო ამხ. ფრუნზე, როგორც ადამიანი, რომელიც თავის გარშემო იკრებდა არა მარტო პარტიულებს, არამედ პატიოსან უპარტიოებსაც, რომლებზედაც იგი თავის მაღალ პირადი ღირსებებით წარუშლელ კვალს სტოვებდა.

ამხ. შ. ელიავას შემდეგ, სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბუნიატ ზადემ, ამხ. რატნეკმა და ამხ. ორლოვმა.

გაერთიანებული სხდომის დადგენილება

საქ. ცაკის მდივან ამხ. ს. თოდრიას წინადადებით გაერთიანებული სხდომა ადგენს, ა.-კ. და საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომების, რ. კ. პ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის და თბილისის საბჭოს სახელით სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს საკავშირო ცაკს და რ. კ. პ.—ის ცეკას. ამასთანავე დაევალოს ამხ. ს. ორჯონიკიძეს შემოხსენებული ორგანიზაციების სახელით შეამკოს ამხ. ფრუნზეს კუბო გვირგვინით.

ამხ. ორლოვის წინადადებით სხდომა ადგენს მეორე საქვეითო სამხედრო სასწავლებელს დაერქვას ამხ. ფრუნზეს სახელობის სასწავლებელი.

ამხ. ბლუაშვილის წინადადებით, სხდომამ დაადგინა აგრეთვე მეორე ქართულ ტერიტორიალურ დივიზიას ეწოდოს ამხ. ფრუნზეს სახელი.

საქართველოს მშრომელთა სამძიმარი

გომის სათემო პარტკონფერენცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს წითელი არმიის და ფლოტის ხელმძღვანელის ამხ. ფრუნზეს უდროოდ გარდაცვალების გამო.

კონფერენცია.

საქ. კომპარტიის ბორჯომის ორგანიზაციის მეშვიდე პარტკონფერენცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს წითელი არმიის ბელადის ამხ. ფრუნზეს უდროოთ გარდაცვალების გამო. ვსდებთ ფიცს ბოლომდის მივიყვანოთ მის მიერ დაწყებული საქმე.

კონფერენციის თავმჯდომარე

ცეხაძე.

თელავი, 2 ნოემბ. მხოლოდ გუშინ დილით მოვიდა ცნობა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ. სახალხო თეატრში შესდგა სამგლოვიარო სხდომა ქალაქის საბჭოსი—პროფკავშირებისა, სამხ. ორგანიზაციებისა და მრავალ გლეხობისა და მოქალაქეების თანადასწრებით.

ლენინის სკოლის დაუღალავ მებრძოლის, წითელ მეომრების საუკეთესო ამხანაგისა და მეგობრის ამხ. ფრუნზეს გარდაცვალება არის უდიდესი დანაკარგი რუსეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის. მისმა თანამებრძოლებმა ამ დაკარგვის შემდეგ უფრო უნდა გააძლიერონ თავიანთი ენერგია ოქტომბრის მონაპოვართა განსამტკიცებლათ. ამ დიდ მწუხარებას ვიზიარებთ საბჭოთა კავშირის მთელ პროლეტარიატსა და გლეხობასთან ერთად.

ა | კ. საოლქო საკ. კომისია და
ა | კ. მუშ. და გლეხ. ინსპექცია.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი

იუწყება, რომ გარდაიცვალა რ. კ. პ. (ბ) ცეკას წევრი, წითელი არმიის და ფლოტის წინამძღოლი, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო

იტყობინება საბჭოთა კავშირის წითელი არმიის და ფლოტის წინამძღოლის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის და რევოლიუციონერ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის

ამხ. მ. ვ. ფრუნზეს

გარდაცვალებას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, წითელ არმიელებს, წითელ მეზღვაურებს და ყველა მშრომელებს, რომ გარდაიცვალა მუშურ-გლეხური წითელი არმიის წინამძღოლი, საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი, საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და რევოლიუციონერ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. ფრუნზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

ღრმა მწუხარებით იუწყებიან საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის

ამხ. ვასილი მიხეილის ძე ფრუნზეს

უდროოდ გარდაცვალებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს რ. კ. პ. (ბ) ცეკას წევრის, საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს

უეცარ გარდაცვალებას

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იტყობინება, რომ უდროოდ გარდაიცვალა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სამხედრო კომისარი და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო

ღრმა მწუხარებით აცხადებს ს. ს. რ. კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის და სარევოლიუციო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს

უდროოდ გარდაცვალებას

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი

ღრმა მწუხარებით აუწყებს თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს

მოულოდნელ გარდაცვალებას

თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო

ღრმა მწუხარებით აუწყებს საბჭოს ყველა წევრებს საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისრის

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს

მოულოდნელ გარდაცვალებას

სპარსეთის მეჯლისმა გადააყენა კაჯარების დინასტია

რიზა-ხან-პეხლევი დაინიშნა სპარსეთის დროებით მმართველად

ახლო ხანში მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება

დინასტიას მხარს უჭერდენ ერთი მუჭა მემამულეები

ყაჯარების დინასტიის დამხობა

თეირანი. 1 ნოემბ. შესდგა მეჯლისის საგანგებო სხდომა 90 დეპუტატის მონაწილეობით. დღის წესრიგში იყო დასმული საკითხი კაჯარების დინასტიის ჩამოგდების და ქვეყნის დროებითი მმართველის არჩევის შესახებ—სანამ სპარსეთის დამფუძნებელი კრება იქნებოდეს მოწვეული. მონარქისტების მელადის მოდარესის წინადადება, რომ მოხსნილ იქნენ ეს საკითხები მეჯლისის თავმჯდომარის არჩევამდის, უარყოფილ იქნა.

ფარული კენჭის ყრით გაუქმებული იქნა კანონი, რომელიც განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა კაჯარების დინასტიას სპარსეთის ტახტზე. წინააღმდეგ მისცა ხმა ერთმა დეპუტატმა. ხუთმა თავი დაიჭირა. ოთხმა თავი მიანება კრებას.

რიზა-ხანის დროებითი მმართველად არჩევას, სანამ დამფუძნებელი კრება იქნება მოწვეული, შეეგებენ ზარბაზნების სროლით.

სროლა მეჯლისში

თეირანი. 1 ნოემბერი. მეჯლისის სხდომაზე 29 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ სროლას, რომლის დროს ორი აღმოჩნდა მოკლული. როგორც იტყობინებიან, რამდენიმე დეპუტატი დაპატიმრებულია, რამოდენიმეც გადაიმალა. დაპატიმრება მოხდა იმის გამო, რომ დეპუტატების ნაწილს არ სურდა მონაწილეობა მიეღო კონსტიტუციის იმ მუხლების შეცვლაში, რომელიც კაჯარების დინასტიას განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდა სპარსეთის ტახტზე.

სპარსეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა

უკანასკნელ ხანებში სპარსეთის ყველა კუთხეების მოსახლეობა უკმაყოფილებას და სიძულვილს იჩენდა კაჯარების დინასტიის მიმართ და მოითხოვდა მის გადაყენებას.

ეს სიძულვილი დღითი-დღე იზრდებოდა და იქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც მთავრობას რომ ანგარიში არ გაეწია მოსახლეობის სულიერი განწყობილებისათვის, მოსალოდნელი იყო სახალხო ბუნტი, აქედან გამომდინარე არასასურველი შედეგებით სახელმწიფოსათვის.



რიზა ხანი

ამიტომ მეჯლისმა, ანგარიში გაუწია რა შექმნილ მდგომარეობას და მოისურვა რა კრიზისის მოსპობა, თავის სხდომაზე 1304 წლის 9 აბანს (1925 წლის 31 ოქტომბერს) კაჯარების დინასტია გადაყენებულად გამოაცხადა და რიზა-ხან-პეხლევი დანიშნა პრემიერათ და სპარსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ამავე დროს რიზა-ხან-პეხლევი დანიშნა სპარსეთის დროებით მმართველად დამფუძნებელი კრების მოწვევამდე და ამ უკანასკნელის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე.

საუბარი სპარსეთის გენერალურ კონსულთან თბილისში ბ-ნ აბდულ-რახიმ-ხან-მეფტახთან

სპარსეთის ხალხის მოძრაობას კაჯარების დინასტიის წინააღმდეგ გრძელი ისტორია აქვს. ეს მოძრაობა იწყება იმ დროიდან, როდესაც გენერალმა პასკევიჩმა გაილაშქრა სპარსეთის აზერბეიჯანის—თავრიზის წინააღმდეგ, რასაც, ამ დინასტიის მოღალატური პოლიტიკის გამო, შედეგად მოჰყვა ტურკმენჩაის ხელშეკრულების დადება რუსეთსა და სპარსეთს შორის. ამ დროიდან დაწყებულმა მოძრაობამ თავის ლოღიკურ განვითარებას და დაბოლოვებას მიაღწია ეხლა.

კაჯარების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი სპარსეთში იყო სულთან-ახმედ შახი, რომელიც ორი წლის წინათ, ვითომდა, თავისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, გაემგზავრა პარიზში; მის მაგივრად კი სპარსეთში დარჩა მისი ძმა—ტახტის მემკვიდრე—მამედ-ჰასან-მირზა, რომელიც შახის მაგივრად განაგებდა სპარსეთს.

სპარსეთის ეხლანდელი დროებითი მმართველი—რიზა-ხანი 1920 წლიდან დანიშნული იყო სამხედრო მინისტრად, 3 წლის წინეთ კი ის მეჯლისის მიერ არჩეული იქნა პრემიერ მინისტრად. ამ დროიდან რიზა-ხანსა და მამედ-ჰასან-მირზას შორის სწარმოებდა ბრძოლა, თუმცა რიზა-ხანს აშკარად არასოდეს არ გაულაშქრებია კაჯარების დინასტიის წინააღმდეგ.

კაჯარების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას სპარსეთში მეთაურობდა სოციალისტური პარტია, რომელსაც საკმაოდ ბევრი დეპუტატები ჰყავს მეჯლისში. დინასტიას კი მხარს უჭერდა ერთი მუჭა მაღალი თანამდებობის პირები, უმთავრესად ფეოდალები (მსხვილი მემამულეები). ამავე დროს კაჯარების დინასტიას იცავდა აგრეთვე სამღვდელოება, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ ბოლო დროს, მებრძოლ ძალთა განწყობილების შეცვლის გამო, ჩამოშორდა პოლიტიკას და ელის ქვეყნის დაწყნარებას.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება სპარსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. უნდა ვიფიქროთ, რომ დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწვეული იქნება ახლო მომავალში, ამ საკითხს გადასწყვეტს ისე, როგორც ეს სასარგებლო და მისაღები იქნება სპარსეთის ხალხისათვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადატრიალება არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობაზე; პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორი სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა ამის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

მ—ნი.

ფრანგების სისასტიკე სირიაში

ნიუ-იორკი. 1 ნოემბ. ამერიკული გაზეთები აღწერენ წარმოუდგენელ სისასტიკეს, რომელსაც ფრანგები სჩადიან სირიაში.

მეთაურ წერილებში გაკვრით ეხებიან სირიის ამბებს, მაგრამ საერთოდ ფრანგების საწინააღმდეგო პოზიციას ადგენენ და მათ მოქმედებას დამასკში თვლიან უხეშათ და უაზროთ.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

ბანკეტი სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

პარიზი, 1 ნოემბ. 30 ოქტომბერს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა ბანკეტი საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის ერთი წლის თავის გამო.

რაკოვსკის, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის, სავაჭრო წარმომადგენლობის და საკონსულოს წევრებს გარდა, ბანკეტს დაესწრნენ მინისტრები დე-მონზი და დელმონი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ერიო, საფრანგეთის ვარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტელო, რომელიც გამოცხადდა ბრიანის მაგიერ, უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, დეპუტატთა პალატის რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოების ჯგუფის თავმჯდომარე ფილიპოტო, პროფესორები ლანჟევენი და ლევი პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.

პენლევემ გამოგზავნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა რომ მას არ შეუძლია დასწრება სადილზე, რადგან ძალიან დატვირთულია მუშაობით.

რაკოვსკის სიტყვა

სიტყვები წარმოსთქვეს რაკოვსკიმ და დე-მონზიმ.

რაკოვსკიმ ადღეგრძელა ერიო, პენლევე და დე-მონზი, რომლებმაც პირველად იზრუნეს საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეზე და თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მიუხედავად დაბრკოლებებისა ცნობის პირველი წლის დასასრულს უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობაში. შემდეგ რაკოვსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ სოციალურ და პოლიტიკურ წესწყობილების სხვადასხვაობა არ შეუშლის ხელს საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის დაახლოვებას და დასასრულ დასძინა, რომ ის განაგრძობს კრასინის მუშაობას იმ იმედით, რომ წარმატებით დაამთავრებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან.

დე-მონზის საპასუხო სიტყვა

თავის საპასუხო სიტყვაში დე-მონზი ლაპარაკობს, რომ რაკოვსკის საშუალება ჰქონდა წინად კარგად გასცნობოდა საფრანგეთს. შემდეგ დემონზი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ და ორივე სახელმწიფოს დაახლოვება აუცილებელია მშვიდობიანობის დასამყარებლად ევროპაში, და იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის რეალურად იქნება აღდგენილი ურთიერთობა და განახლდება მეგობრობა ორივე სახელმწიფოს შორის.

ჯაშუშთა ორგანიზაციის აღმოჩენა

უცხოელების დახმარებით და შემწეობით

ლენინგრადი, 1 ნოემბერი. მიმდინარე წლის მაისში მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ აღმოაჩინა ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა ესტონეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბი.

ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა სხვა ქვეყნების ჯაშუშთა ორგანიზაციებთან, რომლებიც რეველში იმყოფებოდენ. პირველად დაპატიმრებული იქნა ყოფილი ოფიცერი, ჯაშუში-კონტრაბანდისტი ხნარსკი და მის შემდეგ კიდევ 70 კაცი. ამავე დროს აღმოჩენილი და განადგურებულ იქნა ჯაშუშთა შტაბი ტროცკის მაზრაში და დაპატიმრებული იქნენ სამხედრო რაზმის მონაწილეები ყოფილ ოფიცერის დიმიტრი ზაკკოკენის მეთაურობით.

დაპატიმრებულთა ჩვენებებიდან გამოირკვა, რომ განზრახული იყო სამხედრო მოწყობილობათა, ხიდების და საწყობების აფეთქება, განზრახული იყო ლენინგრადისათვის წყლის მიმწოდებელი სადგურის აფეთქება; ამ სადგურის მუშაობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ინგლისურ ჯაშუშთა მეთაური რეველში ფრანკი.

დამტკიცებულია, რომ ჯაშუშებს სპეციალურ სადგომებში მოთავსებულ აეროპლანებისათვის უნდა მიეხათ ვაზნები, რომლებიც ავტომატიურად აფეთქდებოდენ და დაამსხვრევდენ ყველა აპარატებს.

ეს გეგმა დაამუშავა ესტონეთის არმიის შტაბის თანამშრომელმა. მასვე ეკუთვნის იდეა, რომლის თანახმად მზვერავებს ეძლევათ ერთგვარი ფხვნილი აეროპლანების მოტორების გასაფუჭებლად.

განზრახული იყო აგრეთვე მატარებლების დამსხვრევის მოწყობა. გამოირკვა, რომ ჯაშუშებისათვის რეველში მოწყობილი ყოფილა სპეციალური კურსები, რომლებზედაც კითხულობენ ლექციებს წითელი არმიის შესახებ.

ედო ფიმენის დევნა

ბერლინი, 1 ნოემბ. ტრანსპორტელთა საერთაშორისო ფედერაციის მდივანი—ედო ფიმენი, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ, სასტიკ დევნას განიცდის ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან. ბაზელში წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ მას აუკრძალეს შვეიცარიაში შესვლა. შემდეგ ლონდონში ბრამლის დასაფლავებაზე დასასწრებლათ ჩამოსვლისას იგი დაპატიმრებულ იქნა და გადაასახლეს საზღვარგარეთ.

ამ ჟამად გერმანიის მთავრობამ მას ნება არ მისცა გერმანიაში შესვლისათვის.

კომისიის მუშაობა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული და მან მოახერხა იმ ადამიანების შერიგება საბჭოთა ხელისუფლებასთან, ვინც ტყეებში იმყოფებოდენ. მუშათა კომისიის მოქმედება საგრძნობლათ იქნა გაადვილებული მთავრობის მთელ რიგ ღონისძიებებით, საკანონმდებლო აქტების და ამნისტიის გამოცემით, რამაც ხელი შეუწყო ანტი-საბჭოთა ელემენტების გახრწნას. შეიძლება ბევრი რამ არ მოსწონდათ ჩვენ ამხანაგებს, არ მოსწონდათ ის, რასაც მაშინ საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა, მაგრამ იმ პირობებში საჭირო იყო ეს. ჩვენ მიერ გამოცემული იყო, მგონი, 4 ამნისტია, რომლის წყალობით ბევრი შეურიგდენ საბჭოთა ხელისუფლებას და დაუბრუნდენ მშვიდობიან ცხოვრებას.

ამის შემდეგ, კომისიის წინაშე წამოიჭრა ამოცანა იმის შესახებ, რათა სამუშაო მოეპოვებინა იმათთვის, ვინც ციხიდან გამოვიდენ და იმათთვისაც, ვისაც სამუშაო ესაჭიროებოდათ და ვისაც შეეძლო მოეტანა ჩვენთვის ესა თუ ის სარგებლობა. ამიტომ ცენტრალურმა და თბილისის კომიტეტმა ბევრი გაგზავნეს სამუშაოზე. ბევრს მიეცა საშუალება ემუშავათ საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში.

შემდეგ კომისიამ ყურადღება მიაქცია ნაციონალიზაციის გატარებას და იმ ელემენტების გამომჟღავნებას, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას მიეტმასნენ და ამავე დროს გამსჭვალული იყვნენ შავრაზმული და შოვინისტური ტენდენციებით. იგი აშკარავებდა ასეთ ელემენტებს, ჩვენ კი ჩვენის მხრით ვღებულობდით მთელ რიგ ზომებს ამ ელემენტების გამოსასწორებლად, გაუსწორებელ ელემენტების წინააღმდეგ კი ჩვენ ვიღებდით სხვაგვარ ზომებს. კომისია ამჟღავნებდა იმ ელემენტებს, რომლებიც ჩვენთვის უცნობი იყვნენ, ამას იგი სჩადიოდა ისეთი საშუალებით, რომლითაც ჩვენ ვერ ვსარგებლობდით. აი ამაში მდგომარეობდა მათი სერიოზული მუშაობა.

შემდეგ მუშათა კომისია შეუდგა თავისი გაზეთის „ახალი გზის“ გამოცემას იმ მიზნით, რათა ამ გაზეთში ვსწეროთ ის, რაც ჩვენ პრესაში არ თავსდება. თუმცა ეს ორგანო ვრცელდებოდა და მისი ტირაჟი იყო 2.000 ცალი, მაგრამ მან ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება იმიტომ, რომ მას არ მოეპოვებოდენ სათანადო ლიტერატურული ძალები, ხოლო მენშევიკურმა ინტელიგენციამ მონაწილეობა არ მიიღო ამ ორგანოში. სეით დევდარიანმა და სხვებმა უარი განაცხადეს მასში მონაწილეობის მიღებაზე. სეითმა განაცხადა, რომ თუ რამის თქმა უნდა, მას შეუძლია პირდაპირ წარმოთქვას თავისი აზრი კომუნისტურ პრესაში.

ამგვარად გაზეთში მონაწილეობას იღებდენ ყოფილი მენშევიკი-მუშები და სწერდენ ზოგიერთ ნაკლულოვანებებზე, რომელსაც ისინი ამჩნევდენ.

მენშევიკურ ინტელიგენციას შორის მუშაობის საკითხს მუშათა კომისია საკმარის ყურადღებას აქცევდა. ორჯერ მოწვეული იყო ინტელიგენციის თათბირი, რომელსაც ბევრი დაესწრო. მაგრამ არაფერი არ გამოვიდა აქედან. ასეა თუ ისე, ინტელიგენცია განზე გამდგარი და რაღაცას მოელის. ეს ინტელიგენტმა სულაქველიძემაც კი აღიარა. როცა ძამაშვილი თავის მოხსენებაში შეეხო ინტელიგენციის საკითხს, სულაქველიძემ ადგილიდან წამოიძახა: „იგი არ მოვა ჩვენთან, იგი განზეა გამდგარი და რაღაცას ელოდება“-ო.

აი ასეთია მდგომარეობა ინტელიგენციას შორის, რომელიც მენშევიკებს მისდევდა. ძველმა მუშათა აქტივმა დასტოვა პარტია, ხოლო „მარქსისტული“ ავანგარდობა სულდგმულობს არალეგალურ მუშაობით და სცდილობს თავის ბუნების მიხედვით დაადგეს ავანტიურისტულ გზას.

აი როგორ მდგომარეობაშია ინტელიგენციის საქმე. მუშათა კომისიის განცხადებით, მან ვერ მოახერხა რაიმე თვალსაჩინო შედეგების მიღწევა ამ დარგში.

საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კომისიისათვის, ეს იყო რუსეთში გამგზავრებულ და გადასახლებულებთან მოლაპარაკება.

მუშათა კომისიამ დაჰყო რუსეთში თვენახევარი, იყო სუზდალში და თურქესტანში. მან მოახერხა მუშების ერთი ნაწილის თავის მხარეზე გადმოყვანა. რაც შეეხება გრიგოლ ლორთქიფანიძეს პოზიციას, უნდა ითქვას, რომ მუშათა კომისია, რომელმაც დაჰყო იქ 4 დღე, სიტყვიერ მოლაპარაკების დროს ფიქრობდა მისი თავის მხარეზე გადმოყვანას, და თითქოს კიდეც მოახერხა ეს. მაგრამ როდესაც მუშათა კომისიამ მოითხოვა წერილობითი დადასტურება, მან მიიღო დოკუმენტი, და აღმოჩნდა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის პოზიცია წმინდა მენშევიკურია, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება ჟორდანიას პოზიციისაგან, მხოლოდ იგი უფრო გონივრულია, უფრო შეგუებულია საბჭოთა სინამდვილესთან.

ჩვენ ხელთ არის ეს დოკუმენტი, მას ხელს აწერს მენშევიკების ერთი ჯგუფი, რომელიც დღემდის სუზდალში იმყოფება. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: კალისტრატე გოგუა, ზ. გურული, ალ. დგებუაძე, გრ. ლორთქიფანიძე, ლ. რუხაძე, და ვლ. ჯიბლაძე, მოვიყვან რამდენიმე ადგილს ამ დოკუმენტიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული პრესაში და რომელიც საინტერესოა ლორთქიფანიძის და მთელი სუზდალის ჯგუფის პოზიციის დასახასიათებლად. პირველ ყოვლისა ამ დოკუმენტში ავტორები აცხადებენ, რომ არავითარი შეცდომა არ არის იმაში, რომ ისინი იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პირიქით, ისინი ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის სინამდვილის მიხედვით. სავსებით მართალი აღმოჩნდენ, ხოლო მათი ხაზი თითქოს ზედმიწევნით მარქსისტულია. იმ პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, მათი აზრით, დაამტკიცა, რომ ბოლშევიკები სავსებით გაკოტრდენ, რომ ერთა-ერთი სწორი, ჭეშმარიტად მარქსისტული პოზიცია იყო მენშევიკური პოზიცია. ისინი ამბობენ, რომ ამ პოზიციას უნდა მიემხრონ ყველა „სინდისიერად მოაზროვნე კომუნისტები“. იქვე ისინი ხაზგასმით აღიარებენ, რომ არა თუ არ ნანობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას, არამედ, პირიქით, მათი სინდისი უფრო დამშვიდებული იქნებოდა, რომ მათ მეტი ერთგულება და ენერგია გამოეჩინათ ამ ბრძოლაში.

და აი, გამოდიან რა იმ დებულებიდან, რომ ისინი სრულიადაც არ სცდებოდენ, რომ სავსებით სწორი იყო მათი ბრძოლა, ისინი, რა თქმა უნდა, ამართლებენ აგვისტოს გამოსვლებს. ამ დოკუმენტის საბოლოო დასკვნა ახასიათებს მათ ახლანდელ პოზიციას. ისინი სწერენ:

„რამდენადაც ჩვენ გვესმის დღევანდელი მდგომარეობა, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვსთქვათ, რომ საქართველომ ფიზიკური ომი წაგებულათ უნდა ჩასთვალოს, საერიშო ტაქტიკაზე სრულიად გადაჭრით და გულწრფელათ უნდა აიღოს ხელი. შექმნილ მდგომარეობას დაუმორჩილდეს, დადგეს არსებულ წყობილების ნიადაგზე და საქმისადმი სრული გულმოდგინეობითა და ლოიალობით აწარმოოს შესაძლებლობის ფარგლებში ორგანიული კულტურულ-ეკონომიური მუშაობა. რა თქმა უნდა, ყოველგვარი შეიარაღებული რაზმები სრულიად და საბოლოოდ უნდა დაიშალონ და სხვა.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მან უნდა მოახდინოს სრული და რადიკალური დემილიტარიზაცია როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური. პარტიის გაქრობა და მოსპობა, რაზედაც ხშირათ გვესმის ლაპარაკი, შეუძლებელიცაა და არც სასურველია. სანამ პოლიტიკური აზროვნება სახელმწიფო მონოპოლიათაა გამოცხადებული, რა თქმა უნდა ეს აზროვნება, თუმცა არტახებში და მუხრუჭებში გაკრული, მაგრამ მაინც დარჩება ჰერქვეშ. მაგრამ შეცვლილ მდგომარეობასა და გარემოების მიხედვით პარტია დარჩება არა მებრძოლი მასების ორგანიზაციის სახით, არამედ როგორც მცირერიცხოვანი, წმინდა პოლიტიკურ-პროპაგანდისტული ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც დააყენებს არალეგალურ ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა და გავრცელების საქმეს და პრინციპიალურ კრიტიკასთან ერთად აწარმოებს სრულიად საქმიან ორგანიულ კრიტიკასაც“.

ამ დოკუმენტიდან აშკარაა, რომ ლორთქიფანიძე არ იზიარებს მენშევიკურ პარტიის ლიკვიდაციის თვალსაზრისს. განსხვავება მას და ჟორდანიას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ლორთქიფანიძე მხარს არ უჭერს შეიარაღებულ გამოსვლას დღევანდელ მომენტში იმიტომ, რომ ეს მიზანშეუწონელი და უიმედოა. ლორთქიფანიძე მხარს უჭერს იმას, რომ მოხდეს საზღვარგარეთულ მენშევიკურ ბიუროს ლიკვიდაცია (არ შეიძლება პარიზიდან კარგად უხელმძღვანელო საქმეს თბილისში) და იმას, რათა მისი მოქმედების სიმძიმის ცენტრი გადმოტანილი იქნეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში და საბჭოთა პირობებში გვებრძოლონ ჩვენ, ამასთანავე გამოიყენონ ის ლეგალური შესაძლებლობანი, რომელნიც მათ მიენიჭებათ და ყველა არალეგალური შესაძლებლობანი, რომელიც მათ ხელში იქნება. აი როგორი ბრძოლის წარმოება აქვს განზრახული ლორთქიფანიძეს ჩვენს წინააღმდეგ და ეს მხოლოდ ახასიათებს მას, როგორც მენშევიკს, რომელიც ახერხებს ჩვენს პირობებთან შეგუებას. ამიტომ ჩვენ არ მივეცემით ისეთ ილიუზიას, რომ მენშევიკებს შორის თითქოს მოიპოვებიან ცნობილი მუშაკები, რომლებსაც სურთ საბჭოების მხარეზე გადმოსვლა. ამ ცნობილ მუშაკების—ლიდერების პოზიცია ყველაზე უფრო საზიანოა, ვინაიდან ეს მათი ახალი „რევიზიონიზმი“ გამოიხატება იმაში, რომ ისინი სცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების შიგნიდან აფეთქებას. თუ ჟორდანიას პოზიცია საზიანოა, კიდევ უფრო საზიანოა ლორთქიფანიძის პოზიცია. მაშასადამე გრ. ლორთქიფანიძე ვითომდა ჟორდანიას წინააღმდეგია, მაგრამ სრულიადაც არ არის წოდ ჟორდანიაზე უკეთესი.

ამგვარად ჩვენს მუშათა კომისიის მოგზაურობას მოჰყვა ერთნაირი შედეგი. ერთის მხრივ ჩვენ გავიგეთ ლორთქიფანიძის პოზიცია, გავიგეთ აქვს თუ არა მას რაიმე გავლენა იმ მენშევიკებს შორის, რომლებსაც სურთ ჩვენს მხარეზე გადმოსვლა და ამავე დროს ჩვენ მოვახერხეთ ჩვენ მხარეზე გადმოყვანა მუშების იმ ნაწილის, რომელნიც გადასახლებული იყვნენ. ამ მოგზაურობის შემდეგ ჩვენ დავადგინეთ—83 კაცი დაგვებრუნებია საქართველოში.

რაც შეეხება მუშაობას ყოფილ მენშევიკებს შორის, თბილისში ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს. თუ წინად ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ოცნება იმაზე, რომ დაგვეპყრო მენშევიკური პარტიის ციხე-სიმაგრე თბილისში—მთავარი სახელოსნოები, ეხლა ეს სახელოსნოები კომპარტიის მხარეზეა და იქ არ მოიპოვება არც ერთი მუშა, რომელიც მენშევიკებს გაჰყვება.

თუ 1921 წელს, სახელოსნოებში ადგილი ჰქონდა ისეთს შემთხვევებს, როდესაც არ უსმენდენ ჩვენ პარტიას, არ აძლევდენ მას ლაპარაკის საშუალებას და სხვ. ეხლა კოწია სულაქველიძესაც კი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც პარტიიდან გამოვიდა და, უნდა ითქვას, სრულიად გულწრფელად მივიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, მუშები რკინისგზელების კრებაზე აძლევდენ შეკითხვებს: „რატომ ასე გვიან გამოხვედით მენშევიკურ პარტიიდან, რატომ ასე გვიან გაიგეთ, რას წარმოადგენს მენშევიკური პარტია“-ო. როგორია ჩვენი ამ მიმართულებით მუშაობის შედეგები სამი წლის განმავლობაში თბილისში. ჩვენ მიერ მიღწეული შედეგები აიხსნება იმით, რომ ამ მუშაობას თბილისში ჩვენ მივაქციეთ სათანადო ყურადღება.

მაგრამ მიღწეული შედეგებით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა მუშაობის გაგრძელება ჩვენი გავლენის განსამტკიცებლათ მშრომელთა შორის. როგორ მოვახერხოთ ეს—ამაზე შემდეგ წერილში.

მ. კახიანი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პარიზის კომუნის ვეტერანის ჩამოსვლა

ნოვოროსიისკი. 1 ნოემბ. საფრანგეთიდან ზღვით ჩამოვიდა პარიზის კომუნის ვეტერანი—გუსტავ შნაუტ-შარი.

შნაუტ-შარს ნავთსადგურში შეხვდენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მან წარმოსთქვა სიტყვა და გაუზიარა მოგონებანი კომუნის შესახებ. შემდეგ გამოვიდა შავიზღვის სანაპირო პროფკავშირთა ყრილობაზე, სადაც ის არჩეულ იქნა პრეზიდიუმის საპატიო წევრათ.

შახმატისტ კაპაბლანკას ჩამოსვლა

მინსკი, 1 ნოემბ. მინსკით გაირა მოსკოვისაკენ ჭადრაკის მოთამაშეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებათ საქვეყნო ჩემპიონი კაპაბლანკა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ზოოტეხნიკური სადგური

ბათომი, 1 ნოემ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით ბათომის ბოტანიკურ ბაღში ეწყობა ზოოტეხნიკური სადგური.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 1 ნოემ. 26 ოქტომბერს გემით „მასსასოიტ“ გაგზავნილ იქნა იტალიაში 6,605 ტონა ზეთი, გემით „ლუიზიანა“—3,620,162 კილო ნავთის პროდუქტი, აქედან 1,915,566 კილო ბენზინი, 1,413,061 კილო ნავთი და 291,535 კილო მაზუთი. გემით „იმერეტი 2“ ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გაგზავნა 636 კალმის ხის მორი, წონით 16,696 კილო და 102 შეკვრა ფრიზონი, წონით 10,916 კილო. იმავე გემით სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გაგზავნა 8,690 კილო პარკი და საზოგადოება „ტრანსპორტ“-მა ლივერპულში 142,286 კილო მორი.

სამაზრო ბიუჯეტი

ბათომი, 1 ნოემ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო სექციის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა სამაზრო აღმასკომების გასავლის ბიუჯეტი: ქობულეთის მაზრისათვის—256,915 მანეთის რაოდენობით, ჭოროხის—35,133 მან., აჭარის წყალის—136,471 მან., ქედის—409,137 მან. და ხულოს—363,595 მან. ყველა მაზრების შემოსავალის საერთო ჯამი უდრის 309,346 მანეთს.

პარტიული ცხოვრება

პარტია და კოოპერაცია სოფლად

კოოპერაციის მუშაობის თავის დონეზე დაყენებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის. კოოპერაციის საშუალებით სოფელი უახლოვდება ქალაქს. კოოპერაცია აწვდის გლეხს ქალაქის ნაწარმოებს, კოოპერაცია აძლევს ქალაქს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. კოოპერაციის საშუალებით სწავლობს გლეხი საზოგადოებრივ მუშაობას. „ზედმეტია სოფლათ სოციალიზმის დამყარებაზე ლაპარაკი, სანამ კოოპერაციის მუშაობაში გლეხობის ფართო მასები არ იქნება ჩაბმული“—ამბობდა ამხ. ლენინი. ამიტომ გასაკვირიც არაა, თუ ჩვენი პარტია ასეთ ყურადღებას აქცევს სოფლად კოოპერაციის განვითარებას.

ამ უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი თათბირი, კონფერენცია, თუ ყრილობა, სადაც კოოპერაციის მუშაობას, განსაკუთრებით სოფლათ, სათანადო ყურადღება არ მიქცეოდეს. ამავე საკითხს ეხება ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანო—რ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი თავის მიმართვაში პარტიის ორგანიზაციებისადმი და პარტიის ყველა წევრებისადმი და სხვათაშორის ამბობს: „კოოპერაციის გამოცოცხლება, განსაკუთრებით მუშაობის გაფართოება, რომ კოოპერაციაში გლეხობის ფართო მასები იქნან ჩაბმული—აი ჩვენი ამოცანები დღეს“.

მაშასადამე, კოოპერაციის საქმიანობის გამოცოცხლება, კოოპერაციის მუშაობაში გლეხობის ფართო მასების ჩაბმა—აი რას გვავალებს პარტიის უმაღლესი ორგანო.

ხორციელდება თუ არა ყველაფერი ეს დღეს სოფლად? სამწუხაროდ ამაზე ჯერ-ჯერობით ვერ მივცემთ დადებითი პასუხს. კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ კოოპერაცია თავის სიმაღლეზე დადგეს. სოფლის უჯრედები, ცალკე პარტიის წევრები ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას კოოპერაციას, ან არ აქვთ შეთვისებული პარტიის ხაზი ამ საკითხში.

უნდა აშკარათ ვთქვათ, რომ კოოპერაციას ბევრ თემსა და სოფელში ისე წაუხდა სახელი, რომ გლეხი განგებ გაურბის მას და კერძო ვაჭართან მიდის. მართალი იყო ამხ. ს. ორჯონიკიძე, როდესაც მან განაცხადა ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმზე: „სოფლათ კოოპერაცია მეტათ სუსტია. არავითარ კოოპერატიულ საზოგადოებრივობას ადგილი არ აქვს. საბჭო ან უჯრედი ბრძანებლობს კოოპერაციაზე“.

კოოპერაციისადმი გულგრილობა, კოოპერაციისთვის სათანადო მომზადებული და შეგნებული მუშაკების უყოლობა, კოოპერაციაში ხშირი ბოროტმოქმედებები ხელს უწყობს გლეხების კოოპერაციისაგან დაშორებას. ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. პარტიის დადგენილება კოოპერაციის შესახებ შეურყევლათ უნდა გატარდეს. სოფლათ მომუშავე კომუნისტებმა უნდა შეისწავლონ პარტიის ხაზი ამ საკითხში და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ კოოპერაციას. კოოპერაციის გამგეობებში წამოყენებულ უნდა იქნენ უპარტიო აქტიური გლეხები; უნდა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს სოფლის კოოპერატივებში გაფლანგველებს და სხვა ბოროტმოქმედებებს; კოოპერაციის მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ მთელი გლეხობა ჩაებას კოოპერაციის მუშაობაში; სოფლის კოოპერაციის საკითხი სოფლათ მუშაობის უმთავრესი ნაწილია. ვინც დაინტერესებულია სოფლათ მუშაობის საკითხით მან კოოპერაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენი სოფლის და თემის მომუშავეებმა სწორედ აქეთკენ უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობაც.

ელ.

წერილები ადგილებიდან

სოფ. ბოსლევი (შორაპ. მაზრა)

ჩვენი კომუჯრედის მუშაობა.

სოფ. ბოსლევში უჯრედი დაარსდა 1921 წელს. უჯრედში ირიცხება 8 წევრი და 4 კანდიდატი. სხდომები იმართება სისტემატიურად. სწარმოებს პოლიტ-მეცადინეობაც ამხ. კოლია ფუტკარაძის ხელმძღვანელობით.

კომუჯრედის სხდომები შემდეგნაირადაა განაწილებული: თვეში ერთხელ ეწყობა დახურული კრება, ერთხელ გაერთიანებული ა. ლ. კ. კ. უჯრედთან და ორიც ღია კრება უპარტიო მუშა-გლეხების თანდასწრებით. პარტიულებს და უპარტიოებს შორის კარგი განწყობილებაა.

უჯრედის წევრთა პოლიტიკური განვითარება საშუალოა. აქ ერთ ნაკლს აქვს ადგილი. ყველა ამხანაგს არა აქვს გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები. საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რათა მომავალში არც ერთი ამხანაგი არ დარჩეს ისეთი, რომელსაც გამოწერილი არ ექნება ჟურნალ-გაზეთები.

ბ. ქ.

ქ. თელავი

უჯრედის ღია სხდომებს ხშირად უნდა ვაწყობდეთ

თელავის ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ ისევ განაახლა უჯრედების ღია კრებების მოწყობა, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო. დღეს ამ ღია კრებებს ბლომად ესწრება უპარტიო ფართო მასა, რომელიც დიდ აქტივობას იჩენს საბჭოთა ხასიათის საკითხების გარჩევაში.

ამ ბოლო დროს ასეთ ღია სხდომებზე გაკეთებული იქნა ორი მოხსენება: ერთი პროფკავშირების მუშაობაზე და მეორეც—კოოპერაციაზე.

პროფმოძრაობას ჩვენს მაზრაში დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით კი მიწა-ტყის კავშირს, ვინაიდან მას უმთავრესად უხდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით მუშაობა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ღია კრებებზე ეს მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი და უპარტიონიც აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ.

როდესაც ღია კრებებზე დასმული იყო მოხსენება კოოპერაციაზე—აქაც ისეთივე სიცხოველე სჩანდა. ამხანაგები, როგორც პარტიულები, ისე უპარტიონი, თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდენ მიღწევებს და ნაკლულოვანებებს.

ერთი სიტყვით უჯრედების ღია სხდომების მოწყობამ საგრძნობი შედეგები გამოიღო უპარტიოთა მასების ასამოძრავებლად.

აუცილებელია, რომ ასეთი სხდომები ხშირ-ხშირად ეწყობოდეს და არა დროგამოშვებით. ვან—ლი.

ქ. დუშეთი

ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობა

უკანასკნელ თვეების განმავლობაში ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობა ძალზე მოისუსტებს: ხშირია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები არ არსებობს ხელმძღვანელობა უჯრედებზე როგორც ეს საჭიროა, დრო გამოშვებით იმართება კრებები, რომლებზედაც დამსწრეთა რიცხვიც უმნიშვნელოა, ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონეც მოისუსტებს და სხვ. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ სამაზრო კომიტეტს არა ყავს პარტმუშაკები.

გარდა ამისა ორგანიზაციაში კანდიდატთა რიცხვი სჭარბობს წევრთა რიცხვს, პარტიაში ახლად მიღებულთა შორის ბევრია არა მარტო პოლიტიკურად უცოდინარი, არამედ წერა-კითხვის უცოდინარიც.

საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს სასწრაფო ყურადღება. თუ მაზრას არ ეყოლება საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, უნდა ვიცოდეთ, რომ ორგანიზაციაში მუშაობა ვერ გამოცხოველდება. დ. კახნარელი

მეორე საგლეხო მომგებიანი სესხის გამოშვებისათვის

გუშინ დაიწყო მეორე სახელმწიფო საგლეხო სესხის გასაღება ნებაყოფლობითი ხელისმოწერის გზით. ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებში. ხელისმოწერა გაგრძელდება 15 ნოემბრამდე. ამ 14 დღის განმავლობაში მოქალაქეებმა ხელი უნდა მოაწერონ სესხზე, ვინაიდან სხვა გზით, გარდა ხელისმოწერისა, სესხის ობლიგაციები არ გაიყიდება და ხელისმოწერის ვადაც არ იქნება გაგრძელებული.

საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო სისტემაში ეს პირველი სესხია, რომელიც იძლევა 12 პროცენტს შემოსავალს და 5 მომგებიან პროცენტს. თვითეული მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს შემონახული თანხა, უფრო ხელსაყრელია სესხის ობლიგაციების ყიდვა და არა მარტოც დაწესებულ სარგებლის მიღება, არამედ აგრეთვე მონაწილეობის მიღება მოგებათა ტირაჟში. ეს სესხი ყველა სხვა დღემდე არსებულ სესხებიდან განსხვავდება მით, რომ ის იძლევა მოგებათა განსაკუთრებულ გარანტიას, ვინაიდან 20 მილიონ მანეთზე ა. | წ. 15 დეკემბერს გათამაშებული იქნება 6,562 მოგება 250,000 მანეთის რაოდენობით.

ჯერ ბევრს კარგად არ ესმის, თუ რამდენად ხელსაყრელი და სასარგებლოა ეს სესხი, მაგრამ დადგება დრო, როცა მეორე საგლეხო სესხის ობლიგაცია ბაზარზე ნომინალზე უფრო მეტი ეღირება. არც ერთ სესხს არ ჰქონია ამდენი უპირატესობა, როგორიც აქვს მე-2 საგლეხო სესხს. ის შეღავათს აძლევს არა მარტო გლეხს, მუშას, მოსამსახურეს, არამედ თვითეულ მოქალაქეს. ყველა მოქალაქეთათვის სესხი წარმოადგენს თავისუფალ თანხების შენახვის საუკეთესო საშუალებას.

სესხის ობლიგაციები მიიღება ვირაოთ სხვადასხვა იჯარების აღების დროს, აგრეთვე ვადაგაგრძელებულ აქციზის და საბაჟო გადასახადების უზრუნველსაყოფად. ობლიგაციების გამოშვების შემდეგ შედის ხმარებაში საქონლის-საფონდო ბირჟების საფონდო განყოფილებებში, აგრეთვე ყველა საკრედიტო დაწესებულებები ღებულობენ მათ თავის ოპერაციებში (დროს ყიდვა-გაყიდვა გირაო და სხვ.) ამრიგად ადვილია ამ სესხის ობლიგაციების გასაღება.

რევოლიუციამდე წვრილი თანხების მეპატრონეებს არ ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ მოგებათა გათამაშებაში, რადგან მომგებიან ბილეთების კუპიურებს ისინი ვერ იძენდენ მაღალი ფასების გამო.

სესხების გასაღების ასეთ სისტემას ჰქონდა გარკვეული მიზანი—ამაში მხოლოდ შეძლებულ ხალხის ჩაბმა, რათა მოგება მარტო მათ დარჩენოდათ. ცხადია, ასეთ პირობებში ლაპარაკიც ზედმეტი იყო სესხებში მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობაზე.

ჩვენს სესხებს მხედველობაში აქვთ წვრილი თანხების მეპატრონეები და მათ ეძლევათ შრომის სესხთა მნიშვნელობა რითაც ისინი დიდათ განსხვავდებიან ძველი სესხებისაგან.

მაშინ, როცა პირველი საგლეხო სესხი თავისი სტრუქტურით არ უზრუნველყოფდაც სახელმწიფოსათვის რამოდენიმედ გრძელვადიან კრედიტს,—მეორე საგლეხო სესხი ისეა გამოანგარიშებული, რომ მასში გლეხობამ დააბანდოს თავისი თანხები უფრო ხანგრძლივი ვადით, რადგან თუმცა ის მიიღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადში, მაგრამ აქ არ არის საგადასახადო შეღავათის მომენტი. პირველი სესხის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ ეს სესხი გამოშვებული იყო ზაფხულის თვეებში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ვადამდე, როცა გლეხობა განსაკუთრებულ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა.

გლეხობა მხოლოდ ეხლა იწყებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღებას, ეხლა უდგება თანხების დაგროვებას. ამრიგად, სესხი წარმოადგენს ბუნებრივ კალაპოტს, რომელშიაც შეიძლება ჩავაყენოთ ეს თანხები, ისევე როგორც ის თანხებიც, რომლებიც გადადებული აქვს გლეხობას მომავალი წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის. საჭიროა გლეხობას მივაწოდოთ ინფორმაცია და განვუმარტოთ მას სესხის პირობები და მნიშვნელობა. ამ მიმართულებით ჩატარებული უნდა იქნეს სათანადო კამპანია, უმთავრესად, სოფლის მუშაკების მიერ. რაც შეეხება ქალაქს, აქ მუშაობა უნდა გასწიონ საკრედიტო დაწესებულებებმა, რომლებმაც უნდა ჩააბან სესხის გასაღების საქმეში თავისი კლიენტები.

სესხის პოპულარიზაციის საქმეში პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნის აგრეთვე პროფესიონალურ ორგანიზაციებს. მუშები და მოსამსახურეები ნაკლებად იცნობენ საგლეხო სესხის იდეებს, საჭიროა წაკითხულ იქნეს ადგილებზე მთელი რიგი მოხსენებებისა და განემარტოთ მათ საბჭოთა სესხების მიზნები და დანიშნულება, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა გავლენა უნდა მოახდინონ მასებზე, რათა ისინი დაუახლოვდენ სესხებს, უცქეროდენ მათ როგორც თავის ფულის შენახვის საშუალებას, რომლიდანაც ის საჭირო შემთხვევაში დაიბრუნებს არა მარტო ობლიგაციებში გადახდილ თანხას, არამედ აგრეთვე მიიღებს პროცენტებსაც და გარდა ამისა ექნება მოგების შესაძლებლობა ტირაჟის დროს.

ყოველივე ძალღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ მუშებს და მოსამსახურეებს საშუალება მივცეთ შეიძინონ სესხის ობლიგაციები ნაწილ-ნაწილად გამოსყიდვის გზით ჯამაგირის ანგარიშში.

სესხის გასაღებაში მშრომელთა ჩაბმის ასეთი სისტემა მომავალში უზრუნველყოფ მათ სავსებით ნებაყოფლობით მონაწილეობას მათი გასაღების საქმეში.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ გლეხების და მუშების დახმარებით შესაძლებელი იქნება სახელმწიფო კრედიტის განმტკიცება და გავრცელება მშრომელთა ფართო მასებში.

კრედიტი კოოპერაციას

ს.ს.რ. კავშირის კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილებამ შეიმუშავა მიმდინარე 1925—26 სამეურნეო წელს ჩვენი კოოპერაციისათვის კრედიტების მიწოდების გეგმა.

გეგმა შედგენილია 9.100.000 მანეთის რაოდენობით და იგი ითვალისწინებს კრედიტების გაცემის გატანას კოოპერატიული ორგანიზაციების უმაღლეს საფეხურებიდან—ძირითადებზე. განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ ექცევათ ძირითად სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს და სამომხმარებლო საზოგადოებებს. გეგმით გათვალისწინებულია კრედიტების გაცემის გადიდება ძირითად ორგანიზაციებზე ორჯერ, ცენტრების წინააღმდეგ.

კვარტალების მიხედვით გეგმაში აღნიშნული საკრედიტო თანხა გაცემის მხრივ ნაწილდება შემდეგნაირად: პირველ კვარტალში საქართველოს კოოპერატივთა მთელ ქსელზე გაიცემა—2 მილიონი მანეთი, მეორე კვარტალში—2.200.000 მან., მესამეში—2.300.000 მანეთი და მეოთხეში—2.500.000 მანეთი.

კრედიტების მთავარი მასა ძირითად ორგანიზაციების მიმართ გატარდება აღრიცხვის ქვეშ. ცენტრებზე მათი გაცემა კი განზრახულია იმ გვარად, რომ ამით მათ შეისყიდონ საქონელი, და იგი მიზნობრივი კრედიტების სახით მიაწოდონ სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

იბეჭდება და 7 ნოემბერს დაურიგდება „კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებს

„ჩირაღდანი“-ს

ოქტომბრის საიუბილეო ნომერი

განყოფილებით „ეშმაკის მახე“

„მეცნიერება და ტეხნიკა“-ს

შემდეგი ნომერი დაურიგდება ჩვენი გაზეთის ხელისმომწერლებს

15 ნოემბერს

თბილისის საბჭოს სექციებში

კომუნალურ სექციაში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში ამხ. ასრიევის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომა.

დღის წესრიგში დასმული იყო ანგარიში ქალაქის სასაკლაოს მუშაობის შესახებ 1924—25 წლის განმავლობაში და მიმდინარე საქმეები.

სასაკლაოს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სასაკლაოს დირექტორი, რომელიც აღნიშნავს, რომ 1924—25 წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 60—70 პროცენტამდე.

მაგალითად, თუ 1923 წელში დაკლული იქნა 80.000 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, 1924 წელში ჩვენ გვქონდა უკვე 150.000 სული, მიმდინარე წელში კი დაკლული საქონლის რაოდენობა აღემატება 200.000 სულს. 1923 წელში სასაკლაოს დარჩა მოგება 40.000 მანეთამდე, 1924 წელს—50,000 მან., მიმდინარე წელში კი 70.000 მანეთამდე.

ამავე ხნის განმავლობაში სასაკლაოში გაკეთდა კაპიტალური რემონტი, ასე რომ თბილისის სასაკლაოს ეხლანდელი სახით შეუძლია დააკმაყოფილოს მილიონი მცხოვრების საჭიროებები. ხორცის დამზადებაში და საერთოდ ყოველგვარ მუშაობაში დაცულია სანიტარულ-ტეხნიკური პირობები, სახელდობრ: დასაკლავ საქონელს სინჯავს ბეითალი, უვარგისი ხორცი ისპობა, რისთვისაც არსებობს სპეციალური საწვავი ქარხანა, ხორცის გადატანა ხდება დახურული რონოდებით, ხდება საქონლის დაზღვევა დაკვლამდე, რითაც უზრუნველყოფილია მეპატრონისათვის საქონლის ღირებულების 80 პროცენტი იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ავადმყოფი აღმოჩნდება.

განზრახულია სისხლის უტილიზაცია, რისთვისაც დაარსებულია სპეციალური ქიმიური ლაბორატორია, სადაც ხდება სისხლის ანალიზი. გამორკვეულია, რომ სისხლის ერთი ნაწილი საუკეთესო სამელიორაციო მასალათ ითვლება. სასაკლაოში ასეთი მასალა შეიძლება დამზადებული იქნეს 4.000 ათას ფუთამდე ყოველწლიურათ. ამას გარდა იქვე შეიძლება დამზადდეს 700 ფუთი სისხლი ძეხვებისათვის.

სასაკლაოსთან არსებობს საუტილიზაციო ქარხანა, სადაც ტყავს აძრობენ მკვდარ ცხენებს და უპატრონო ძაღლებს.

სასაკლაოს აქვს თავისი ელექტრო-სადგური, რომელიც სასაკლაოს გარდა ენერგიას აწოდებს სხვა დაწესებულებებსაც.

რაც შეეხება შრომის ხელფასს, უნდა ითქვას, რომ სასაკლაოს მუშა საშუალოთ თვიურათ იღებს 40—55 მანეთამდე; ამას გარდა მუშებს ეძლევათ ხორცი. დამოკიდებულება მუშებსა და ადმინისტრაციას შორის კარგია.

რკინის გზებზე

რკინისგზა ახალსენაკიდან ზუგდიდამდე

ამა წლის 1 ნოემბრის ცნობებით, შავიზღვის სანაპირო რკინისგზის საძხრეთ ნაწილში გზის გასაყვანათ მუშაობა სწარმოებს შეუჩერებლად. ახალსენაკიდან ხეთამდე 22 ვერსის მანძილზე აღდგენილია გზა, რომელზედაც დაიხარჯა 107 ათას მანეთამდე.

— ამას გარდა შეკეთებული და აღდგენილია ძველი ხის ხიდები, რაზედაც დღემდე დაიხარჯა 67 ათასი მანეთი.

— საერთოდ, რკინისგზის სამხრეთ ნაწილზე დღემდე დაიხარჯა 680 ათასი მანეთი.

— გზათა სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს 7 ნოემბერს მოაწყოს დროებითი მიმოსვლა ხეთამდე.

რაც შეეხება ხაზის გაგრძელებას ხეთიდან ზუგდიდამდე, დაწყებულია როგორც გზების, ისე ხიდების აღდგენა. ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება მუშათა მატარებლების მიმოსვლა ხეთიდან მდინარე ჯუბამდე, რომელიც ხეთიდან დაშორებულია 7 ვერსით.

— შემდეგი ამოცანა არის მდინარე ჩხოუშზე ხიდის აგება, რაც შესაძლებლობას იძლევა რუხის წყლიდან ლიანდაგის გასაყვანათ. გზათა სამმართველომ უკვე შეასრულა წინასწარი გეგმა, ასე რომ ახლო ხანში რუხის წყლამდეც გაყვანილი იქნება რკინის გზის ხაზი.

ქრონიკა

საქ. ცაკში

— **საერთო სავალდებულო სწავლება.** საქ. ცაკმა განათლების კომისარიატს გადასცა დასამუშავებლად მასალები საერთო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ.

— **მასწავლებელთა დავალიანების დასაფარავად.** განათლების კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად საქ ცაკმა სახ. კომისართა საბჭოს დაავალა გაიღოს 2779 მან. სოფ. ჩხორო-წყუს თემის მასწავლებელთა დავალიანების დასაფარავად.

— **ფოთზე მიწერა.** ცაკმა დააკმაყოფილა სოფ. პატარა ფოთის შუამდგომლობა ქალ. ფოთზე მიწერის შესახებ.

— **მეურნეობის აღსადგენათ.** ცაკმა სახ. კომისართა საბჭოს გადასცა განსახილველად სოფ. ხულგუმოს შუამდგომლობა მეურნეობის აღსადგენათ 15,000 მან. გადადების შესახებ.

— **საქათალიკოსო საბჭოს** შუამდგომლობის თანახმად ცაკმა წინადადება მისცა სიღნაღის აღმასკომს საქათალიკოსო საბჭოს გადასცეს ბოდბის მონასტერში არსებული ისეთი სასულიერო სამოსი, რომელთაც არა აქვთ საისტორიო და სამხატვრო მნიშვნელობა.

ქალაქის კომენდანტისაგან

— დღეს მოხდება საარტილერიო სალიუტი. კატეგორიულად ეკრძალება ყველას მონაწილეობის მიღება სალიუტში იარაღის გასროლით. დამნაშავენი დაუყოვნებლივ იქნებიან დატუსაღებული და პასუხისგებაში მიცემული.

თბ. აღმასკომში

— **აფთიაქების სამმართველოს შეერთება.** თბ. აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო შეერთებული იქნას სახმედვაჭრობა და აფთიაქების სამმართველო, რის შემდეგშიაც მოეწყობა სააქციო საზოგადოება, რომლის აქციების 80 პროც. განაწილებული იქნება ჯანსახკომსა და აღმასკომს შორის, ხოლო 20 პროც. დაეთმობა სხვა ორგანიზაციებს.

— **აფთიაქების გადაცემა.** ამჟამად არსებულ აფთიაქების სამმართველოს აღმასკომის დადგენილებით გადაეცემა ქალაქში არსებული ყველა აფთიაქები და ამავე დროს შექმნილი იქნება ერთი საათფთიაქო საწყობი, რომლიდანაც ყველა აფთიაქები მომარაგებული იქნება წამლეულობით.

— **ოქტომბრის დღესასწაულის** ჩასატარებლათ გაწეულ ხარჯებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 3000 მან.

— **ადმინისტრატიულ განყოფილებას** წინადადება მიეცა მიიღოს ენერგიული ზომები საქონლის ფარულათ დაკვლისა და ცოცხალი საქონლის ქუჩებში გაყიდვის წინააღმდეგ.

— თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსოს საფინანსო საკონტროლო განყოფილება.

ჯანსახკომი

— **ტანმოვარჯიშეთა ჯანმრთელობის** გამოსაკვლევათ და დასაცავათ ჯანსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ცალკე კაბინეტი.

— **სიღნაღის საავადმყოფოს** შესაკეთებლად ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასდო 1500 მან.

— **აგარაკ შოვის მომწყობ** კომიტეტს განზრახვა აქვს შოვში მოაწყოს სარძეო ფერმა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

— **კბილის ტეხნიკოსთა კურსები.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკასთან ა | წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში სახ. განათლების კომისარიატის ნებართვით გაიხსნება 2 წლიანი კურსები კბილის ტეხნიკოსთა მოსამზადებლად. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.

— **კბილის სნეულებათა კლინიკაში.** სახ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში. ავადმყოფთა მიღება სწარმოებს, როგორც დილით ისე საღამოს 4—6 საათამდე საღამოს ავადმყოფების მიღება უფასოა.

— **დისერტაციის დაცვა.** კვირას, 1 ნოემბერს სახ. უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკის უფროსმა ასისტენტმა მიხეილ მგალობლიშვილმა საჯაროთ დაიცვა თავისი სადისერტაციო შრომა: „ფიბრომიომების ეთიოლოგიის და მკურნალობის საკითხისათვის“. ექიმ მგალობლიშვილს მიეცა გინეკოლოგიის დოქტორის ხარისხი.

სხვადასხვა

— **ლიბანის სანატორიუმი.** ლიბანის სანატორიუმის ასაგებათ უმთავრესი მუშაობა დამთავრდა. ამჟამად სწარმოებს შენობის მოწყობა. რკინის გზის დამზღვევ სალაროს განზრახვა აქვს ლიბანის ახლოს სოფ. ტბაში ააგოს რკინისგზელთა დასასვენებელი სახლი.

— **ჰაეროდრომი შოვში.** შოვში დამთავრდა ჰაეროდრომის მოწყობა მოედანს აქვს 7200 კვადრატიული საჟენის სივრცე.

— **წითელ არმიისა და ფლოტის ბაღი.** სამგლოვიარო კვირის განმავლობაში წითელ არმიისა და ფლოტის სახლის ბიბლიოთეკა ღია იქნება 12—7 საათამდის, სამკითხველო კი 5—8 საათამდის.

კრებები

— **შმო ლიგის ტ. კ-ში.** ოთხშაბათს 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შმო ლიგის ტ. კ-ის შენობაში (რუსთაველის პრ. 24) შესდგება ტ. კ-ის პლენუმის სხდომა. დღის წესრიგი: 1. შმო ლიგის ტ. კ-ის პრეზიდიუმის ანგარიშები, 2. „შმო-ს დღის“ შესახებ, 3. უჯრედებში შმო-ს დისციპლინის შესახებ, 4. მიმდინარე საკითხები.

— **ოთხშაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში** (შესავალი კალოუბნის ქუჩიდან) შესდგება საქართველოს ფიზიო-თერაპევტიულ ან რენტგენოლოგთა საზოგადოების მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1 ნაწილი ექ. ნ. შუბლაძე—„თბილისის გოგირდის წყლები და მათი სამკურნალო მნიშვნელობა“, „თბილისი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის კლიმატო-ბალნეოლოგიური სადგური“, ექ. ანდრეევი—„კურორტი მოტსტა“, 2. მიმდინარე საკითხები

დავეხმაროთ „წერკუმს“-ს

საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათ წარმოკავშირის გამგეობას შემოაქვს 100 მანეთი და იწვევს გაიღონ თავისი წვლილი შემდეგმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა: ცეკავშირმა, „საქართველოს ღვინო“-ს კავშირმა, მუშკოოპმა, ა | კ. რკინისგზის სამომხმარებლო საზოგადოებამ, ა | კ. და საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა და წარმოკავშირის ყველა მოკავშირე ორგანიზაციებმა.

წარმოკავშირის გამგეობა.

—

შემაქვს ამხ. ღ. რუხაძის გამოწვევით „წერკუმს“-ის სასარგებლოდ ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) პეტრე ზუმბაძეს, 2) ლადო ფანცულაიას, 3) შალიკო გეგენავას, 4) გიორგი ჰუმპურიძეს, 5) არტაშეს სიუტჩიანს, 6) დოროთე ფირცხალავას, 7) სოსო ასლანიშვილს, 8) სერგო ისრაელიანცს, 9) ილიკო კიკნაძეს.

ბენედიქტე ჩიქობავა.

—

შემაქვს „წერკუმს“-ის სასარგებლოდ ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) გ. მუშიშვილს, 2) ალია ჩეჩელაშვილს, 3) სერგო ამალლობელს, 4) შურა დუდუჩავას, 5) ვასო კაკაბაძეს, 6) აკაკი გვახარიას, 7) შალვა ჰყონიას, 8) კარნეევს (ზაკკნიგა), 9) ტრიფონ სინაურიძეს, (თბილისის აღმასკომი), 10) ი. ტაბიძეს, 11) სერგო ჯიბლაძეს, 12) კავალევსკის, 13) ბრუკს, 14) მალხაზიას, 15) გ. ჩხობაძეს, 16) ვ. მერაბოვს, 17) თამარა დავთიანს, 18) თომა ჩიქვანაიას.

მელიტონ ფოცხორაძე.

—

შემაქვს „წერკუმს“-ის სასარგებლოდ ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) სანდრო ეულს, 2) ისიდორე თალაკვაძეს, 3) ექიმ ისიდორე ჰანტურიას, 4) გიორგი პავლეს ძე გორდეზიანს, 5) პარმენ დავითის ძე გამყრელიძეს, 6) მიხეილ ფანჩულიძეს და 7) დავით ვასილის ძე კარსელაშვილს.

ილიკო გორდეზიანი.

—

შემაქვს „წერკუმს“-ის სასარგებლოდ ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქ. სენაკიდან: 1) ვალოდია ნოდიას, 2) ალექსანდრე ოჩიგავას, 3) ანდრო ლომიას, 4) თადეოზ ტაბალიუას, 5) კაპიტონ მელიქაძეს, 6) პეტრე ნადარეიშვილს, 7) ბაგრატ გოგინავას, 8) იროდი კეშელავას, 9) სანდრო თურქიას, 10) იუსტინე გვასალიას, 11) კოსტა პიჩინაძეს, 12) გიორგი გვასალიას, 13) ვასო ქობულიას, 14) ერმინე შუშანიას, 15) დიმიტრი ესებუას, 16) პეტრე წოწორიას, 17) ვანო გეგეჭკორს, 18) გრ. გეგენავას.

აღნიშნულ პირებიდან ფულის მიღებას ვანდობ „წერკუმს“-ის სენაკის სამაზრო გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გრ. გეგენავას.

ერასტი ჭოლოკავა.

—

ფული მიღება სწარმოებს „წერკუმ“-ში რუსთაველის პრ. № 11

ხელოვნება

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს გაიხსნა ქართული დრამის სეზონი, თეატრს მოაწყდა აუარებელი ხალხი; ბევრი დარჩა უბილეთოდ. როგორც გამოცხადებული იყო, სრულ 8 საათზე აიწია ფარდა, რასაც ფოთის საზოგადოება ნაკლებათ არის ნაჩვევი. წარმოდგენის დაწყებამდე, აღმასკომის პრეზიდიუმის მინდობილობით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გრ. მეუნარგიამ. მან აღნიშნა თეატრის ხელმძღვანელის ი. ზარდალიშვილის შრომა ფოთში დასის მოწყობის საქმეში და თავისი სიტყვა ასე დაათავა: „არ ვიცით ვის გადაუხადოთ მადლობა, აღმასკომს თუ ზარდალიშვილსო“, და ხალხმაც იგრიალა ვაშას ძახილით: ზარდალიშვილსო.

სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა თბილისის აკადემიურ დრამის რეჟისორების კოტე მარჯანიშვილის და ახმეტელის მისალოცი დეპეშა.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენა, ითამაშეს „ორი ობოლი“. პიესა ისე მხატვრულად იქნა შესრულებული, რომ ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მსახიობები თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ თამაშით. ფროშარის როლში ძლიერ კარგი იყო ლოლობერიძის ქალი, განსაკუთრებით ბოლო მოქმედებებში. კარგი პიკარი იყო მსახიობი ხონელი; ჟაკის როლის ამსრულებელი ჯაფარიძე ზედმიწევნით მოხდენილად ასრულებდა თავის როლს. ყალაბეგიშვილმა დიდი შეგნებით და დაკვირვებით შეასრულა გრაფის სერიოზული როლი. ამ საღამოს დიდ ყურადღებას იქცევდნენ სირბილაძე და ჩიხლაძის ქალი. ჩიხლაძის ქალს ეტყობოდა ავადმყოფობა, მაგრამ მაინც სძლია ლუიზას როლი. სირბილაძის ქალის თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. პიერის როლს ასრულებდა დამსახურებული მსახიობი ზარდალიშვილი. მან თავისი თამაშით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. დიდი მადლობა ფოთის აღმასრულებელ კომიტეტს ასეთი სერიოზული თეატრის შექმნისათვის.

დამსწრე.

—

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** შაბათს, 7 ნოემბერს, საღამოს 6 ს., ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქუჩა № 13), შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა საზეიმო სხდომა. მოხსენებათა თემა: „ოქტომბრის რევოლიუცია და პროლეტარული მწერლობა“. მომხსენებლები: რ. კალაძე, ი. გედევანიშვილი, შ. დუდუჩავა, ს. ეული, ნ. ზომლეთელი და სხვები.

— **სანდრო შანშიაშვილის ნაწერების** პირველი ტომი იბეჭდება და გამოვა ახლო ხანში. წიგნი გამოსვლისთანავე დაურიგდება ხელის მომწერლებს.

— **იბეჭდება** და ნოემბრის ბოლო რიცხვებში გამოვა ქუთაისში, ჯაჯუ ჯღენჯიკიას მოთხრობების მეორე წიგნი.

შემთხვევები

— **დაკარგვა.** 30 ოქტომბერს, ვარდისუბნის ქ., № 47 ოლღა პეტრიაშვილთან მცხოვრები ლიდა მოდრეკელიძე გასულა ბინიდან და დღემდე არ დაბრუნებულა.

— **ჩხუბის დროს.** 20 ოქტ. რესტორან „მარსში“, დავიდოვის ქ., № 7 სერგო კობახიძეს და სიმონ არჩვაძეს მოუვიდათ ჩხუბი, რის დროსაც კობახიძემ ფეხი ამოჰკრა სასქესო ორგანოში არჩვაძეს, რომელიც იქვე წაიქცა გონებამიხდილი. ექიმების თქმით არჩვაძეს ქონია გახეთქილი საშარდე ბუშტი და შეიძლება არ გადარჩეს.

— **დაჭრა.** 31 ოქტ. ნაშუადღევს, აბანოს ქუჩაზე მდებარე სიჩაიეში ამას-თალიოღლიმ დანით დასჭრა უცნობი მოქალაქე და მიიმალა.

— **თვითმკვლელობის განზრახვა.** 1 ნოემბერს, დილით, ბრიგადირის ქ. № 27 ვალერიან ლიტოვსკიმ სასიკვდილოდ დაიჭრა თავი რევოლვერით.

— **ფულის გატაცება.** 31 ოქტომბ. სურფმინასის ქუჩაზე მცხოვრებმა ერვანდ ავეტისოვმა მის ამხანაგს მამიკონ გუნდუკიანცს მოსტაცა 180 მან. და მიიმალა.

— **ქურდობა სკოლაში.** 31 ოქტ., საცდელ სკოლის გამგემ მიხეილ ხანდუკელმა განუცხადა მილიციას, რომ სკოლიდან სისტემატიურად იპარავენ მოწაფეთა პალტოებს.

— **მუშკოოპის მე-9 მაღაზიიდან** 28 ოქტ. მოიპარეს 132 მან. მაუდი.

— **კინო „გლობუსის“** ბუფეტიდან 31 ოქტ. მოიპარეს 100 მან. ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 28 ოქტ. ბაზარში ბორის ცხაკანოვს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე.

ფიზიკური კულტურა

შეჯიბრების შეწყვეტა

ფეხბურთელთა პირველი კატეგორიის გუნდების (სერგო ორჯონიკიძის და გ. ქავთარაძის სახელობის გუნდები სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და ლენინის რაიონის გუნდები) შეჯიბრება პირველობაზე შეწყდა.

ამჟამათ პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მეორე და მესამე კატეგორიის გუნდები.

შეჯიბრება.

დღეს თბილისის ქვეითა სკოლის ეზოში მოხდება სერგო ორჯონიკიძის სახელობის მეორე გუნდის და არსენალის რაიონის გუნდის შეჯიბრება. დასაწყისი დილის 11 საათზე.

ბათომელი ფეხბურთელები ოსმალეთში

ოსმალეთის (ტრაპიზონის) ფეხბურთელებმა შეჯიბრებაზე მიიწვიეს ბათომის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც უძლიერეს გუნდათ ითვლება ამიერ-კავკასიაში.

ბათომელი ფეხბურთელები ფიზ-კულტურის მოვარჯიშეებთან ერთად ტრაპიზონში გაემგზავრენ გემ „მშრომელი ბათომი“-თ. ტრაპიზონში ჩასვლისას ჩვენს სპორტსმენებს შეეგება აუარებელი ხალხი, რომელმაც ოვაციები გაუმართა მათ.

ბათომელ ფეხბურთელებს პირველი შეჯიბრება ჰქონდათ ტრაპიზონის ერთ-ერთ გუნდთან. შეჯიბრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. ბათომელმა ფეხბურთელებმა ადვილად მოუგეს ეს მატჩი ოსმალებს. შეჯიბრება გათავდა 7:1 ბათომის სასარგებლოდ.

დიდ ინტერესს იწვევდა მეორე მატჩი. აქ ბათომის წინააღმდეგ გამოვიდა ოსმალეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი. ტრაპიზონის ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიოდა რამოდენიმე მოთამაშე ოსმალეთის ნაკრები გუნდიდან, რომელსაც ამას წინათ შეჯიბრება ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან.

მატჩს დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი.

ბრძოლა მეტად მწვავე იყო. თუ პირველი მატჩი ბათომელებმა მეტად იოლად მოიგეს, აქ მათ დასჭირდათ მთელი თავისი ენერგიის და ტეხნიკის გამოჩენა. მიუხედავად ამისა, გამარჯვება მაინც ოსმალებს დარჩა—2:1.

ფეხბურთის შემდეგ გამოვიდნენ ბათომელი სპორტსმენები, რომელთა ვარჯიშობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალებზე.

მუშათა ცხოვრება

კოოპერატივშიც ფული გაფლანგეს

(მუშის შენიშვნა)

— პავლე! იცი, რომ ჩვენ კოოპერატივში ცოტა „გროშები" შეუცანცლავთ?!

გულდაწყვეტითა და გაბრაზებული კილოთი მიმართა მის გვერდით დაზგაზე მომუშავე—პავლეს არჩილმა.

— მე საიდან მეცოდინება ჩემო არჩილ! სარევიზიო კომისიის წევრი შენ ხარ და ამაებს შენ უნდა აქცევდე ყურადღებას. მაინც რამდენი გაფლანგავთ?—შეეკითხა პავლე.

— ჯერ-ჯერობით აღმოვაჩინეთ ათას მანეთამდე. ვინ იცის, იქნებ კიდევ არის გაფლანგული, მაგრამ ჯერ არა სჩანს. გამოძებნა უნდა.

— გამოიჭირეთ ვინმე?! ვის ედება ბრალი?!.

— ვინ უნდა გამოიჭირო, ყველას უნდა მოეკიდოს ხელი. ხოლო აქ—ცხადია, რომ სათავეში მდგომი პირიც დამნაშავეა. ამას სასამართლოს ორგანო გამოიძიებს და გაიგებს, ვის მიუძღვის ბრალი.

— საშინელი ბოროტებაა, ამხ. არჩილ! ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს იფლანგებოდეს საზოგადოების და სახელმწიფოს ფული. საჭიროა სასტიკად დაისაჯონ ეს უღირსი წევრნი ჩვენი საზოგადოებისა.

— კაცო! მიკვირს მაგათი საქმე. მათ ეძლევათ კარგი ჯამაგირები, მივლინების ფულები, ავანსები,—და შეჭმა კიდევ მათ?!!. როგორ დაკარგა ამ ხალხმა უბრალო მოქალაქეობრივი სინიდისი—მაინც!!

ეხლა იცოცხლე, ჩემო პავლე, ისინი იქნენ დასჯილი!!. უკვე გამოტანილია სათანადო ორგანოების მიერ, რათა დაუზოგველათ იქნენ დახვრეტილი ის ვაჟბატონები, რომელნიც ასე უპასუხისმგებლოდ ფლანგავენ საზოგადო ქონებას—ფულს, როგორც კოოპერატივებში, ისე სხვა ორგანოებშიაც. ბარე ორი კიდევ მიახვრიტეს. წაიკითხავდი გუშინწინდელ გაზეთში. ხოლო მათ ბარეორი კიდევ მიჰყვებიან უკან. მერეც აღარ ისწავლიან ჭკუას „შემოპარულები"!?.

— იცი არჩილ, სხვა ბოროტმოქმედებასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გაუმართოთ კოოპერატივში.

აი მაგ. ვერც-ერთ კოოპერატივში ვერ ნახავთ საზამთრო სეზონის მანუფაქტურას და კერძოებს კი გამოტენილი აქვთ მაღაზიები. ბოროტი ენებიკი ამბობენ, რომ მათთვის ეს ფართალი კოოპერატივებმა მოეციათ და ეხლა ისინი პირდაპირ ყვლეფენ მუშებს.

— ეგ საკითხიც გვიდგას დღეს წესრიგში და ნოქრების საკითხიც, ჩემო პავლე. მალე მოვაგვარებთ მაგეებსაც.

მ-რი არტა-უტი.

მუშებში კულტურული მუშაობა გაჩაღებულია

(კულტმუშაკების კონფერენციის გამო)

ეს დამტკიცდა ამ დღეებში მუშათა ცენტრალურ კლუბში გამართულ კონფერენციაზე. ხსენებული კლუბის დარბაზი ვეღარ იტევდა კულტურულ-განმანათლებელ დარგებიდან მოსულ დელეგატებს. მომხსენებლები ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში კულტურული მუშაობა შესამჩნევად გაზრდილა. წელს ის აღარ ვართ, რაც ვიყავით შარშან. ერთი წლის შემდეგ კი იმედია, ნაყოფი ჩვენი მუშაობისა ამ დარგში კიდევ მეტი იქნება. საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ მასიურ მუშაობას. მასიური მუშაობა კი ხდება მუშათა კლუბებში. ამიტომ ეკუთვნით დიდი ყურადღება მუშათა კლუბებს. მუშები, მათი ცოლები შვილებით უნდა მიისწრაფოდენ კლუბებში.

კლუბში უნდა შევისწავლოთ მეცნიერება, ხელოვნება.

კლუბში უნდა დავისვენოთ ფიზიკურად და გონებრივად.

აი აქეთკენ მოუწოდებდენ მრავალი პლაკატები და წარწერები ამხ. მუშებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე ლოზუნგები კლუბებში სადღეისო სამუშაოთ. „ყურადღება მასის ცოცხალ შეკითხვებს. ყველა პროფკავშირის წევრი უნდა გახდეს კლუბის წევრად. ყოველივე კულტ-განმანათლებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს მასისათვის გასაგებ ენაზე. მოსთხოვე კლუბის გამგეობას მოკლე და გასაგებ ენაზე შედგენილი კლუბის ანგარიში. მთელი ყურადღება კლუბში მოსიარულე მუშების და მოსამსახურეთა ჩაბმას. კლუბში მეუღლეც თან წაიყვანე. კლუბი რაზმავს მასას და ზრდის საზოგადო მუშაკთა ახალ კადრს. თუ კლუბის გამგეობა ცუდია—კლუბი ვერ იმუშავებს. აირჩიე საუკეთესო მომუშავენი კლუბის გამგეობაში". და მრავალი ასეთი შინაარსიანი წარწერებით აჭრელებული იყო კონფერენციის დარბაზი.

მუშა ძველი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ალაგმეთ ენაბოროტი ქალი.** სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მსმენელად არის ვინმე **ლუსია მაჭავარიანისა.** ეს ენა-ბოროტი ყველას გვეჩხუბება, გვლანძღავს—გვაგინებს. ინსტიტუტის მსმენელ ქალებს უწოდებს „ქუჩის გოგოებს". თავი მოძულებული გვაქვს ამ უზრდელი ქალისაგან.

საჭიროა ამ დედაკაცის თავგასულობას ბოლო მოეღოს.

მორჩელი.

— **ეს ექიმი გვლანძღავს და გვიყვირის.** კამოს ქუჩაზე არის ვენერიული საავადმყოფო, სადაც მსახურობს ექ. მგალობლიშვილი. ეს ექიმი თავაზიანათ არ ეპყრობა იქ მოსიარულე საშინელ სენით შეპყრობილ ავადმყოფებს: უყვირის და ლანძღავს დასნეულებულ ადამიანებს, ხშირად სრულიად უმიზეზოდ. აი მაგალითიც—29 ოქტომბერს მან სრულიად უმიზეზოდ გალანძღა მასთან სამკურნალოდ მისული წითელარმიელი ამხ. გაზაკიძე.

ასწავლეთ ამ ექიმს თავაზიანობა და ავადმყოფებისადმი ადამიანური მოპყრობა.

წითელარმიელი.

— **შვებულებას აძლევენ, საშვებულებო ფულის გაცემას აგვიანებენ.** ერთი წლის განუწყვეტელი მუშაობისათვის „ზაჰესი"-ს მუშები იღებენ მორიგ შვებულებას მხოლოდ 12 დღის ხანგრძლივობით და აქედანაც რამოდენიმე დღეს საშვებულებო ფულის მიღებას ანდომებენ. ზოგიერთ მუშას კი ამ „მიღებაში" უთავდება შვებულება.

ასეთი მოვლენა განა დასაშვებია?

მუშკორი კ. კერესელიძე.

— **ასეთი საქციელი შეფებს არ შეშვენით.** მე-4 (სახელმ.) თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა იკისრეს სოფელ ბიბლიანის შეფობა. მათი შეფობა კი გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ გლეხობას გამოუწერეს გაზ. „სიმართლე"-ს ოცდათი ცალი. ჩვენი შეფები ბევრ რამეს გვპირდებოდენ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და გამოწერილი გაზეთის ფულსაც ჩვენ გვთხოვენ.

რაშია საქმე ამხ. მუშებო?

გლეხი ფოლადი.

— **ეს ადგილკომი არ იცავს მუშების ინტერესებს.** გორის მაზრაში არსებობს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მუშაობს 90 მუშა. მუშებს ჰყავთ ადგილკომი, რომელიც არ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე: მას ცოდნა-გამოცდილებაც აკლია და პროფმომზადებაც, სუსტია და მშიშარა. მუშების კანონიერ მოთხოვნილებებსაც ვერ იცავს, როგორც წესი და რიგია.

მოხსენით ეს უნიჭო ადგილკომი!

პროლეტარი.

— **მოარჯულეთ ეს ავარა—„ხულიგანი".** ალექსანდროპოლის ქუჩა, სახლი №8-ში სცხოვრობს ვინმე **მიშა ბოგატუროვი,** რომელსაც ჩხუბით, ცემა-ტყეპით და ლანძღვა-გინებით აწიოკებული და აკლებული ჰყავს მთელი უბანი. 17 ოქტომბერს მან ისახელა თავის მკლავაძეობით და მთელი უბანი ააწიოკა.

ასწავლეთ ამ ავარას ჭკუა!

მუშკორი თავზარდაცემული.

— **აღმასკომო ამ უბანსაც მოხედე!** ფერმა-ავლაბრის ქუჩები სრულიად მოუწყობელია. აქ არა გვაქვს არც განათება, არც ქვაფენილები. აქ სცხოვრობენ რკინისგზის და ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ღამით ამ ქუჩებით კაცს ვეღარ გაივლება.

მუშკორი ალ—ბლი.

— **სპეკულიანტი ინვალიდებს გვდევნის.** ლენინის რაიონში ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ., სახ. № 161-ში გაიხსნა სასადილო დარბაზა № 9600-ში. დარბაზა გაიხსნა ინვალიდების თხოვნით. დარბაზში გამგის თანამდებობაზე მოწვეული იქნა „სპეცი"—სპეკულიანტი ვინმე **სანდრო კერმილაშვილი.** ეს სპეკულიანტი თვითონ სარგებლობს ამ სასადილოთი და ინვალიდებს კი, რომლების სახელით გაიხსნა ეს სასადილო, უწყალოდ ქუჩაში გვერეკება. პირველი მსხვერპლი ამხ. ალექსი მაღსაგოვის სახით, ჩვენ უკვე გვყავს. ეს უკანასკნელი უსამართლო სპეკულიანტმა სრულიად უკანონოდ მოხსნა სამსახურიდან.

გამოარკვიეთ ეს საქმე და ალაგმეთ სპეკულიანტი!

მუშა გონიერი.

— **ძირს ექსპლოატატორი.** სოფ. წესში (რაჭა) არსებობს სახერხი ქარხანა, რომლის პატრონი ბესარიონ ჯაფარიძე ექსპლოატაციას უწევს დღიურ მუშებს.

მიიღეთ ზომები.

ლა-ლი. ლხვი.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი" № 8—9 (16—17) 1925 წ.

არ იქნება გადამეტება, თუ ვიტყვით: „მნათობმა" უკვე მოიპოვა შესაფერისი პოპულიარობა მკითხველ საზოგადოებაში და მით მან სამართლიანად დაიმსახურა ერთად ერთი სერიოზული ჟურნალის სახელწოდება. ყოველი ახალი ნომერი იძლევა ყველა იმ ახალ საკითხების გარკვევას, რაიც შეადგენს როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე მეცნიერების სულსა და გულს.

აღნიშნული ნომერი იქცევს მკითხველის ყურადღებას იმ მრავალფეროვანი მასალით, რომელიც მოცემულია პოეზიისა, მხატვრულ კრიტიკის და მეცნიერების განყოფილებებში. პოეზიის განყოფილება იხსნება **ა. ბუმერანგ-მაშაშვილის** ლექსით „დარიალი, ავდარი, მანდარინა დაირა". ამ ლექსზე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ის არის ამ ნიჭიერ პოეტის შემოქმედების შედევრი. ამ ლექსში გადაჭრით მოცემულია ცდა თანამედროვე პოეტიკის უდიდესი პრობლემის ბგერითი ელემენტების შეთანხმება სიტყვის აზრთან. როგორც ვიცით, ამ პრობლემაში ორმა უკიდურესმა მიმართულებამ იჩინა თავი: ერთის აზრით პოეზიის მასალა და შინაარსი ფორმაა და, მაშასადამე, იქ მთავარია ბგერა და მეტი არაფერი. ასოების უბრალო კომბინაცია, რომელის იძლევა შესაფერისს ბგერას (იმის და მიუხედავათ იჩრდილება თუ არა ასეთ კომბინაციის დროს აზრი),—აი სად უნდა ვეძიოთ ახალი პოეზიის ნამდვილი, უტყუარი გზები. ასეთია „ზაუმნიკური" პოეზია. მეორე მიმართულება **მხატვრულ შემოქმედებაში** არავითარ ყურადღებას არ აქცევს ფორმას, მისთვის მთავარი შინაარსია და არა ფორმა, რის გამოც ბგერითი ელემენტი სიტყვაში ამ მიმართულებისათვის სავსებით უცხო ამბავია; აქ აუცილებლათ საქმე გვაქვს უფრო ლოღიკურ მსჯელობებთან, ვინემ მხატვრულ შემოქმედებასთან. ამ მიმართულების ნიადაგზე დგას დღეს ზოგი პროლეტარული პოეტი, ჩვენში კი რეკორდი აიღეს ლოღიკურ მსჯელობებით პოეზიაში ნ. ზომლეთელის უკანასკნელმა ლექსებმა.

როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულება თავის არსებით მომენტებში ჰკლავს ხელოვნებას როგორც იდეოლოგიის განსაზღვრულ ესთეტიურ დარგს. და ეს ხდება იმიტომ, რომ ბგერა (რაიც ფორმას) უპირდაპირდება აზრს (შინაარსი). საჭირო იყო ამ ხელოვნური ანტინომიის მოშლა, რომ ბგერითი და სააზროვნო ელემენტების ორგანიული გაერთიანების გზით შესაძლებელი გამხდარიყო ახალი სიტყვა და მით რევოლიუციის ნამდვილი პოეზია. რუსეთში ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას მაიაკოვსკი (....и улица корчится безъязыкая....) ჩვენში კი.... საზარელი მჟღერმეტყველური სიჩუმე სუფევს...

„მნათობის" უკანასკნელმა ნომერმა თითქოს დაარღვია ეს სიჩუმე: მაშაშვილის ლექსი გვაფიქრებინებს, რომ ადრე თუ გვიან ჩვენშიაც პოეტებს, გარდა უბრალო რითმებისა დაინტერესებენ აგრეთვე ბგერითი ელემენტებიც სიტყვაში. „დარიალი, ავდარი, მანდარინა, დაირა"—მით არის ყურადსაღები, რომ იქ არა მარტო კარგადაა „გალექსული" მანდარინას ამბავი იმის შესახებ, რომ ის

„ვაჟის ვნებას დაენდო, გახდა ვაჟის საგანი"...,

არამედ მითაც, რომ სიტყვის აზრს იქ მკითხველი ბგერობითაც განიცდის:

„დაებადე დარიალს მანდარინა დაირა,
ამ დარიალ-მიდამოს ვერვინ დაგედარება,
უდარია დარიალს, დარიალს ვინ დაიარს,
გადარია მიდამო დარიალის დარებმა".

ასო „დ" სიტყვათა ასეთ კომბინაციაში ისეთ ბგერას იძლევა, სადაც ნამდვილად გრძნობთ და განიცდით იმ სინამდვილეს, რომელზედაც ლაპარაკია ლექსში:

„...ავდარია დარიალს, დარიალს ვინ დაიარს"

პოეზიაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მხატვრულ შედარებებსაც. აქ მჟღავნდება პოეტის კულტურა. ჩვენი ზოგ „მემარცხენე" პოეტების შემოქმედება აუცილებლად მოიკოჭლებს ამ მხრივ. ა. მაშაშვილი აქაც სცდილობს მხატვრულ ნიადაგის შენარჩუნებას:

...სადაც ქოხი მთის ზურგზე
კურტანივით აბია
სადაც ქორი-ანგელი პერანგივით ქანაობს.... და სხ.

ანდა:

...„სიმარტოვეს გატირებს, წერტილივით დაფიქრდა"...

სიმარტოვესა და „წერტილივით დაფიქრებას" შორის აუცილებლათ ორგანიული კავშირია, რაიც თავის მხრივ ხელს უწყობს მხატვრულ შთაბეჭდილების მთლიანობას.

სხვა ლექსებში აღსანიშნავია კონსტანტინე ლორთქიფანიძის „წერილი სატრფოს". არ ვარგა სითაური: რევოლიუციონურ პოეზიის ლექსიკონიდან აუცილებლათ უნდა ამოიშალოს ისე გამეშჩანებული და გაბითურებული სიტყვა, როგორიც „სატრფო" და „წერილი სატრფოს" და სხ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი პოეზიისათვის უცხო უნდა იყვეს ლირიკა: ლირიკის პრობლემები შესაფერისს ადგილს დაიჭერენ ახალ პოეზიაში, სადაც ისინი მიიღებენ სულ სხვა გაშლასა და განათებას. ახალი ყოფა ჰქმნის ახალ სიტყვებს და პოეტმა, რომელმაც განიცადა ახალი ყოფა უნდა შექმნას სიტყვათა სრულიად ახალი ლექსიკონი.

„სიტყვა—ყოფის სახეა", აქედან: „სატრფო" ოდნავადაც არ გამოჰხატავს რევოლიუციონურ სინამდვილის ფონზე გაშლილ ლირიკის ბუნებას: „სატრფო" მეშჩანური ცხოვრებისა და ბურჟუაზიულ სინამდვილის ცოცხალი სახეა.

პოეზიის განყოფილება თავდება ქურულის და ბესოშვილის მეტის მეტათ მოსაწყენ ლექსებით...

მიხეილ ჯავახიშვილის „ოქროს კბილი" შედარებით მის სხვა ნაწერებთან—აუცილებლად სუსტათ უნდა ჩაითვალოს.

კარგია **ტრიფონ რამიშვილის** კომედია „გაჭირვების ტალკესი" რასაკვირველია, აკადემიურ თეატრებს ასეთი კომედია ვერ გამოადგება, კარგია ის პროვინციის თეატრისათვის.

დავ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე"—წარმოადგენს მოგონებას 1902 წელს მუშათა მიტინგის დახვრეტის შესახებ ბათომში. ავტორი აქ სინამდვილესაც არ ჰღალატობს და მხატვრულ სტილსაც ინარჩუნებს.

შ. რადიანი „მარქსისტულ კრიტიკის პრინციპებში ამჟღავნებს საკითხის ცოდნას.

ვ. ბახტაძე—„ცხოვრება და ხელოვნება"-ში იძლევა ხელოვნების სოციოლოგიურ ანალიზს და კონკრეტ ლიტერატურული სინამდვილით ასაბუთებს დებულებას, რომლის თანახმად უაზროა იდეოლოგია-ხელოვნება ხელოვნების შესახებ, რომ ხელოვნება ისტორიულად და არსებითადაც ცხოვრების განცდაა და მეტი არაფერი. ავტორი ეკამათება ყოველი ჯურის იდეალისტებს ხელოვნებაში რომელნიც ყოველგვარ უტილიტარიზმში—იქნეს ის რევოლიუციის უტალიტარიზმი თუ ხელოვნების—ხედავენ ფაქიზი და „ჰუმანიური" იდეის პროფანაციას. „სარგებლიანობის თვალთახედვა—სწერს ამხ. [illegible] კანონი არის". ავტორი გრძნობს რომ ეს დებულება შეაშფოთებს „გაფაქიზებულ" იდეალისტებს და წვრილფეხა რომანტიკოსებს, რომელნიც—ვიმეორებ—ასეთს განცხადებაში დაინახავენ ვანდალიზმსა და რევოლიუციის შეურაცხყოფას, ამიტომაც ის (ავტორი) რევოლიუციონერის რწმენითა და პათოსით ამბობს: „მერმეთ რა?! განა ისინი გაიგებენ ოდესმე იმას, რომ რევოლიუციის ეს უსაშინელესი უცილიტარიზმი,—კარგია ის, რაც სასარგებლოა—ემსახურება კაცობრიობის უკეთილშობილეს და უმშვენიერეს იდეალების განხორციელებას—კომუნისტური წესწყობილების დამყარებას? —რევოლიუციისაგან „კურთხეულია" ის ტყვია, რომლითაც განიგმირება გული იმ მთავარსარდლისა, რომელიც რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართულ ძალებს ხელმძღვანელობს"! (გვ. 231—2) ავტორი ფიქრობს, რომ „ისტორია არასდროს არ აპატიებს გილიოტინას რობესპიერის თავს! ლაუვაზიეს სიცოცხლის მოსპობას კი—მხოლოდ გაუგებრობათ ჩასთვლის" (იქვე).

ანალოგიურათ უტილიტარისტული თვალსაზრისი ავტორს გაჰყავს ხელოვნების საკითხებშიც, უტილიტარიზმი მისი აზრით სრულებითაც არ ნიშნავს ხელოვნების მნიშვნელობის შემცირებას: „ჩვენ მხოლოდ ვაკუთვნებთ მას იმ ადგილს, რომელიც მას აქვს სინამდვილეში და აღვნიშნავთ იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს მისსა და რევოლიუციის შორის" (233).

ამ თვალსაზრისით ვალია ბახტაძე არჩევს როგორც რუს (ტიპიური, ბალმონტი), ისე ქართველ პოეტებსაც (უფრო გრიშაშვილს) და აგრეთვე ზოგ ჩვენ მოკრიტიკოსო „მარქსისტებს" (განსაკუთრებით ს. დევდარიანს). მეტათ საყურადღებოა აქ ავტორის პოლიტიკა სეთ დევდარიანის ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ-პარტიის ხეების და ესთეტიურ ღირებულების ტყის" მეტის-მეტათ ახირებულ „ფლირტთან", ცოცხალი და მკვეთრი მარქსისტული არგუმენტაციით ვ. ბახტაძე ანგრევს დევდარიანის ცრუ და ყალბ მარქსისტულ პოზიციას ხელოვნების საკითხებში და მით აშკარავებს იმ გარემოებას, თუ როგორი უნდა იყვეს და არის ხელოვნებისადმი დამოკიდებულება რევოლიუციის პროცესში გამორკვეული კლასის მხრივ.

წერილი დამთავრებული არ არის.

ამ განყოფილებას ასრულებს **ვახო გორგაძე** თავის „უპტონ სინკლერის" მიმოხილვით.

მეცნიერება და პუბლიცისტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ორი წერილი. ერთი ორიგინალური **მოსე გოგიბერიძის** „ორგანოტროპიზმი"-ს შესახებ, მეორე ი. იაკოვლევის „საბჭოები, როგორც პროლეტარული დემოკრატიის ორგანოები" (თარგმანი).

მოსე გოგიბერიძის წერილი ხაზგასასმელია ორის მხრივ. ერთი: პირველმა მან მოგვცა კრიტიკული შეფასება კ. კაპანელის ფილოსოფიური თეორიის, რომელიც ორგანოტროპიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ თეორას ავტორი უკვე რამოდენიმე წელია, რაც ანვითარებს, მაგრამ დღევანდლამდე მას არ ეღირსა შესაფერისი კრიტიკა. მეორეს მხრივ ამხ. გოგიბერიძის წერილი მით არის კიდევ საყურადღებო, რომ მან პირველმა მოგვცა არა მარტო კრიტიკა, არამედ **საფუძვლიანი კრიტიკა** ორგანოტროპიზმის შესახებ. ავტორს ორი მომენტი აქვს აღებული: 1. კ. კაპანელის მიერ წარმოებული ბრძოლა სილლოგისტური ლოღიკის წინააღმდეგ, 2. ორგანოტროპიზმის და მარქსიზმის ურთიერთობის საკითხი. სინამდვილეში მთავარია განცდა, ხოლო განცდას—კ. კაპანელის აზრით სილლოგისტური ლოღიკა სწორი მეტყველების ფორმით ვერ სახავს:

ლოღიკა S-ის და P-ის ურთიერთობა სტატიურათ აქვს წარმოდგენილი, მას მოჰყავს კონკრეტი მაგალითი: „მე ვიყიდე წითელი ქათამი" და ჰფიქრობს, აქ საჭიროა განცდის მიხედვით S-ის და P-ის ურთიერთობა იცვლება, ამით კ. კაპანელი მ. გოგიბერიძის აზრით სცდილობს ცხადჰყოს ლოღიკის სტატიურობის უსაფუძვლობა. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ლოღიკა უარყოფილი მაინც ვერ ხდება, რადგანაც ელემენტები S და P-ი მაინც რჩება მიუხედავად მათი ურთიერთობის ცვლილებისა.

რაც შეეხება ორგანოტროპიზმისა და მარქსიზმის ურთიერთობას, აქ ავტორი (მ. გოგიბერიძე) ხედავს ფორმალურ [illegible], არსებითად კი მათ შორის პრინციპიალური ზღვარია, „ორგანოტროპიზმი ისტორიულ [illegible] მსჯელობაში—სწერს მ. გოგიბერიძე—უარყოფს [illegible] სავალდებულო კანონიერების განვითარებას". მარქსიზმი სცნობს ისტორიულ პროცესს, როგორც ერთ მთლიან კაუზალობას, სადაც ობიექტიური აუცილებლობაა მოცემული. ამ ობიექტიურ აუცილებლობის ფონზე იშლება კონკრეტი რელაციები, რომლებიც სპობენ ისტორიას, როგორც კოშმარულ შემთხვევათა დემონსტრაციას". ამით დაასკვნის ავტორი—მარქსიზმი ობიექტიური რელიატივიზმის სისტემაა, როდესაც ორგანოტროპიზმი წარმოადგენს სუბიექტიურ-რელატივისტურ მსოფლმხედველობას. დიალექტიკისა და ფორ. ლოღიკის ურთიერთობის საკითხში მ. გოგიბერიძე ორტოდოქსალურ მატერიალიზმის ნიადაგზე დგას.

ბიბლიოგრაფიულ წერილში შეუძლებელია დეტალურათ განხილვა როგორც ორგანოტროპიზმის, ისე მის შესახებ კრიტიკულ წერილის. რადგანაც ვფიქრობ, როგორც ერთს, ისე მეორეს სპეციალური წერილი უძღვნა—ვკმაყოფილდები ამ მცირეოდენი შენიშვნით. ზოგადი შთაბეჭდილება წერილზე: ფილოსოფიურ და მეცნიერულ პრობლემათა ღრმა ცოდნა მარქსიზმის სწორი გაგება, აქედან: მთლიანათ საფუძვლიანი კრიტიკა.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება ამ ნომერში ძალზე მოისუსტებს. ამ სამას გვერდიან ჟურნალში მთლად ორი პატარა ბიბლიოგრაფიაა მოთავსებული. საჭიროა ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორება.

გამოცემა ჩვეულებრივია. კორექტურული შეცდომები არ არის, რაიც აუცილებლად აღსანიშნავია.

შ. დ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 52

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. ოქტომბრის 6 დადგენილების თანახმად—ზუგდიდის მაზრის „საფაქიო ეწერი"-ს დაერქვას „ახალი ეწერი".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მდივანი—**ს. თოდრია.**

1925 წლ. ოქტომბრის 20.

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 147

30 ოქტომბერი 1925 წ.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ბრძანებით № 35 ა/წ. 3 მარტის თარიღით წინადადება მისცა ყველა მოქალაქეებს და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაატარონ რეგისტრაცია ში ამ ბრძანებაში აღნიშნულ ვადაში იარაღი, რომელიც მათ აქვთ. მიუხედავათ იმისა, რომ ვადა, რომელშიაც იარაღი უნდა იქნას გატარებული რეგისტრაციაში დიდი ხანია გათავდა, ზოგიერთ მოქალაქეებს ასეთი დღემდის არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში.

საქართველოს საგანგებო კომისია უბრძანებს: 1. ყველა მოქალაქეებს და ორგანიზაციებს არა უგვიანეს ა/წ. 1 დეკემბრისა გაატარონ რეგისტრაციაში მათი იარაღი. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები და ისინი მიცემული იქნებიან სამართალში იარაღის ბოროტ განზრახვის მიზნით ტარებისათვის.

2. საქ. საგანგებო კომისიის ყველა ადგილობრივ ორგანოებს და კომენდანტს ევალებათ იარაღის რეგისტრაციის ვადა განაახლონ და გააგრძელონ 1925 წ. 1 დეკემბრამდე. მომავალში, ყველა იმ პირთ, რომელთაც აღმოაჩნდებათ რეგისტრაციაში გაუტარებელი იარაღი, ასეთი ჩამოერთმევათ და ამავე დროს მიეცემიან სამართალში.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—**კვანტალიანი.**

ადმინისტრატიული განყოფილების გამგე—**სტანსკი.**

შეცდომის გასწორება

საქართველოს სახ. კომისარიატის დადგენილებში № 2, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტი"-ს № 246 ში, დაშვებულია შემდეგი შეცდომა: დ ა ბ ე [illegible] ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრისაგან 12 მან. 50 კაპ., ერთი ან მეტი შრომის უნარმოკლებულ წევრისაგან 8 მან. 40 კაპ. უ ნ დ ა ი ყ ო ს: ორი შრომის უნარმოკლებულ წევრისაგან—12 მან. 50 კაპ., ერთი შრომის უნარმოკლებულ წევრისაგან—8 მან. 40 კაპ.

შრომის კომისარიატის საერთო-საორგ. განყ. გამგე—**ვ. კვირიკაშვილი.**

საერთო ქვე-განყოფილების გამგე—**ლ. მაჩაიძე.**

[illegible]

როგორც იქნა მოისვენეთ

(შ ი რ ა ქ ი)

თითქმის რვა წელიწადია მას შემდეგ, რაც შირაქში სისტემატიური ქურდობა სწარმოებს. მენშევიკების ბატონობის დროიდანვე ზოგიერთებს ქურდობა ხელობათ გადაექცა.

ეს გამოიწვია მენშევიკებისა და მათი გვარდიელების საქციელმა. მაშინ ზაქათალის მაზრელები „პირდაპირ იტაცებდენ შირაქელების საქონელს; აქედან კი გვარდიელები ზაქათალის მაზრელებს ეცემოდენ და სხვა მცხოვრებლებსაც აქეზებდენ, ხელს უწყობდენ ასეთ „საქმეში".

ერთხელ შირაქში ჩამოვიდა ჩხენკელი და ხალხს გამოუცხადა, რომ ბოლშევიკები და თათრები ჩვენი მტერია; დღეის შემდეგ, ვისაც კი შეგიძლიათ, წადით, დახოცეთ და ქონებაც წაართვითო. ზოგიერთები ამას აჰყვენ და მარ თლაც დაიწყეს ტაციობა და მკვლელობა. მათ შეერთოდა ზაქათალის მაზრიდან გამოქცეული ბეგ-ყაჩაღთა ბრბო, რომლებიც გვარდიელებთან შეთანხმებით ხან პირდაპირ ეცემოდენ ზაქათალის გლეხებს და ხან კი ქურდულათ ჰპარავდენ მათ ავლა-დიდებას.

ბოლოს, როცა მენშევიკები დაიმხვენ, მიჩვეულმა ქურდებმა მაინც თავისი არ მოიშალეს და ძველი „ხელობა" უფრო გააფართოვეს: ამჟამად თუ მარტო ზაქათალის მაზრელებსა ჰპარავდენ, ეხლა შირაქელ გლეხებსაც დაუწყეს პარვა. ზაქათალის და შირაქელ ქურდებმა გააბეს ურთი-ერთი კავშირი და შეერთებულის ძალით განაგრძეს თავისი „საქმენი საქმიონი".

დღე ისე არ გავიდოდა, რომ ხარები, ცხენები და სხვა არ მოეპარათ და ასე დაუსრულებლივ ქურდობდენ. ასეთმა მდგომარეობამ იმდენათ აღელვა ხალხი, რომ 1922 წელს, სოფ. ქვ. ქედის მცხოვრებლებმა მოიყარეს ერთად თავი და ადმინისტრაციის დაუკითხავად დააპატიმრეს რამდენიმე ქურდები და სახალხოთ დაუპირეს ჩამოხრჩობა. ორი კაცი კიდეც ჩამოჰკიდეს ერთ ბოძზე, მაგრამ ამ დროს აღმასკომის თავმჯდომარე გურასპაულმა, როგორც იყო, ხალხი ძლივს დააშოშმინა. ამავე დროს სოფ. არხილოს კალოზე აღელვებულმა ხალხმა ერთი ქურდი ქვებით ჩაქოლა.

მიუხედავათ ამისა, ქურდობა მაინც არ შეწყდა და უფრო მეტად გახშირდა. გლეხები ისე შეწუხდენ, რომ ზოგი სხვა მაზრებშიაც გადასახლდა. წითელ-წყაროს რაიმილიცია კი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

მილიციის უფროსი ბეჟანიშვილი გლეხებს ასე ეუბნებოდა: „თქვენ საქონელს კარგათ არ უვლით და იმიტომ გპარავენო". ამის გამო გლეხობა იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ერთხელ თემკომის მდივანი მოხსენებას აკეთებდა სკოლის აშენების შესახებ და გლეხებმა ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს—„ჯერ ქურდები მოგვაშორეთ და სკოლას შემდეგ ავაშენებთ"-ო.

ამავე კრებაზე დაადგინეს, რომ ქურდები და ყველა საეჭვო პირები გადაესახლებინათ.

ბოლოს, როგორც იყო, პოლიტბიურომ მიიღო სათანადო ზომები და ქურდების უმრავლესობა დააპატიმრა, მაგრამ მეთაურები მიიმალენ. დაპატიმრებულ ქურდებისაგან ირკვეოდა, რომ წ.-წყ. რაიმილიციის უფროსს და ქვ. მაჩხაანის ეშნის მოსამართლეს ქურდებთან კავშირი ჰქონია.

მათი დაპატიმრების გამო ამჟამად ქურდობა შეწყვეტილია და შირაქის მშრომელი მოსახლეობა დიდათ კმაყოფილია ხელისუფლების ასეთი ყურადღებისათვის. ამაში დიდი შრომა მიუძღვით პოლიტ-ბიუროს თანამშრომლებს და მის ხელმძღვანელთ.

იმედია დღეის შემდეგ მაინც შირაქის მშრომელი გლეხობას საშუალება მიეცემა პატიოსან შრომას უშიშრადშეუდგეს და სოფლის წინმსვლელობაზე იზრუნოს.

გლეხკორი შეფუშვარი.

მწყემსის ჩივილი

საქართველოს მესაქონლენი მეტისმეტად შევიწროებულნი არიან როგორც შინ, ისე გარეთ. დღე არ გავა, რომ ყველა კუთხიდან მეცხვარენი ათობით და ოცობით არ შემოვიდნენ საქართველოს ამხ. „მწყემსი"-ს სამმართველოში და არ ითხოვონ დახმარება—საძოვრების შესახებ, რათა უშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ სიმშილით არ ამოუწყდეთ საქონელი.

ჩივიან და აქვთ ერთი ვაი და ვაგლახი.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი წამალი რამე უნდა დაგვადოთ, თორემ საქონლის საცოდავობას ვეღარ ვუყურებთ; იძულებულნი გავხდებით ნახევარ ფასად გადავყაროთ, თუმცა ეს ჩვენთვის ჯოჯოხეთი იქნებაო.

სოფლებში ჩვენივე მეზობლები გვიჯავრდებიან, ჩვენს ნორმაში ღებს ნუ დააძოვებინებ შენ ოხერ-ტიალ საქონელსაო. ცხვრისთვის შირაქია, აქ თქვენ ადგილი არა გაქვთო. უსაქონლო ხალხის თავგასულობას საზღვარი არა აქვს, დაუშინებ და სულ ერთმანეთში აურევენ და გვიხუთავენ სულსაო.

თუშ-ფშავლობა ასი ათასობით ცხვარსა ჰკვებავდა: ელდარ, სამუხ, ჩათმაში და სხვა საზამთროებში წელს სხვადასხვა მიზეზებით აღარ გაუშვეს საქონელი.

საჭიროა დაჩქარებით ყოველგვარი ზომა მიიღოს ხელისუფლებამ, რომ აილაგმოს თავგასულობა და მოგვარდეს საძოვრების საქმე შინ და გარეთ.

შაქრო ნავთლუღელი.

წერილებიდან

ს. სომიტო (რაჭა)

კარგამოკეტილი თემსაბჭო. ივენი თემის სამმართველო კვირაში მხოლოთ სამჯერაა ღია. საქმეზე ჩამოსული გლეხი ხშირათ უკან ბრუნდება, რადგან აღმასკომის თავმჯდომარის ვერ ნახულობს.

იასამანი.

რონდიში (ქუთ. მ.)

სკოლა უმასწავლებლოთ. აქაურ სკოლაში დამდეგ სამოსწავლო წლამდე მეცადინეობა ნორმალურათ სწარმოებდა. ეხლა კი თვენახევარია, რაც სხვაგან სწავლა დაიწყო და ჩვენს სკოლას მასწავლებელი არ მოსვლია. განათლების ინსპექტორო, რაშია საქმე?

ა. კინჩხელი.

ხითა (ზუგ. მ.)

მხიარული ცაცუ. ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა: „არსენა". წარმოდგენა კარგათ მიმდინარეობდა, მაგრამ დარბაზში მეტის მეტი ხმაურობა და აურზაური იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცაცუ ლატარია თავის [illegible] დამთვრებულ ქალიშვილით, რომლებსაც აკლებული ჰქონდათ ყველაფერი სიცილ-კისკისით და განუწყვეტელი ჩურჩულით.

დამსწრეთაგანი.

ლანჩხუთი (გურია)

არც სურათია და აღარც ფული. ექვსი თვის წინათ მასწავლებელმა მარო მახარაძემ მოწაფეებში თითო მანეთობით ოთხ თუმნამდე ფული შეკრიბა თითქოს სურათების გადასაღებათ, დღემდის არც სურათია და არც ის იცის ვინმემ, რა ბედი ეწია შეკრებილ ფულს. მასწავლებელს ეს არ უშველის.

გ. მ—ძე.

ს. ეწერი (სამტრ. რ.)

თანდათან დაიტაცეს. ჩვენი სამკითხველო სულ უკან მიდის. მიზეზი ისაა, რომ ვინცკი დაინიშნეს სამკითხველოს გამგეთ ყველამ ათი-თხუთმეტი წიგნი მიითვისა. ზოგ გამგემ მკითხველებს დაურიგა წიგნები და უკან ვეღარ დაიბრუნა. თუ ასე გასტანა, სამკითხველო უნდა დაიკეტოს.

თეკა.

სენაკის მაზრა

კულტურული მუშაობა ეცემა. მთელ მაზრაში 41 თემია. აქედან ქოხ-სამკითხველოები დაარსებულია მხოლოდ 17 თემში. ეს დიდათ სცემს კულტურულ მუშაობას გლეხებს შორის. მომავალ სამაზრო პარტკონფერენციაზე ეს საკითხი უნდა გაირჩეს და ჯეროვანათ მოგვარდეს.

თ. ტ—ა.

ს. ეწერი (სამტრ. რ.)

„გრძელვადიანი" სესხი. ალ. კალაძემ კლუბის კომისიისაგან ისესხა 20 მანეთი. მას შემდეგ წელიწადნახევარია და ფული არსად ჩანს. გრძელვადიანი სესხიც ამას ჰქვია.

ეწერელი.

ხითა (ზუგ. მ.)

საკუთარი ძალებით. აქაურ ცხრაწლედს არ ჰქონდა ზამთრისათვის შეშა, უფროს ჯგუფის მოწაფეებმა რიცხვით 70 კაცმა, მოამზადა სკოლისათვის შეშის საჭირო რაოდენობა და თვითეე იკისრეს მისი ტყიდან გამოზიდვა. აღმასკომს ეგულება იზრუნოს მხოლოდ შენობის შეკეთებაზე, თორემ სკოლა იმდენათაა დაზიანებული, რომ იქ მეცადინეობა შეუძლებელია.

ალ. იელიავაშვილი.

ბოროტების კვალდაკვალ

ასეთი პირები უნდა აილაგმონ!

თქვენი პატივცემული გაზეთის 247 ნომერში მოთავსებულია წერილი „კოოპერატივის რწმუნებულს არ უშველის". წერილის ავტორი აღნიშნავს თითქო წარმოკავშირის წარმომადგენელი ვინმე ტატიევი ღებულობს გლეხობისაგან ხილს გორის მაზრის ს. შინდისში და არ უსწორებს მათ ანგარიშებს. წერილის დასასრულს კორესპონდენტი კითხულობს: „ვის უნდა დავაბრალოთ ეს, წარმოკავშირს, თუ მის ადგილობრივ აგენტს".

ამის საპასუხოთ წარმოკავშირის გამგეობა გაცნობებთ, რომ წარმოკავშირის თანამშრომელთა და აგენტთა ტატიევი არც ყოფილა და არც არის. წარმოკავშირი გორის მაზრაში სპირტსა და კერძოთ სოფ. შინდისში ხილს ამზადებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საშუალებით და ჩაბარებულ ხილზე ანგარიშსაც დაუყოვნებლივ უსწორებს.

თუ ვინმე კერძო ვაჭარი და სპეკულიანტი გამოდის წარმოკავშირის სახელით და ამით ის ჩრდილს სცხებს და ხელს უშლის კოოპერაციას, საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს გორის აღმასკომმა და მიიღოს მის წინააღმდეგ სათანადო ზომები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე გლეხობის ინტერესები.

წარმოკავშირის გამგეობა.

სოფლის ქრონიკა

— **გლეხკომის წისქვილები.** გორის სამაზრო გლეხკომი ამჟამად მაზრაში აშენებს 24 წისქვილს.

— **გორის მაზრაში გლეხკომებში** მუშაობს 37 უღარიბესი გლეხი.

— **მაზრის შეხვედრა.** ახალქალაქში იწყობა მაზრის მომსწავლელი საზოგადოება.

— **ახალქალაქის აღმასკომმა** დაადგინა იშუამდგომლოს სავაჭრო სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის წინაშე ახალქალაქში ბანკის საგენტოს გახსნის შესახებ.

— **ბორჩალოს სამაზრო** გლეხკომმა მოხთუმო გლეხკომთან მიმოსვლის საქმის გასაადვილებლად შეიძინა რამდენიმე ცხენი.

სოფლის ფოსტა

მ. სებისკვერიძეს (ამაშუკეთი, შორაპ. მ.). გვიგზავნეთ კორესპონდენციები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 4 ნოემბრისათვის დანიშნული საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა გადადებულია; დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყ. წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 3 ნოემბერს, 2 საათზე, ცეკას სააგიტ-საპროპ. განყოფილებაში: 1. მჟავანაძე 2. დოლიძე თედორე, 3. ნუცუბიძე გალაკტიონ, 4. ამაღლობელი სერგო, 5. ბუაჩიძე ანდრო, 6. ბუაჩიძე პეტრე, 7. პაპავა ავქსენტი, 8. მუშიშვილი, 9. ახმეტელი, 10. ბედია, 11. ოკუჯავა კოლია, 12. მამულიშვილი ევგრაფი, 13. რუხაძე ლენტორ.

საქ. კომპარტიის ცეკას სააგიტსაპროპ. განყ. გამგე ბ ა ხ ტ ა ძ ე.

ა ს ს რ ა ი კ ო მ ი იწვევს: დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე მოხდება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

მდივნის მაგიერ წ ი თ ლ ი ძ ე.

ქ ა ლ ა ქ ი ს რ ა ი კ ო მ ი იწვევს: დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ კომისიის სხდომა. ამასთანავე უნდა დაესწრონ აგიტ.-პროპ. ორგანიზატორები, საშეფო საზ., წ.-კ. უც. მებრძ. საზ. და ფაბ.-ქარხ. კულტკომისიების წარმომადგენელნი. დღის წესრიგი: ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების შესახებ. დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

საგ.-საპროპ. განყოფილება.

თანახმად შინ-ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებისა, ახალგაზრდობის კომინტერნის ნიშნების წარმოებისა და გავრცელების შესახებ—გამომცემლობა „კრასნიე ვსხოდი" აუწყებს შემდეგს: ახალგაზრდობის კომინტერნის ნიშნების წარმოებისა და გავრცელების უფლება სავსებით ეკუთვნის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობას „გრუზიუველირს".

დღეს, 3 ნოემბერს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

თბილისის კომიტ. მდივანი: მ ი ხ. კ ა ხ ი ა ნ ი.

თ. კ. საალრიცხვო-განმანაწ. განყ. სთხოვს ამხ. გიორგი ლუშნიკის და კადის ტაბელიშვილს გამოცხადდენ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

თ. კ. აღრიცხ.-განმანაწ. განყ. სთხოვს ამხ. ვლად. ჯანაშიას, სევასტი მესხს, ეფრემ იოსელიანს და დიმიტრი მელდიაშვილს, 3 ნოემბერს გამოცხადდენ ცენტრ. საკ. კომისიაში დილის 10 საათზე.

მ ე ს ა მ ე რ ა ი კ ო მ ი ს საგ.-საპროპაგ. განყოფ. იწვევს: დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, განყ. ბინაზე შესდგება მესამე რაიონის საგ.-საპროპ. ორგანიზატორების თათბირი.

საშეფო საზ. მესამე რაიონის საბჭო იწვევს: დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბში შესდგება ინსტრუქტორული მოხსენება ამხ. ვართაპეტოვისა ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავის ჩატარების შესახებ.

დასწრება სავალდებულოა როგორც ცენტ. გამგეობისათვის, ისე სოფლის დღესასწაულის ჩასატარებლად გამოყოფილ გამგეობათათვის.

პროფესიონალური

დღეს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში—პროგრამების დამუშავება—1 და 2 ჯგუფის ქართველ მასწავლებელთათვის.

ღრმად დამწუხრებული შვილები ალექსანდრე, სოკრატი, ვარიჩკა და ლიდა მიტროფანეს შვილები სანაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ დღეებში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მამა

მიტრაფონ (დარისპან) ანდრიას ძე
სანაძე

გამოსვენების დღე დანიშნულია დღეს, სამშაბათს დღის 4 ნახ. საათზე, ხონის მაცხოვრის ეკლესიაში. 154 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 3 ნოემბერს **კარმენ**

ოთხშაბათს, 4 ნოემბერს **ევგენი ონეგინი**

ხუთშაბათს, 5 ნოემბერს პრემიერა **დაისი** პრემიერა

№ 155—3—1

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—8

გაზეთ
„კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა აცხადებს, რომ 1 ნოემბრიდან დაწესებულია განცხადებებზე შემდეგი ტარიფი:

1. სტრიქონი ნონპარელით ტექსტის ბოლოს . . . 40 კაპ.
2. ტექსტში ორჯერ მეტი . 80 კაპ.

განცხადებებს იღებს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა (რუსთაველის პრ. № 24) და რწმუნებულები, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

არავითარ საშუამავლო კანტორებს და სარეკლამო ბიუროებს განცხადებების მიღების უფლება არა აქვთ.

მთავარი კანტორა.

0—1

თანახმად წესდების 67 მუხლისა, [illegible]

კოჯორის კოოპერატივის
ლიკვიდაცია

კრედიტორებმა თავისი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად უნდა მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას ცეკავშირის ბინაზე არა უგვიანეს ამა ნოემბრის 15-ისა, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

ნ. 384 1—1. სალიკვიდაციო კომისია.

ვინაიდან მომავალ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები, წყალსადენის ყველა აბონენტებს (სახლის პატრონებს) მოვაგონებთ, რომ თანახმად არსებული წესისა მათ ევალებათ

წყალსაზომების
ყინვებისაგან დაცვას

მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:

1. შეაკეთონ წყალსაზომების ჰის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.
2. საზომები შეახვიონ გვერდებიდან ერთიანი ნაჭრის მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების ალების დროს შეიძლებოდეს მისი ახდა.
3. საზომის გარშემო ჰაში ჩაყარონ ნახერხი.
4. ღამ-ღამობით, დიდი ყინვების დროს, საზომის წინ დაკეტონ ბოჰი და დამხარჯი ბოჰის საშუალებით შტოდან გამოუშვან წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღონ რჩევა-დარიგება წყალსადენის ტეხნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკანტრალიორებისაგან რაიონში ჩამოვლის დროს.

წყალსადენის სამმართველო ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები გაიბერებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა სრულიად არ იქნება განხილული. წყალსადენის დირექტორი ხოჯაევი

ნ. № 156—3—1

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული განათლების გამომცემლობა

ყოველთვიური სანიტარულ-პოპულიარული ჟურნალი

„საუნჯე“

ამით აცხადებს ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ, რომ 1-ლ ნოემბრიდან 1925 წლისა თბილ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული განათლების გამომცემლობის წარმომადგენლობა და საექსპედიციო ნაწილი გადაეცა მოქალაქე ვლადიმერ გიორგის ძე ურუშაძეს და ვახილ ზაქარიას ძე ბოქოლიშვილს, რომელთაც მიენდოთ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში სანგანმანათლებელი ლიტერატურის გავრცელების მიზნით სათანადო აგენტურის მოწყობა. დღეიდან ყოველგვარი ხელშეკრულება სხვა ექსპედიციებთან და ყოველგვარი მანდატები ჩვენი ხელით გაცემული, გაუქმებულია და ხელისმოწერა ყველა ჩვენ გამოცემაზე სწარმოებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ პირების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით და მათ სახელზე არის გაცემული სათანადო მანდატები და ჩვენ მიერ დადასტურებული საქვითარო წიგნაკები, ვინაიდან ბოლო ხანებში ადგილი ჰქონია ასეთ შემთხვევებს, როდესაც აგენტებს მიუღიათ ხელის მოწერა და ფული ხელისმომწერლებისაგან და არავითარი ცნობა ამის შესახებ რედაქციისათვის არ მიუციათ, რის გამოც ხელისმომწერთ ჟურნალი არ მიუღიათ.

ვსთხოვთ ყველა ასეთ პირებს დაუყოვნებლივ აცნობონ რედაქციას და წარმოადგინონ სათანადო ქვითარი კუთვნილი ნომრების მისაღებად. ნ 151—3—2

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან
მეორე საგლეხო მომგებიან სესხის გამოშვების და მასზე ხელის მოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოშვებული იქნება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიანი სესხი ორი წლის ვადით 1925 წლის 1 ნოემბრიდან 1927 წლის 1 ნოემბრამდე.

სესხის პირობები

სესხი გამოშვებული იქნება ათ სერიათ 10.000.000 მანეთის რაოდენობით თვითეული, ობლიგაციების ფასი იქნება 5, 10 და 50 მანეთი.

ობლიგაციები იძლევიან ყოველწლიურ შემოსავალს 12 პროც.-ის რაოდენობით, რომელიც განაღდებული იქნება ყოველთვიურად, კუპონით, თვითეული თვის პირველ რიცხვებში.

ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა 8 ტირაჟში. ყოველ სერიის თვითეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 3.281 მოგება 125.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირათ:

1 მოგება 5.000 მანეთიანი
5 ,, 1.000 „
25 ,, 500 „
50 ,, 100 „
700 მოგება 50 მანეთიანი
2.500 ,, 25 ,,

მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ა/წ. 15 დეკემბერს.

მასში მონაწილეობას მიიღებს სესხის ორი სერია: გათამაშებული იქნება 6.568 მოგება 250.000 მანეთის რაოდენობით.

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდებების ალების დროს საწინდრის სახით და აგრეთვე ობლიგაციებით შეიძლება ვადაგასულ აქციზის და საბაჟო გადასახადების გასტუმრება.

ობლიგაციები და ყოველგვარი გარიგებანი ამ ობლიგაციებით თავისუფლდება ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

ხელის მოწერა სესხზე

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი ა/წ. 1 ნოემბრიდან უშვებს მე-2 სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის პირველ და მეორე სერიას, რომლის ნომინალური ჯამი უდრის 20.000.000 მანეთს.

შემდეგი სერიები გამოშვებული იქნება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ არა უადრეს 1925 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებისა.

1925 წ. 15 დეკემბერს მოხდება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის მოგებათა ტირაჟი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პირველი ორი სერია.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებსა და შემნახველ კასებში.

0—3 ნ. 130

შავი ზღვის რკინისგზის
სამხრეთის საოლქო უბნის სამმართველო
აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ ა/წ. 7 ნოემბრიდან
ახალ-სენაკის-ხეთას ხაზზე იხსნება
მატარებლების დროებითი მიმოსვლა

მგზავრების გადაყვანა სად. ხეთიდან სად. [illegible] და უკანვე თბილისიდან ხეთამდე იქნება პირდაპირი.

შენიშვნა: მგზავრები, რომლებიც სად. ხეთიდან მიემგზავრებიან ა/ქ. რკინისგზის სხვა სადგურებამდე, ახალ-სენაკის სადგურზე ახლად იძენენ ბილეთებს დანიშნულების სადგურამდე.

პლატფორმებზე, რომლებიც მდებარეობენ სად. ახალ-სენაკსა და ხეთაშ შორის იწარმოებს მგზავრების გადმოსხმა და დაჯდომა.

მატარებლების მიმოსვლა შეთანხმებული იქნება მთავარი ხაზის მატარებლებთან № 9/10.

მატარებელი სად. ახალსენაკიდან გამოვა 10 საათზე.

მატარებელი სად. ხეთიდან გამოვა 14 ნახევარ საათზე.

ბარგის და ტვირთების გადაზიდვა სწარმოებს მხოლოდ ადგილობრივ ხაზით.

გადაზიდვაზე დაწესებულია ფასები შემდეგი [illegible]:

1) მგზავრების გადაყვანაზე შავი ზღვის რკინისგზის სადგურებს შორის—თითო შაური მგზავრზე-კილომეტრზე; ბავშვები ხუთ წლამდე უფასოდ იქნებიან გადაყვანილი, ბოლო 5-დან 10 წლამდე იხდიან სრული ბილეთის ფასის ერთ მეოთხედს.

2) ბარგის და საბარგო საქონლის გადაზიდვაზე თითო შაური თვითეულ 5 კილოგრამზე სად. ახალ-სენაკიდან ხეთამდე და პირიქით.

დიდი სისწრაფით ტვირთების გადაზიდვაზე სად. ახალ-სენაკიდან სად. ხეთამდე და პირიქით დაწესებულია 9 მან. 27 კაპ. ტონაზე.

4) მცირე სისწრაფით ტვირთების გადაზიდვა სად. ახალ-სენაკიდან სად. ხეთამდე იწარმოებს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კლასი	ტონაზე	კლასი	ტონაზე	კლასი	ტონაზე	კლასი	ტონაზე	სპეც. სქემა	ტონაზე
ა	ბ	ვ	ე	ი	კ	ე	გ	ზ	ი
I	756	I—ა	778	I—ბ	793	I—გ	832	1	420
II	642	II—ა	661	II—ბ	674	II—გ	706	2	265
III	529	III—ა	545	III—ბ	555	III—გ	581	3	226
IV	453	IV—ა	467	IV—ბ	476	IV—გ	499	4	208
V	377	V—ა	389	V—ბ	397	V—გ	415	5	158
VI	302	VI—ა	311	VI—ბ	317	VI—გ	333	6	158
VII	227	VII—ა	233	VII—ბ	238	VII—გ	249	7	126
VIII	189	VIII—ა	195	VIII—ბ	198	VIII—გ	208	8	113
IX	151	IX—ა	156	IX—ბ	158	IX—გ	166	9	73
X	113	X—ა	117	X—ბ	119	X—გ	125	10	377
XI	76	XI—ა	78	XI—ბ	80	XI—გ	84	11	108
XII	47	XII—ა	49	XII—ბ	50	XII—გ	52		

ვაგონობით გადაზიდვა.

1 ქვაბ. ნავთის პროდუქტის სპეც. სქემით № 1—ა . . .	462
რაფინადის შაქრის და ფხვნილი შაქრის სპეც. სქემით № 10—ა . . .	397
შეშის . . .	101

წვრილ-წვრილად გაგზავნა.

ქატოსი და კოპტონის სპეც. სქემით № 2 . . .	212
დიდი სისწრაფის ტვირთების 1 ტონაზე . . .	9,27

დამატებითი გადასახადი გადახდევინებული იქნება საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე შემოღებულ წესების თანახმად.

მანძილი ახალ-სენაკიდან ხეთამდე.

პლატფორმა ზემო-ქვალონი . . .	9 კილ.	პლატფორმა ხობი . . .	16 კილ.
„ ნოჯიხევი . . .	12 „	„ ხეთა . . .	22 „

ნ. 147 1—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

[illegible] ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება [illegible] № [illegible] საათამდე.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. [illegible] ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **კ. გ. ვართაპეტოვი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—1

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7-დან 8 საათამდე. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5 დან 7 საათ.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინებით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

თანახმად სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბათა კავშირის

„წითელი ქართლი“-ს

წესდების 82, 83 მუხლებისა შესდგა უკანასკნელის

სალიკვიდაციო კომისია,

რომელიც იუწყება, რომ ყოველივე პრეტენზია, მიმართული „წითელი ქართლი“-ს მიმართ, უნდა იქნეს განცხადებული სალიკვიდაციო კომისიაში (მისამართი: [illegible] ქუჩა № 9) არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა, რის შემდეგ კომისიაში შემოტანილი პრეტენზიები არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი.

3-2 375 „წითელი ქართლი“-ს სალიკვიდაციო კომისია.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible] საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

პლეხ. პროსპ. № 115 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 9—11 დილ., 5—8 სად. 25—1

ექიმი **ვ. ს. არზუტინსკი**

ელისაბედის ქუჩა, 33.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

25—1 ქვ. 326

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 13—1

ექიმი **შუხმანი**

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.

([illegible] ქუჩის პირდაპირ). 25—1.

ექიმი **ნ. გ. ახვერდოვი**

დაბრუნდა [illegible] და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობაზე და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15. 25—1.

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ. რუსთაველის პროსპ. № 12.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი [illegible] (ზემელის აფთიაქის პირდაპირ)

კბილის ექიმი

ტ. ფალავა

ძმების ქ. (საპიორნაია) № 29 ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება: დილით 9—12-ს. საღ. 4—7-ს. 25—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილის ექიმი

ი. ვ. [illegible]

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2 [illegible] 4—6-მდე

ელისაბედის ქუჩა № 117.

ექიმი [illegible] **მალდუმევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება **თვალების სნეულებაში.** მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

დაბრუნდა

ექიმი **ზანდუკელი**

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება სად. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

361 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ **ნ. პ. ფალიაშვილის**

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი **ა. ხ. შონ-ირცელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. [illegible]).

[illegible] სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ნიმსიფილისის, [illegible] სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექ. **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1- 2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობ. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—23

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ძ. [illegible]

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 12 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროვის ქუჩის კუთხიდან.

ე. ქ. **ნ. პ. ფალიაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის, ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქლექზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ სად. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 25 111 -1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი და საალრიცხვო ბარათი მოსეს იარილოვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 381

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2749, ვალოდია რუხაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 382

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 63 და საალრიცხვო ბარათი № 101 მიხეილ მელიქოვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 384

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2441 სიმონ ივანეს ძე ცომაიას სახელობაზე ჩ. გ. 1—1 385

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 აღრიცხვის № 685 მიხეილ ივანეს ძე ციცქიშვილი. ჩ. გ. 1—1 383

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი დაბადებისა თამარა ბიქტორ დონდუას ასულის 1912 წლ. ჩ. გ. 1—1 387

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4714 მარია კარაპეტოვას სახელზე. ჩ. გ. 1—1 388

დაიკარგა მონადირე ძაღლი „პოინტერი“-ს ჯიშის 30 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, თეთრი, ყვითელ ნიშნებით, 6 თვის, უკანა მარცხენა ფეხზე აჩნია (ნაოპერაციევი) დაღი, სახელად „აია“. მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ანასტასიევის ქუჩა № 21 ან და ტელეფონით 11—31 და 16—83—გოგიბერიძე.—ძაღლის მომყვანი ან ცნობის მომწვდელი მიიღებს გასამრჯელოს. 2—1 386

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამ. წულუკიძის ქუჩა № 4